



პრესულარი გვ. 180
საქართველოს მთავრობის მინისტრის მიერ გვ. 180

1940

სახაზო თანა ხელოვნება

სსსრ სახელმწიფო სამსახურის მიერ გვ. 180-
ბის სამართლებოს ყოველთვიური მობიცავის



№ 6
1940

3/88. հունվարի 8. 8 մ 8 թ 1
3/88. պետքանու 8. 8 սեպտեմբեռի 1



Ցյ հինգշրի միստրուս մոնդա,
Ի՞ռա և սկարտուլց մաթուրեցքներ,
Գաճամբրյացուս անր ֆինճա,
Ցյլն և սովորութ անշուրեցքներ!

Ի՞ռմ գահացիւլն ամ և սօմեցիութ
Եզալ ցրեմլեմ ց մինունուցն
Գա միացրելու կը ցածրն մցըրութ
Ուսարութ ցեսածուցներս!..

Ծոյ նոյեմի, ՑՇիրմալու եալես ցյլուն մեսանուցմլուս ճա յոմացի, Ցոյ-
լո տացուս Մեցնեծուլու պեղորեցներ մանձունի ահասժրուս առ շուալաւնիա ամ
Տուրպացնութաւուս.

Այսո ոյս Տիմարտուն մոյմելո, մոմացուն մոնմեց, միացրելուցնուսագիտ
Տուրպացնութ ցանցունուն, ծիմունուսաւուս ցոյնուս մոնպաց. ամ ցուուցն
անշեծ ոյց տացուս մցնեցար հինգշրի անեռուցուցներ Մեշարեցներ և
Եալունութ ճա Տուրպացնութ.

Այսո Տամիշի ամարեշի մամուն ցամոցուգ, Ի՞ռուսապ Տայարուցուն
Երշգցեցնութ հագուալուհ-ցըմոյրագուուլու աշիրուներ Ի՞ռսետուս մովոնաց
Ագամինեցնուս. Կահունմուս կոլորնուալուհ Ցոլութոյուս ծիմուցալուցն մոցոյ յար-
Եալունութ եալես Տայուցուցն Քահմուացցենելուն ամ անհուներամու յէսուցներ
Երուցնուլ-ցամենտացուսցուցներ ուղարկութ ուղարկութ.

Ես ոյս XIX Տայուցնուս Տամուցուն լուցներ.

Այսուց հաջա Տամուցուն լուցնուս մոլցայեւու հոցնո, Ի՞ռուրու ց Երտերուն
Մովոնացունութ հանու, Երտերուն մեծահասերից, Ճա տացուս Մեշոյմեցնութ ճա Տա-
Նուցագուցնուց մոլցայեւուն Ցմուսեսերեցնութ յահուցունու եալես յատուլու-
ունուս, մուս յալութիւնուս նուրա-ցանցութ անշեցնութ.

Այսո Ի՞ռսետուս Լուցնունութ ճա ոյ Մետուուս հուս եալես ցուուցնու պյ-
Մոյրացնութ ճա Տիմարուցնուս, Դունուրունուցնուս ճա Եյրասուցնուս մովոնաց ան-
Հուներա.

Այսում տացուս Մեշոյմեցնութ Տամուցուն անշու Տիմարուցնուս անհու Եյ-
լուցնութ ճա Տայուցն:

“Ելուցներ պեղորեցնութաւուս”.

Ճա ամ անհու մուսու յոնցի Երշգրեթուլուն:

“Ելուցներ հացրելու Ցմունուլու եալես Տամուսերնո, Ելուցներ Տամ-
ունունու Տամուսերնո, Ելուցներ եալես Տամուս մոնուս Տամուսերնո”.

Ամ ցնուսաւուս մաս ահասուցն առ ցագուսցուցն առ յուցուն մոնու նոյնա-
մունու ծասիո օահալու ոյս մունունուցն մմարտուցն լուցնութ ճա Տիմարուն
Եյսիցունուցնուս լուցնութ Ցոլութոյուհ ծիմունութ.

Այսո նոմցունու Տասալես Ցուուր ոյս ճա յահուցուն եալես ոյց յասակու-
ռութ յուցարձա.

Տացուս Ի՞ռալուսիւրի Տրունու, Ի՞ռուրումուրուցնու յենու, Ի՞ռմելուու ման
ունու Քազակացեստան յերտագ ցանտացուսցուլու արյանմեցնութ ճա գամուցնուցն
Դուցմարեցնուսացն, ճա ցիւրուց Ցոլութոյուհ Տիմարանու, ման Եյուրու ցնա ցամ-
նաս եալես ցյլունսայեն.

Տասիո Տարունու յենու այսո գամուցնութ աամարուցնու Ցուուր Սուսուցն
Միացրելուն: Ցմունուրուն Ցուուր Տիմարուն Սուսուցնուս, յուցունու յասա-

გულთბილი ენით ანუგეშებდა ჩაგრულთ, აღვიძებდა მათში ბრძოლის სურვილს ბრწყინვალუ მომავლისათვის და ნერგავდა ხალხში პატრიოტიზმისა და ხალხთა ძმობის მარალ გრძნობებს.

შემთხვევით არ არის, რომ პირველი თარგმანი მსოფლიო პროლეტარული პიმნის „ინტერნაციონალისა“ აკაის ეკუთვნის, რის გამო მან ერთხელ კიდევ იგემა ცარიზმის დევნა: ლექსის მოთავსების გამო აკრძალუს გაზეთი და აკაი პასუხისებაში მისცეს.

მაგრამ აკაის ვერ აშინებდა ცარიზმის დევნა. მან აღტაცებით შესძინა 1905 წლის რუსეთის რევოლუციის:

„მას ვლოდი მოევსწარ
გიცინი, აღარ ვტრი მე“.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ აკაის ფრთხები ვერ შეუკვეცა. აკაი კვლავ ამბნევებდა ხალხს და მომავლის იმედს უნერგავდა.

ნათელი მომავლის შესახებ პოეტი სწერდა:

„გეხდავ, ვხდევ მომავალში, გამოსულა მუშათ ერი, ერთმანეთან შეთამშებით ძლიერი და ძლიდიერი, აკაი თავდადებული იყო თავისი ქვეყნის კეთილდღეობისათვის, მას უყ- ვარდა თავის ტანჯული მიწა-წყალი და ხალხი. მისი ნატელი:	გამარჯვება ნამდევილ მუშებს, ვაშა, ვაშა მომავლსა, ის ასწორებს დღევანდლობის გამრუდებულ ძასა და ჰყალს.“
--	---

„დედა-შეილობამ ბეგრძან არ გთხოვ
შენ მიწას მიმაბარეო..“

ცა ფირუზი, ხმელეთ ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო.“—

დამამტკიცებელია ამ დიდი სიყვარულისა.

აკაი სამშობლოსადმი დიდ სიყვარულს უანდერძებდა ახალგაზრდობას:

„გივვარდეთ თქვენი სამშობლო, თქვენი ერი, რაღან სიყვარულშია ადა-
მიანის ბერძნიერება, მაგრამ იმისთანა სიყვარულში, რომელსაც საჩიულად
სიმართლე და გულწრფელობა უდევს“. 1

აკაის ტებილი ენით თქმული ეს სიტყვები არა ერთს ამხნევებდა წარ-
სულში სამშობლოს საკეთილდღეოდ ბრძოლისათვის და დღესაც გვამხნევებს
სოციალისტური სამშობლოს თავდადებისათვის და გმირობისათვის.

მრავალსახოვანი იყო აკაის მოღვაწეობა ქართული კულტურის საკე-
თოლდღეოდ, როგორც პროგრესიული ინტელიგენციის მოთავისა.

აკაი აქტიურად იღებდა მონაწილეობას თეატრალურ ცხოვრებაშიც და
მისმა მოღვაწეობამ დიდი კვალი დასტოავა ქართულ თეატრის ისტორიაში.

რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებისას 1862 წელს მან მზურვალე
მონაწილეობა მიიღო ქუთაისში იმ დროს პირველად აღმოცენებულ სცენის
მოყვარეთა წრის მუშაობაში.

სამოცდაათიან, წლებში თბილისში იგი კვლავ მონაწილეობდა დრამა-
ტოურ წერების მუშაობაში.

1879 წელს აკაი იყო ერთერთი ინიციატორი ქართული პროფესიონა-
ლური თეატრის აღდგენისა, რომელიც ცარიზმის მიერ 1854 წელს მოსპობა-
ლი, 25 წლის განმავლობაში სდომდა.

1880 წელს დაარსდა დრამატიული საზოგადოება და აკაი გახდა ამ სა-

ზოგადოების თავმჯდომარის მოაღვილე (თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე) მშენებელი აკაკი დიდ უურადღებას აქცევდა ქართული თეატრის განვითარების მაქა მეს, რადგან მასში ხედავდა ქართულ კულტურის განვითარების ერთერთ უძლიერეს იარაღს და ხალხთან კავშირის განმტკიცების საუკეთესო საშვალებას.

მრავალი სტატიები დაწერა აკაკი, რომელშიაც კრიტიკულ ქარცუცლში ატარებდა თეატრის ნაკლს და მის გამოსასწორებელ მითითებებს იძლეოდა.

აკაკის პრაქტიკული მონაწილეობა ქართული თეატრის განვითარებაში მრავალსახოვანი იყო. მას აქტოირობაც ხვდა წილად, რეჟისორობაც და ერთ დროს ანტრეპრენიორიც კი გახდა, რადგან თეატრის ფეხზე დაყენება მოითხოვდა ავტორიტეტულ პირის სათავეში ჩადგომას. რაც უმთავრესია—აკაკიმ ქართულ თეატრს შესძინა ოცმდე მაღალხარისხოვანი ორიგინალური დრამატიული ნაწარმოებები—ისტორიული დრამები, ყოფა-ცხოვრებითი კომედიები, სატრიკული სცენები. აგრეთვე გადმოაკეთა და გადმოთარგმნა მთელი რიგი რუსული პიესა.

ისე, როგორც პოეზია, აკაკის დრამატიული ნაწარმოებებიც მდიდარი შინაარსისა. პიესებში აკაკი აშეკრუვებდა ცარიშმისა და გაბატონებული კლასების თვითონებობას. ბასრი სატირით კიცხავდა ხალხთა მჩაგვრელებს და დაუნდობლად წდიდა ფარდას მმართველი კლასების უნიადაგობას და გახრწნილობას.

მრავალჯერ სდევნიდენ ცარიშმის მოხელენი აკაკის ამ პიესებს მწვავე შინაარსის გამო.

მაგალითად პიესა „პატია კახი“ დაწერილი ჰქონდა რამდენიმე ვარიანტად და სხვა და სხვა სათაურებით. მეფის ცენზურა არ რთავდა ამ პიესის დადგმის ნებას, რადგან მასში გამოყვანილი იყვნენ ქართველი ხალხის ეროვნული გმირები.

აკაკის დრამატურგიული მემკვიდრეობა ძვირფასი შენაძენია ქართული თეატრალური კულტურისამვის. მას არ დაუკარგავს ინტერესი ჩვენი ეპოქისათვისაც, როგორც წარსული ცხოვრების რეალისტური სიმართლით განსახიერებას.

დადგა ის დრო, რომელსაც აკაკი ნატრობდა:

„მოგა დრო და თავს აშევბს
იმ ჯაჭვს გასწევეტს გმირთა გმირი,“

სიპარულით შეიცვლება
ამდენი წის გასაჭიროა.“

აკაკი უყვარს სტალინური ეპოქის თაობას, სოციალისტური ქვეყნის შემნებელთ. იგი ასეთი პოპულარული არასტროს არ ყოფილა, როგორც ეხლა არის. აკაკის შემოქმედება ეკუთვნის არა მარტო ქართველ ხალხს, არამედ გასაგებია და მგზნებარე მრავალმილიონიან საბჭოთა კავშირისათვის.

ხალხთა ბელადის დიდი სტალინის მოძღვრებით შთავინებული საბჭოთა ხალხი ითვისებს წარსულ კულტურის უდიდეს განძს—აკაკის შემოქმედებას, რადგან მასში ხედავს პატრიოტიზმის, შრომის და ბრძოლის სიყვარულის და ინტერნაციონალიზმის უდიდეს გრძნობების გამოხატვას.

۴

ბ հ ძ ა ნ ე გ უ დ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საგანოს პრეზიდიუმისა

თავისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დასახა-
ტიული თავათრის მუჟავების დაჯილდომების უმსახია

1. მიერიცოთ საპატიო წილებანი თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელო-
ბის სახელმწიფო დრამატიული თეატრის შემდეგ მუშავებს, რომლებმაც თავი
გამოიჩინეს თეატრალური ხელოვნების დარგში:

ა) საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული
მოღვაწის წოდება:

შახაზიაზოვს კონსტანტინე იაზონის-ძეს, თეატრის დირექტორსა და
სამხატვრო ხელმძღვანელს,
რუბინს აბრამ ისავას-ძეს, მთავარ რეესიონს.

ბ) საჭ. სსრ დამსახურებული არტისტის წოდება —
თავათრის მსახიობებს:

ბოდროვს ივანე ნიკიფორეს-ძეს,
ბრაგინს ვლადიმერ დავითის-ძეს,
ვრუბლევს კაიას ლიუდმილა ალექსანდრეს-ასულს,
გარინს კონსტანტინე ადოლფის-ძეს,
შიუფევს კონსტანტინე კარლის-ძეს,
სატინას ეკატერინე ალექსანდრეს-ასულს,
სმირანინს ანატოლი დიმიტრის-ძეს,
შელეხოვას ნადეჟდა თევდორეს-ასულს.

2. დავილდოებულ იქნენ:

საქართველოს სსრ უმაღლესი საგანოს პრეზიდიუმის
საპატიო ცენტრი:

ალექსანდროვი ალექსანდრე იაკობის-ძე, დასის მმართველი,
ბერიერი ვლადიმერ პეტრეს-ძე, კომპოზიტორი,
ბელეცკაია ბელა გოორგის-ასული, მსახიობა,
გრუდზინსკაია ნინო გოორგის-ასული, საკოსტუმერიო სამქროს
გამგე,

დობროხოვარე ნატალია ალექსანდრეს-ასული, მუზეუმის გამგე,
ივანოვ-გრინი სიმონ ვასილის-ძე, მექანიკოსი — სცენის მემანქანე,

კუბარე ვი სიმონ პეტრეს-ძე, რეეისორის თანაშემწე, მარცხ სინა მარიამ ტიმოთეს-ასული, საჩეკვიზიტო სამქროს გამგე, რადოლინი თევდორე ვასილის-ძე, მსახიობი, რეიზნერი პენრის მეორის-ძე, მუსიკალური ნაწილის გამგე, როდიონ როვი ივანე ვასილის-ძე, მოკარნახე, სმირნოვა ანტონინა დანიელის-ასული, მსახიობი, ფეოდოროვა ევგვენია თევდორეს-ასული, მსახიობი, შენდეროვი თევდორე ნიკოლოზის-ძე, ღირექტორის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თვემჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
3. მგებარაზვილი

თბილისი, 1940 წ. 28 იქნისი.

V

ა. ს. გრიგორეონის სახელობის სახელმწიოდნებლის რეაგაზიული თეატრის მუშაკთა კოდექტივის მიზინგი მათი დაჯიდეონების გამო

29 ივნისს დღის 3 საათზე „ერნანის“ და „ლეი გურის“. სინიჩინის“ რეპეტიციების დამთავრების შემდეგ, შესდგა ა. ს. გრიგორეონის სახ. თბილისის სახელმწიფო დრამატიული თეატრის კოლექტივის მიტინგი საქ. ს. ს. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მეირ ამავე თეატრის მუშაკების დაჯილდოვების გამო.

მიტინგი გახსნა საქ. ხელოვნების მუშაკთა კუმინის თვემჯდომარე ამს. ი. გვინჩიძემ, რომელიც მიესალმა, თეატრის კოლექტივს პროფესიონალის სახელით.

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე ამს. პ. კანდეკალმა გააცნო მიტინგს საქ. ს. ს. რ. უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის ბრძანებულება და მოულოცა თეატრის კოლექტივს.

ამის შემდეგ მილოცვებით გამოვიდნენ ს. ს. რ. კ. სახალხო არტისტები ამს. ა. ვასაძე და ამს. ა. ხორავა. თეატრის კოლექტივიდან სიტყვები წარმოსაქვეს მსახიობებმა ლ. ა. ერუბლევსკაიამ, კ. ა. გარიბეგა, ვ. ღ. ბრაგინშა, ა. მ. სმირანიშვა და ა. ი. რუბინშა.

დასასრული ალაპარაკა თეატრის ღირექტორმა და სამს. ხელმძღვანელმა ამს. კ. ი. შახ-აზიზოვემა, რომელმაც წაიკითხა თეატრის კოლექტივის მიმართვა ამს. კ. ჩარკვიანისა და ამს. ვ. ბაქრაძისაღმი.

ქ. ს. გაიგორემოვის სახელ. სახელმწიფო რეაგიული თეატრის მუნიციპალური კოდეპიტის მიმართვა

საქ. ქ. ქ. (ბ) ბ. ქ. მედვანეს—ამხ. ქ. ნ. ჩარქვიანის

საქ. სარ სახელმწიფო თავმჯრიმარეს—ამხ. ქ. მ. გარეაძეს

ჩვენი პარტია და ხელისუფლება იქტომბრის დათარ რევოლუციის პირველ დღიდანვე, გულშოდგნედ და ყოველდღიურად სელმძღვანელობს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ხელოვნების განვითარებას საბჭოთა ხალხის საკუთილდღეოდ.

არც ერთ ქვეყანაში ინტელიგენციას ასეთი ყურადღებით და მზრუნველობით არ გაყრდნიან, როგორც ჩვენს ქვეყანაში ახალ საბჭოთა ინტელიგენციას.

პარტიას და ხელისუფლებას და მთელ საბჭოთა ხალხს უყვარს თავისი მშრომელი ინტელიგენცია და ქმნის მისოვის ყოველგვარ პირობებს სრულფასოვან შემოქმედებითი მუშაობისათვის მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურის და ხელოვნების დარგში.

ჩვენი ქვეყნის ცენტრში, წითელ მოსკოვში, ჩატარებული ს. ს. რ. კ. მმურ რესპუბლიკათა ნაციონალური ხელოვნების დეკადებმა გვიჩვენეს ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ხელოვნების ჯერ არ ნახული გაფურჩქვნა, რომელიც შესაძლებელი გახდა მხოლოდ გამარჯვებულ სოციალისმის ქვეყანაში.

ჩვენ გვახსოვს როგორი აღფრთოვანებით შეეგება მოსკოვი ქართველ ხალხის მაღალ-ხარისხოვან ხელოვნებას. ძმური რუსი ხალხი დიდის სიყვარულით და გულთბილად შეეცდა ქართველი ხალხის წარმომადგენლებს—მზიანი საქართველოს ხელოვნების მუშაკებს.

ა. ს. გრიბოედოვის სანელობის თბილისის სახელმწიფო დრამატიული თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი, მისი ძირითადი რე-

ჩანარისაციის მომენტიდან, ქართველი ხალხის სიყვარულით და საქართველოს კომპარტიის, ბოლშევიკების, და საქ. ს. ს. რ. ხელი-სუფლების ყოველ დღიური ხელმძღვანელობით და მზრუნველობით სარგებლობდა.

საქ. ს. ს. რ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 28 ივნისის ბრძანებულება თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის მუშაკების დაკილდოების შესახებ, გვიმტკიცებს იმას, რომ ჩვენი მშვიდი მუშაობა თბილისში რუსული თეატრის განვითარების საქმეში მაღალ და საპატიო ჭილდოთი არის აღნიშნული.

ჩვენ დიდი სიხარულით შევხდით ამ ბრძანებულებას, რომელიც იწვევს ჩვენში ღრმა მაღლობის გრძნობას და მოგვიწოდებს უფრო მეტი ენერგია გამოვიზინოთ იდეურად და მხატვრულად მაღალხარისხოვან სპექტაკლების შექმნის საქმეში.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ, საყვრელი ბელადის ამხანაგ სტალინის სიტყვებით, დააყენა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხი.

საბჭოთა ინტელიგენციას დაეკისრა საბატიო ამოცანები, რომელთა დაძლევა ჩვენ უნდა შევსძლოთ და შევსძლოთ კიდევაც ამისათვის ყველა პირობები ხელთა გვაძევს.

ა. ს. გრიბოედოვის სახელ. თბილისის სახელმწიფო დრამატიული თეატრის კოლექტივი მაღლობას უძლვნის საქართველოს კომ. პარტიას (ბ) და ხელისუფლებას დიდი ჭილდოსათვის და იძლევა სიტყვას, რომ კიდევ უფრო უკეთესად, უფრო პროდუქტიულად

იმუშავებს მზიანი საქართველოს ხელოვნუ-
ბის განვითარების ფრონტზე.

სიტყვას ვიძლევით ჩვენი შემდგომი მუ-
შაობით შეკემნათ იდეურად და მხატვრულად
მაღალხარისხოვანი მთელი რიგი სპექტაკლე-
ბი.

სიტყვას ვიძლევით დავეუფლოთ მარქსის-
ტულ-ლენინურ მოძღვრებას, ურომლისო-
დაც შეუძლებელია სოციალისტური ხელოვ-
ნების ნამდვილი განვითარება.

სიტყვას ვიძლევით ალვზარდოთ ჩვენი
კოლექტივი ლენინ-სტალინის დიადი პარტი-
ის საქმისადმი ერთგულების და სიყვარუ-
ლის გალვივების გზით.

გაუმარჯოს დიდი რუსი ხალხის ძმურ მუ-
გობრობას დიდ ქართველ ხალხთან!

გაუმარჯოს საქართველოს ხელოვნების
მუშავების ერთიანობას და მემკურნეობას
ძმურ რესპუბლიკების ხელოვნების ცველა
მუშავებთან!

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ
პარტიას (ბოლშევიკებისა)!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საუკეთესო
შვილს, ჩვენს საყვარელ ლავრენტი პავლეს-
ძე ბერიას!

გაუმარჯოს კაცობრიობის დიდ გენიოსს,
ჩვენს მშობლიურ და საყვარელ იოსე ბ
ბესარიონის-ძე სტალინს!

29 ივნისი 1940 წ. ქ. თბილისი.

ა. ს. გრიბოედოვის სახ. თბილისის სა-
ხელმწიფო დრამატიული თეატრის კოლექ-
ტივი.

კაცის ჩამაზური

(ერთი თვალის გადავლებით)

თითქმ უზრდელი სათაურია, გაშინაურებული, და ეს არ ეკადრება ჩემგან ბუმბერას მწერალს, მაგრამ ნუ გვავიწყდება, რომ სიტყვა „აკაკი“ გვარის უხსენებლად, ეს სიყვარულია ამ სასიქადული პოეტისადმი მთელი ქართველი ხალხისა. თვითონაც მხოლოდ პირველ ხანებში აწერდა გვარს. შემდეგში სულ მხოლოდ სახელს, და ყველაზ იცოდა ვინც იყო ეს „აკაკი“.

ეს შეიძლება იმიტომაც, რომ მაშინ სხვა აკაკი არავინ იყო, მაგრამ მე მგონი გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვა: მომავალშიაც, რაც უნდა ბევრი და სახელოვანი „აკაკი“ გვეყოლის, უგვაროდ მაინც ეს აკაკი დარჩება.

ამას გარდა ხალხს სწევეთ დიდად მიჩნეულ არსებით „შენიბით“ მიმართოს: „შენ შეფერო“, „შენ ღმერთო“. ქართველებსაც ქვენდათ ესეთი ჩვეულება.

მაშასადამე, სათაური ნუ ჩამომერთმევა უზრდელობად.

ეხლა გადავიდეთ დრამატურგიაზე.

მოგესტენებათ, რომ აკაკის საერთოდ ხელოვნებაზე და თავის შემოქმედებაზე განსაკუთრებული აზრი ჰქონდა. ეს იყო ანარეკლი რუსეთის მესამოც წლების აზროვნებასა, რაც ორითოდ სიტყვით გამოითქმის: „ხელოვნება სასაჩვებლო უნდა იყოს, ხალხისათვის გამოსადევგა“.

აკაკისაც არ სწორდა „ხელოვნება ხელოვნებისთვის“, და თუ იგი ზოგჯერ ვარდა და ბულბულს დამღერდა და „ბნელ-მოვარიან მაისის დამეს“, იქ მაინც საზოგადოებრივი რამ აზრი იყო ჩაქროვილი, ან სევდიანი, „ცხრა კლიტულში მჯდომარე ნესტანის თვის“ (დამონებული, პოლიტიკურად ტყვევებინილი სამშობლო), ან მხილებით, საცა იგი უჩიოდა თვალის დროის ზე-დაცემულობას და მანკიერებას.

მეო, „გარემოების საყვირი“ ვარო —ბრძანა ერთხელ.

და თუ თვის უძლიერეს დარგში, ლირიკუში, ასეთი იყო ეს დიდი პოეტი, ესეთი მიმართულება მისცა მან თავის დრამატურგიასაც.

აკაკის პიესები შეიძლება რა შტოდ გააყის. ერთი მატარებელია მაღალი პატრიოტიზმისა და ჰეროიკის („პატარა კანი“, „მეღდა“, და ნაშილობრივ „თამარ ციცელიც“). მეორე კი პირდაპირ მხილებითია: „კუდურ ხანუმ“, „გაიძერები“, „ახალი გმირი“, „რეაქტია“ და სხვ.

მაგრამ ყველა მათგანში უსათუოდ საზოგადოებრივი აზრია დღინინტი. თვით პატარა სკუნებშიაც კი — „პირუტყვების არჩევანი“, „ქართული ენა“, „სკუნები საპატიმროში“ და სხვ. — სადაც ვითომ მპეტუქი ჰუმორი მიმოქრის სტრიქონებში, მაინც რამე საზოგადოებრივი მანკიერება, ზე-ჩვეულება ან პირველება გამოიყერილი.

არასოდეს აკაკი — დრამატურგი მხოლოდ სალალობოდ და „ამხანაგთა საზოგალად“ პიესებს არ სწერს.

თვით მის „კინტრშიაც“, რომელიც თურმე დაწერილია ერთ ღამეს, ცნობილ მსახიობ ნატრ გაბუნისა სახენეფისოდ, და უბრალო ფარსში — „ბუტიობა“, აქაც კი თანამედროვე ოჯახის, ცოლ-ქმრული დამოკიდებულების მხილებით სურათებია მოცემული.

ფრანგი დრამატურგებივით, ის არ ცდილობს დიდი ხლორით გააბას და იზრუნოს მაინც და მაინც პიესის თეატრალობისათვის. ის უფრო სადაც და რეალისტი თავის მიღებომაში. მას უფრო თავისი სათქმელი აწესებს და არა მოქმედ პირთა მდგრამარეობის თუ ფსიქოლოგის სიღრმე და სიტუაცია. იგი მუდავ ტენდენციურია, და თუ რამე აქვს

ფრანგ ლიტერატურას საერთო, ეს—დიალო-
გის სიცხველე, ერთი ორი მოსმით სახეე-
ბის ჩამოძერწვა და შინაგანი დინამიურობა.
მოქმედ პირთა.


ცხადია, აკაკიმ შევენივრად იცის თავისი
ლროის დრამატურგიული კანონები. მაგრამ
იგი ხშირად მას არ დაგიდევთ, ზოგჯერ ვინ-
ზე გაუხვევს, რადგან ის „პურისტი“ არ
არის და „წმინდა წყლის“ ხელოვნებისთვის
მას არ სცალიან. შემავალ ეპიზოდებზე კი
შედარებით დიდხანს ჩერდება, რადგან ეს
ეპიზოდები თავისთვის საყურადღებოა და
ზოგჯერ პირაპირ ცხოვრებიდან ამოგლევი-
ლი, რადგან აკაკი, როგორც ყოველი დიდი
მხატვარი, ძალიან ხელმოლებით იცნობს
მისი ლროის ცხოვრებას, გარემოს, პიროვნე-
ბებს. იცის მათ რა ამოქმედებთ, რით სუნ-
თქავენ. ეს თავისებურ მოსწრებულიდ ეცეს
ერთ ლექსში გამოიტანა:

„კუპი გრძნობს და კუპი ფიქრობს,
ჭახარავია ქვეყნიური,
კუპშე არის გამობმული
ქვეყნის თვალი, ქვეყნის ყური!
ჯიბე არის მეეკვშირე
ერთობის და მეგობრობის,
იგვეა გზა და ხილი
სიყვარულის და ცოლ-ქმრობის.“

და აი ასეთ „კუპის“ პატრიონთ თავს ესხ-
მის აკაკი—ლრამატურგი. იმათ, ვინც თავისი
„მე“, თავისი მესაჟერერობა გაუღმერთე-
ბიათ ცხოვრებში; იმათ ვისაც „ერთობის
და მეგობრობის“ მეკავშირედ საკუთარი
„ჯიბე“ გაუხდიათ მხოლოდ და სიყვარულ-
სა და ცოლ-ქმრობაშიაც თავისი „პირადუ-
ლი“ შეუტანათ.

ამაზეა დწერილი მისი შესანიშნავი კო-
მედია „კუდურ ხანუმ“ და მისი სხვა მომ-
დევნო ასეთ მხილებით პისები.

„კუდურ ხანუმში“, გასაგები მიზეზის გა-
მო, მოქმედება და ადგილი განგებ გადატა-
ნილია ლსმალეთის რომელიდაც ვილავეტში.
თორემ საზოგადოებამ მაშინაც იცოდა და ახ-
ლა უფრო ვიცით, ჩვენი მკელევარების შეო-



აკაკი სტუდენტობის დროს

ხებით, რომ ეს მაშინდელი გუბერნიის მარ-
შლის ნესტორ წერეთლის ოჯახია აწერილი
ერთის მხრით და მეორეს მხრით—ქუთათე-
ლი ინტელიგენცია ძმათა ღოლობერიების
მეთაურობით. შესანიშნავი კი იმითია ეს კო-
მედია, რომ აქ ძალიან ცოცხლად არის ასა-
ხელი მექრთმის, ღობილურის, ხეპრეს და
სამშობლოს გამცემის თავისთვის ურთა წინა-
შძოლის ნაქვთი, მისი ეშმაკი და ცბიერი
ცოლი კუდურ ხანუმ, რომელიც არაც თუ
მარტო თავის ყეყეჩი ქმარს „სასულელებს
და როგორც უნდა ისე აძრუნებს, არამედ
საერთოდ საზოგადოებაში დიდ როლს თამა-
შობს. აგრეთვე იმდროინდელი ჩენი უნია-
ოთ ინტელიგენცია, რომელიც მხოლოდ მა-
ღალ-ფარდოვან სიტყვების წარმოთქმით
არის გართული და როდესაც „საქმე საქმე-
ზე“ მოიგება დამტურთხალია და კუდ-ამოძუ-
ებული. დიდის სინაზითა აქვს აწერილი
ახალგზირდა ქალის, ლენინს განცდანი. მისი
კდემა-მოსილება, გულ-წრფელობა, მზად-
ყოფნა „დიდ საქმეთათვის“ თავის დასატე-

ბად, მაგრამ საზოგადოებრივი სიღუხჭირის გამო, ამ საზოგადოების ცრუ-შორიშშენეობის გამო მისი ფრთხების დამტკრევა და დაღუპვა.

საზოგადოდ ქალები აქავის დრამატურგია-შიაც მუდამ მომხიბლველ ხაზებშია მოცე-მული, სულ ერთია, ეს თანამედროვე ოშმა-თუ ისტორიული. ასეთებია ტურქია „პატარა კაშში“, ცირა „თამაჩ ცამირში“. თვითონ თამაჩი და მედია კი სულ სხვა ხასიათის მატარებლები არიან, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ისინი ისტორიული პიროვნებანი არიან და ხალხის სხვონაში მედგარი ხასიათის და ძლიერი ნებისყოფის ადამიანებად არიან ჩარჩნილნი.

აქავიმ ეს „ხალხის სხვონა“ არ უარყო. იქ კი, სადაც იგი ისტორიზმით არ იყო შეზღუდული, ქალი მან მუდმი სათნალ, გულის-ხმიერად და უმწიკვლო ხასიათით გამოიყვნა, მხოლოდ თუ მაინცადაინც ხშირად იღუპებიან ეს ქალები, ეს იმიტომ, რომ ასე-თია მაშინდელი სოციალური არე, მამაკაცია მფლობელი და მპყრობელი ცხოვრებისა და ქალი უუფლებოა.

ამას კაფიოდ არ ამბობს აქავი, მაგრამ მის მიერ-აღწერილ სურათებში კი ცხადად იგრძნობა ზემომოყვანილი მდგრმარეობა ცხოვრებისა.

ზემოთ ვოქვით, რომ აქავის „არ სცალიან“, ანუ უკეთ არ ეცალა, რომ დრამატურგიის ყველა კინონი ზედმიწევნით დაეცვა-შეთქი. ამას ცოტა მეტი გაშლა უნდა.

ჯერ ერთი, აქავი, როგორც დრამატურგი, მე პირადად, ძალიან მაგონებს მეთვრამეტე საუკუნის ფრანგ დრამატურგს სებასტიან მერსეის.

მერსეის სწამდა, რომ დრამატურგიამ თეა-ტრში არამც თუ მარტო „ზნეობრივი“, არა-მედ პოლიტიკური როლიც უნდა ითამაშოს. და ასეთი იყო აქავიც. მის სურდა თეატრიც „გარემოების საყვირად“ გამოეყენებინა და გარემოებაში ხომ პოლიტიკური მომენტიც შედის. ამიტომაც — უყურადღებობა „შმინდა წყლის“ დრამატურგიისადმი.

აქავის „არ ეცალა“ კიდევ იმიტომ, რომ

ქართულ თეატრს მისცობას აღარ ჰქინია მართველობა და მერტეული იყო. გიორგი ერისთავი, ანტონივი და ბარბარე ჯორჯაძე მოვე-ლებულები იყვნენ, ავჭალითი ცაგარელი გრე კიდევ არა სჩანდა, რეპერტუარი კი საჭირო იყო და... თუმცა აქავის თავი დრამატურგად არ მიაჩნდა, მაინც სცადა პიესების წერა და ზოგჯერ ერთ ღამეშიაც კი.

სად იყო ეს დრო მოცალებისა. საზოგადოებრივი საკითხები კი, ყოველდღიური ცხოვრების მოვლენანი თხოულობდა გამოხმაურებას. და, ჩაი ის თავის უძლიერეს დარგში, თავის პოეტიკაშიაც იმ აზრისა იყო, რომ ხელოვნება ხალხისათვის უნდა იყოს გამოსალევი, რომ იგი თავის დღეში არა ცდილა მარტო ხელოვნებისთვის ემსახურნა და თუ მაინც რაიმე მაღლ-ხარისხოვანი, მხატვრული გამოსცვლია ხელიდგან, ისიც „უნებლიერ და შემთხვევით“, ცხადია, ის არც ღრამატურგის დაზოგავდა, რომ მხოლოდ „გარემოების საყვირად“ ეხმარა.

აქავის ძალიან კარგად ესმოდა თეატრის დიდი მნიშვნელობა ხალხისათვის და მან იგი უფრო ტრიბუნად გაიხადა თავის შეხედულებათა და მსოფლმხედველობის გამოსთქმელად, ვიდრე ხელოვნების „ტაძრად“ და „სპლოცველოდ“.

რადგან, მისი აზრით, ხალხს, დამონებულს პოლიტიკურად და გათანგულს ეკონომიურად, საქართველოს, ესეთი თეატრი ეჭირვებოდა. თან ისიც კარგად ახსოვდა რომ ნაციონალურ თეატრს უფრო ნაციონალური რეპერტუარი გამაგრებს და აქავი დიდად სწუხდა იმ გარემოებას, რომ თავის დროშე ჩვენი დიდა არტისტები ქართულ პიესებს არ ეტანებიან, კართველი ტიპის გამოსახვას გაუჩინდან.

ეს მართალი დებულებაა. ამ სტრიქონების დამწერასაც კარგად ახსოეს, რომ მაგალითად ჩვენი სცენის მგზებარე აპოლონი, ლალო მესხიშვილი, გაურბოდა ქართულ როლებს: შეტად პრიმიტიულია, ფსიქოლოგია ღია-ბი და შესასრულებელი მსახიობს არა აქვს რაო.

თუმცა ეს მეორე მხარეა საკითხის, მაგრამ შეიძლოდა აქეცი მანც მართალი იყო, ჩვენ თეატრს უნდა ჰქონდა საკუთარი რეპერტუარი და ის უნდა შეესრულებინა საუკითხოს ჩვენს მსახიობებს. მაშინ დადგებოდა საკუთარ ფეხზე ქართული ოკეტრი.

მხოლოდ მესხიშვილის გასამართლებლად ისიც უნდა მოვიყენოთ, რომ როდესაც ცოტად თუ ბევრად მისი ნიჭის შესაფერი როლები განაცხადდა ქართულს, ორგინალურს პიესებში, მან ეს როლები იყისხა და ჩინებულადაც შეასრულა. ასეთი იყო ის „ლევან სამეგრელოს მთავარში“, „გამცემში“ გილევანიშვილისა და კოტე გრეხილძის როლში პიესა „მორევში“.

აკაკის შედარება მერსიესთან ზემომოყვანილით არ მთავრდება. აკაკის, როგორც მერსიეს, უნდოდა „ტრაგედიის პოლიტიკური ჰეროიკა რეალიტურ მომხიბლველ კომედიის ხაზებთან შეერთებინა“ და ამითი იყსახა ზნეობა აღმიანებისა; რომ დრამის ენა ერთსა და იმავ დროს ყოფილიყო „სადა“ და „პათეტიურიც“.

აკაკი ხომ რეალისტი იყო თავით ბოლომდე, მაგრამ მანც მოპტერდა რომანტიკული იერი მთელს მის შემოქმედებას საზოგადოდ და, მაშასადამე, დრამატურგიისაც, განსაკუთრებით ისტორიულ პიესებში. მაგრამ ამ რომანტიკას აჩასოდეს აკაკისთვის „არ მოუჩლუნებია ცხოველი სინამდილის მძაფრი შეგრძნობა“. და ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ერთი მწერლისა არ იყოს, მხოლოდ უნიკო სწერს არა რეალისტურად.

აკაკის თითქო მერსიესავით სწავლა, რომ შხატვრული სახე სოციალური ყოფაც ცეკვის სამაგალითო ნიმუშად უნდა ყოფილიყო გამოყვანილი. ეს ითქმის მის პიემებზე, პროზაულ „ბაში აჩუქზე“ და სხვ. მაგრამ პიესებშიაც ჩვენ გვაძვს აკაკის მიერ დატოვებული „პატარა კახი“. გაიხსენეთ ამ პიესის მოქმედი გელა, ბაადურ და თვით ერეკლე, „თამარ ცბიერის“ მგოსანი გოჩა და სხვ.

აკაკიც მერსიესავით მტრის, ანუ მავნე პირის გამოსახვაში ძლიერია და საზოგადოე-



აკაკი და მისი მუშლე ნატალია ბაზილევსკაია

ბრივად, პოლიტიკურად აღშფოთებული (თამარ ცბიერი, იაზონი „მეღიაში“). ეს გარემოება კი ებმაურება თვით დღევანდელ, საბჭოთა მოქალაქეს გავებას. ჩვენ გვინდა, რომ რეალურად და ნათლად იყოს ინტრიგი დასაბუთებული და უგლებელს კყფით „არაჩვეულებრივ მოვლენებს“. ეს, მერსიესი არ იყოს, თავის პიესებშიაც შესღამს აკაკის. ჩვენ უარყოფთ ხასიათების „ძალადაზნებითი გამოსახვას“, ესეც აკაკის მიერ უკუგლებულია.

და აქ უკვე მერსიესთან დრამატურგ-აკაკის მსგავსება კი არ არის ჩვენთვის საგულისსხმო, არამედ ის, რომ აკაკი თურმე თავისი მანერით პიესებითაც ენათესავება ჩვენ დროს.

ეს არის მთავარი. მხოლოდ მე თუ მერსიე მოვიყენე, იმისათვის, რომ საგნის გაშუქებაში დამხმარებოდა, რომ ზოგიერთი მსგავ-

სება ამ ორი შეტერლისა თვალსაჩინო გამეხადა მყითხველისათვის, მათი შემოქმედებითი ნაოცხობა, თორებმ, ცხადია, აკაკი არ გვიჩდის მეტსის გავლენას. არა მგონია, რომ აკაკი იცნობდეს ამ დრამატურგს, რადგან მეტსი ჯერ კიდევ თავის სამოძღვანოში მიჩქმალული იყო დიდ ხანს „როგორც სანქიულოტი, რომელსაც მხოლოდ პირუტყვული უხეშობა მოაქვს და ნგრევისა და განადგურების მეტი არა იცის“—ჩა. ეს ამკობდა მეტსის თავის დროზე ფრანგული კრიტიკა თავისი ერთერთი წარმომადგენლის, დენიანის პირით. არც თუ ხშირი გამოცემა ღირსებია მეტსის. რესეტში კი, აქამდე, იქა-აქა თუ მოისხენიებდნენ ამ „ველურის“ სახელს; მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოჩნდა რუსულ ლიტერატურაში ამ კეთილშემიტო დრამატურგისა და თეორეტიკოსის სახელი.

ამიტომ არა მგონია, რომ აკაკი ინ თუ სულ იცნობდეს მეტსის.

ენის მხრივ ხომ აკაკი თვევის პიესებშიაც ისეთია, როგორც ყველგან: ცოცხალი, შუშხიანი, გამჭვირვალე და სხარტი. მათი ფალონგები საუცხოვა. მოსწრებული სიტყვიბი ხომ უარისვია, არც მსმენელს და არც მსახუობს არ დაღლის მათი წარმოთქმა.

გალექსილ პიესებში კი საქმე ცოტა სხვანირად წარმოგვიდგება.

ჩეულებრივ, როგორც სხვა მის პოეტური წარმოებებში, აკაკი იქაც პოეზიის დიდ სიმაღლეზე დგას და იძლევა პირდაპირ მუსიკალურ ფრაჩებს. გაიხსენეთ მისი თამაჩი ცდიერის შესანიშნავი მონილოგი: „როგორც რომ მოვარე ხუთმეტის დღისა“, ან სიტყვების თამაში ამ პიესაში: „მიყვაჩასა და მძულის, მძულსა და მიყვაჩას“, ან გვითხატვასიყვარულის, რომ იგი „წამ-ერთ აკანია სიხარულისა“, შემდეგ კი—„ხანგრძლივი კუბო და ცავი სხარე“. ან პატარა კახის განთბეჭელი მონილოგი: „ძლიერ მარტო დაერჩი, ამ, რა კარგის, სიმოთხის ნიკი, თავისუფლება!“ და შემდეგ საუცხოო ლეგენდა საღამურჩე.

ყველა ესნი პირდაპირ შედევრების შემთხვევაში, და აი აქ კი, ცოტია უყის, უყის წამეტიხელს. ცნობილი უკანასკნელი ლექსი ქართულს უნაზე საუკეთესო მასალა მსახიობისათვის საღელამაციოდ, რვა და-ათანა კი არ არის ისე პათოსინი. აკაკი კი სწორედ ჩვა და ათიანი იცის უმეტესად, და თუ რსებს უკირთ მაგ. პეშეინის ლექსების კითხვა, ქართველ დეკლამატორისათვის, თამამად შეიძლება ითქვას, აკაკის ლექსებია ძნელი სცენიდან წასავითხად. ის თითქო უფრო სიმღერას თხოვლობს. და აუ იმდენად მარცლოვანებაზე არაა საქმე დამოკიდებული, რა მდენადაც მათ თითქო სისაღავეზე, სადაც შეიძლება წამეტიხელი, მეორე უკიდურესობაში ჩაიგრძეს, კი არ იმღეროს, არამედ უბრალო „სასუბრო“ კილოზე გადავიდეს.

არც ერთი კი არ შეცვერის აკაკის ლექსის წაკითხვას, მაშასადმე, არც მის ლექსად თქმულ დრამატულ ნაწარმოებებს: არც სიმღერა და არც გაუბრალოება. მას, ეტყობა, სხვაგვარი მიღვიმა უნდა, სხვა გასაღება. მე მგონია, რომ ფრანგული სკოლის პრინციპი გამოვგადგებოდა, რასინისა და კორსულის წამეტიხელობის კი არა, არამედ პიუგოსა და თენდაც როსტენის პიესებისა. მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია და ამას-უკირთ ლება მკვლევართვან დაკირცხება.

· ამგვარად, აკაკი დრამატურგიაშიც პიონერია ლექსად-თქმულ პიესებისა. მანამდე ჩვენორიგინალი, გალექსილ პიესები არა გვქორნა. და ესცე, რამაცვარელია, დიდი განძია ჩვენი დრამატურგიისათვის.

მის მიერ დრამატურგიაში გამოყეანილი ტაბიერი სახეები: გელა, მეღია, თმაზ-ცბიერი და კუდურ ხანუმი კი საბოლოოდ შეჩებიან ქართული ლარერატურის უხვ გალერეიის.

ასე რომ აკაკის დრამატურგიული მოღვაწეობა ერთი დიდი ძეგლია ამ გოლიათი წერტლის მხატვრული, პოლიტიკურად გამა-ცილებული აზროვნებისა.

ს. გერსამიშვილი

აკაკი და თეატრი

ჩვენი სასიქადულო მგლინის აკაკის სა-
თეატრო ასპარეზზე მუშაობა მრავალფერო-
ვანია და ნაყოფიერი. რე არავითარ სამუ-
შაოს არ თაკილობდა, ოლონდ ქართულ
თეატრს შეკიდრად გაედგა ფუსვები და მის
შემოქმედებას: ფართოდ | გაეშალა ფრთხი.

აკაკი ხშირად გამოღიოდა სცენაზე და
სხვადასხვა ხასიათის როლებს ასრულებდა,
სისტემატურად ლებულობდა მონაწილეობას
დივერტინიშენებში: კითხულობდა სცენებს,
ლექსებს და მოთხოვებებს, რეკისორობებდა,
ანტრეპერნიორობდა, აწყობდა შემთხვევითა
ჯასიათის წარმოდგენებს საჭიროების მი-
ხედით, სწერდა სხვადასხვა ენრის დრა-
მატიულ ნაწარმოებები, სწერდა რეცენზი-
ებსა და კრიტიკულ წერილებს სასკრინ ხე-
ლოვნებაზე, ფართო სიტყვიერ პროპაგან-
დას ეწერდა თეატრის სასარგებლოდ (ლექ-
ციები, სიტყვები). ერთის სიტყვით, თეატ-
რის აღორძინებას მოტლის თავისი არსებით
უფყობდა ხელს... უყვალაფერი ამის შეს-
წავლა და აწერა დიდა და სერიოზულ
შრომას მოითხოვს... აქ კი საკითხს გაკვრით
შევეხებით.

დიდი პოეტი ქართულ თეატრს რომ ასე
ყოველმხრივ ეხმარებოდა, ეს შემთხვევითი
მოელნა როდი იყო, არმედ ამას ღრმა
პრინციპული მოსახურება ედვა სარჩულად.
ივი თეატრს დიდ კულტურულ დაწესებუ-
ლებად სთვლიდა და ღიღსავე პრაქტიკულ
შიზნებს უსახვდა. მგლინის აზრით, სასკრი-
ნო ხელოვნებამ ხელი უნდა შეუწყოს ჩვე-
ნი ხალხის გონიერივ ამაღლებას და ზნეობ-
რივ გაფაქიზებას, ამას გარდა, სცენამ უნ-
და დაიცვას სამშობლო ენა, ხალხში გაღ-
ვივოს პატრიოტული გრძნობები, ამეღავ-
ნოს ნაკლოვანებანი, მაყურებელთ აღუძრას
სურეილი ამ ნაკლთა გამოსწორებისა და
ასახოს საერთოდ ცხოვრების სინამდვილე.

მისივე პიესის „კუდურ-ხანუმის“ დადგა
მასთან დაკავშირებით აკაკი 1880 წ. თეატ-
რის მნიშვნელობის შესახებ სწერს:

„მაინცა და მაინც ისეთი თავგამოსახენი
ასპარეზი არ არის თეატრი, რომ თავმოვა-
რეობამ და სახელის სურვილმა აქ შეიტყუ-
ოს კაცი და მატერიალურათ, თუ რამეს და-
კლებს კაცს, თორებ ახლანდელი ჩვენი თე-
ატრი, სცენა ვერას შესქენს. იქ ემსახურე-
ბიან მისთანა პირები, რომელთაც ადვილად
შეუძლიან სხვა გზას დააღვენ, სხვა ხელობა
აიღონ და უმწუხაროთ იცხოვრონ მაშინ,
როდესაც თეატრი მათ დღიურ სახრდოსაც
ერ აღლევს... მაშ რაღა აზრია, რომ ამ
თეატრს ჩასციყიბან? აი რა: როდესაც რო-
მელიმე ხალხი ვეღარაფერს მოქალაქურს
ვეღარ ახერხებს და სხვათაშორის არა აქვს
იმას არც სასწავლებელი, არც მწიგნობრობა
და არც თეატრი მშობლიური, მაშინ ის
ხალხი ითვლება ან ველურ ხალხათ და ან
მკვდრათ, ის საზოგადო კრების ანგარიში-
დან გამორიცხული. არის და იმაზე გვდი
აღარავის შესტკივა, არავინ იცნობს, მაზედ
აღარავინ ჰფიქრობს. ის ხალხი მაშინ დედა-
მიწის ზურგიდამ აღმოფხვრილა, როდესაც
კაცი უძრავათ, მყდრათ სხევს და აღარ
მიერს სიცოცხლის ნიშანწყალს, მაშინ იმას-
თან ექიმი აღარ მივა და წყალსაც აღარა-
ვინ ასწურებს მოსაბრუნებლათ; მაგრამ თუ
კიდევ ფორიალობს და სცდილობს გამობ-
რუნებას, მომხრეები გამოუჩნდებიან. ასეა
საზოგადო კანონი და ბუნება. მხოლოდ ერ-
თადერთი აპარეზი. დაგვიჩინია—თეატრი,
საიდამაც შეგვიძლიან გავიგონოთ ჩვენი
დედა-ენა: ის ენა, რომელზედაც მუსიკობდა
რუსთაველი, ბრძანებულობდნენ თამარები,
რომელზედაც ჰქადაგებდნენ ნინოები და
რომელზედაც სიმღაბლით ღმერთს აღიდებ-
დნენ ქეთევანები და მათი მსგავსები. ჩვენ

ამ თეატრის წყალობით შეგვიძლიან გავიხ-
სენოთ ჩვენი წარსული, დავინახოთ აწყობ
და წარმოედგინოთ მომავალი. აი რას ჰეფ-
ტონბს ქართული ტრუპა და რათ ითმენს
ბევრს გასაჭირს.“ *)

შემდეგ მგოსანი ქვევით განაგრძობს:

„შემცდარია, ვინც ჰეფტონბს, რომ თეა-
ტრის მნიშვნელობა მხოლოდ ის იყოს, რომ
მოცულილი ხალხი გააცინოს და გაამხარუ-
ლოს, მაგისტვის ცირკი და კლონები არი-
ან. არა: ჩვენი ტრუპა სულ სხვა გავარად
უყურებს ამ საქმეს. იმას სურს, რომ სას-
ცენო და საცულისხმო, სასიამოვნო და სა-
სარგებლო ერთმანეთს შეუერთოს და ისე
ეჩვენოს სცენიდამ მაყურებელს. უნდა რომ
დაანახეოს საზოგადოებას მისი აერ და მისი
კარგი. იმათზე დათვიქროს, ხან ამხარუ-
ლოს და ხან დაანალელიანოს...“ **)

ერთეულ წერილში სათაურით: „მცირე
რამ შეინშვნა“, არმლის ორიგინალიც სა-
ქართ. სათეატრო მუშეუმშია დაცული, მგო-
სანი შემდეგს ამბობს:

„თეატრი საზოგადო უმაღლესი საჩინი-
ლია, საიდანაც ხელოვნურად შეზავებული
საჩინო და იმავე დროს სასაჩინებლო რომ
მსმენელ-მაყურებელთ გრძნობა-გონებას
უხიბლავს და ცხოვრების ბრძმებში ატარებს
და თუ ეს ლირსება აკლია შაშინ უბრალო
სალაზრინდარო, საფუნდრუკოთ გადაიქცე-
ვა“. ***)

ასეთი აკაკის აზრი თეატრის დანიშნუ-
ლებაზე და მისი მოღვაწეობაც სასცენო ას-
პარეზზე აქედან გამომდინარეობდა.

თვით აკაკისავე თქმით, სათეატრო მუშაონ-
ბისადმი სურვილი მას პატარაობიდანავე აღ-
მოჩენია. გ. ერთსიავის მიერ თეატრის და-
არსების ამბავს როსტომ წერეთლის ოჯახამ-
დეც მიუღწევია, აქ თურმე ხშირად ჩამოაგ-
დებდნენ ლაპარაკეს თეატრსა და დრამა-
ტურგიაზე. 12 წლის აკაკი ამ საუბარს ყო-

*) გან. „დროება“, 1880 წ. № 208, 3 ოქტომბერი
**) იქვე.

***) სახელმწ. სათეატრო მუშეუმშის არქივი. წერილი
უთარილო, დაწერილია XIX ს. ბოლო წლებში.

ველთვის გულდასმით უგდებდა ყურს, თუ-
თონაც აღეძრა პიესის დაწერის საცენოებლად
და დაწერა კიდეც კომედია „მოურავი“.
თვით მგოსანი ამ კომედიის დაწერის გამომ-
წვევ მიზეზს იგონებს თავის „თავ-გადასა-
ვალში“.

ის გვიამბობს იმ შაბაბეჭდილებაზე, რაც
ქართველ საზოგადოებაზე გ. ერთსიავის კო-
მედია „გაყრის“ დადგმამ მოახდინა, და ამ-
ბობს:

„...წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა, მით
უფრო რომ ის სანახაობა იყო საქართვე-
ლოში პირველი და აღტაცებაში მოიყვანა
არა მარტო მაყურებლები! ელფის სისწა-
ფით მოეფინა ამბავი მთელ დასავლეთ-აღ-
მოსავლეთ საქართველოში, ყველან და
დიდხანს სულ იმ უცხო რამეზე ლაპარაკო-
ბდნენ და მე მგონია ამას დიდი გაყლენაც
ქვენდა! მე მაშინ თორმეტის წლისა ვიყავი
— ჩასაკვირველია თეატრი არსად მენახა,
მაგრამ ნაამბობით ისე ვიყავი გამშვალული,
რომ მეც ვითომ კომედია დავწერე მოუ-
რავი, სადაც ჩვენი ოჯახის შინაური ამბავი
იყო მოყვანილი“. *)

აქავი მეტაურ კლასში იყო. რუსული ლი-
ტერატურის მასწავლებელმა მოწაფეებს და-
ვალა დიალექტის ფურმით რამე გამოგო-
ნილი ამბავი დაწერათ. მომავალმა მგოსან-
მა დასწერა კომედიის მსგავსი რაღაც და
მოქმედ პირად გამოიყვანა ვიღაც სამსახუ-
რიდან გარიცხული მოხელე. კომედია ისე
მოხერხებულად დასწერა და ამავე დროს
ისე დასციონდა მოქმედ პირთ, რომ როცა
მასწავლებელმა წაიითხა, გაბრაზდა, კომე-
დიაში გატარებული დედაზრი არ მოიწო-
ნა, ავტორის შესახებ პედაგოგიურ საბჭოზე
დასვა საკითხი და თან დაასმინა: — „ამის
დაწერი, თუ ახლავე არ აილაგმა, არ ივრა-
ებსო“. ვინ იცის ყმაწვილი ავტორს საქმე
როგორ დაბოლოვდებოდა, რომ ზოგიერთი

*) გან. „თემი“, 1912 წ. № 55. აკაკის სიტყვა მაკო
საფაროვ-აბაშიძის იუბილეზე.

შასწავლებელი არ ჟამოშველებოდა, რისკა
თავიდან. არ ეცილებიათ".*)

ამ ამბავმა პატარა აკაკი ძლიერ ჩაფიქ-
რა და თეატრისადმი სიყვარული უფრო გა-
უდივია.

შემდეგ ამისა მგოსანი 1860 წლამდე თე-
ატრს არ გამოხმაურება. ამ წელს კი და-
წერა ცნობილი ვოლევილი „პირუტყვების
აჩქევანი“. ვოლევილი ლექსადა დაწერილი
და მართალია მოქმედ პირად ცხოველე-
ბია გამოყვანილი, მაგრამ პიესის შინაარსი
აღებულია იმდროინდელი ქართველი საზო-
გადოების ცხოვრებიდან, აწერილია თავად-
აზნაურთა წინამდოლის აჩქევნები და ამა-
თუმ ცხოველის სახით მოცემულია არჩევ-
ნებში მონაწილე პირები. ავტორს აქ თავი-
სი თავიც კი ჰყავს გამოყვანილი პიესის
პერსონაჟების—მოზვერის სახით. ამ პიესის
გამოქვეყნებამ ღიღი აურჩაური გამოიწვია
არისტოკრატიულ და ბიუროკრატიულ წრე-
ებში, რის შესახებაც თვით მგოსანი შემ-
დეგს გვიამბობს: „ამ ხუმრობამ ისეთი უსი-
ამოვნება და მრისხანება გამოიწვია ჩემზე
რომ მე იძულებული გავხდი ქალაქს გავ-
შეცემულიყავი, მაგრამ აქ უარესი დამხვდა.
თურმე იმ ხანებში იქაც არჩევნები ყოფი-
ლიყო და თავის თავშე მიეღოთ, აღარ ვი-
ცოდი რა მექნა. სხვაგან წასასვლელი შეძლე-
ბა ხომ აღარა მქონდას მშინ ხომ რკინის გზა
არ ყოფილა ჩემიში—ძველ სენაჟი ჩავედი
ბესარიონ ქათარაძესთან და იქ ვიმაღლებო-
დი დიღხანს, სანამ მითქმა მოთქმა არ მიწყ-
ნარდა. საკვირველია დაბალი ხალხი ჩუმად
ყველა ჩემი თანამგრძნობი იყო, მაგრამ
ცხადათ გამოსაჩინების ეშინდათ. მე კი
ვინც შესაყეფი იყო, უშიშრიდ ვუყეფდი
აღარავის და არაფერს ვერიდებოდი.“**)

აქედან იწყება აკაკის განუწყვეტილი მო-
ლვებობა სასცენო ხელოვნების ასპარეზზე.

მან ქართულ თეატრს შესძინა 23 პიესა,

*) აკაკი წერეთელი, „რჩეული ნაწერები“, ტომი
„ჩემი თავგადასაგალი“, გვ. 57.

**) აკაკი წერეთელი, „რჩეული ნაწერები“, ტომი
III, გვ. 398.

რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეა ნაწერ-
ები. ამ პიესების უმეტესი ნაწილი ყოველ-
თვის იდგმებოდა ქართულ სცენაზე დამატები-
ულებლებზეც დიდ შთაბეჭდილებას სტო-
ვებდა.

აკაკის დრამატურგია როთულია და მრა-
ვალფეროვნი: უარის მიხედვთ იგი სწერ-
და დრამებს, კომედიებს, ვოლევილებს; ში-
ნაარსის მიხედვით ზოგი ისტორიულია და
ზოგიც იმდროინდელი ცხოვრების სინამდ-
ვილისან აღებულ ფაქტებზეა იგებული.
პიესებს ზოგს ლექსად სწერდა და ზოგს კი-
დევ პროზით.

აკაკი დრამატულ ნაწერებში ერთის
მხრივ რეალისტურ ფორმებში ასახვდა მა-
შინდელი ცხოვრების სინამდვილიდან აღე-
ბულ მოვლენებს, აშუქებდა ამ მოვლენათა
უარყოფით მხარეებს და მაყურებლებში სი-
ცილთან ერთად იწვევდა შინაგრძნობის
ამონავებას და ჩაფიქრებას. მეორეს მხრივ
იმავე მაყურებელს ხანდახან შეაცემადა
ისტორიული წარსულის ლაბირინტებში და
რომანტიკის სხივებით გაშუქებული მასა-
ლების საშუალებით აყნობდა ამ წარსულის
დაფებით მხარეებს, ისტორიის წიაშმ
შეკოდ ადამიანთა ზენ-ჩევეულებების უკეთეს
თვისებებს: გმირობას, რაინდობას, ხალხი-
სადმი პატივისცემას, ქვეყნისათვის თავდა-
ფებას. ასეთნაირად ის ხელს უწყობდა მო-
ქალაქეთა შორის სულიერი სიძლიერის გან-
მტკიცებას და მათში ამ კეთილშობილ თვი-
სებათა აღმკრას.

იმდროინდელი ცხოვრების უხეირო ნი-
ნამდვილის კრიტიკის დარჯაში გატარება,
ისტორიული წარსულის რომანტიკული სუ-
რათების გადმშლა და ამის მეშვეობით მა-
კუურებელთა სულისკეთებაზე ზემოქმედე-
ბა,—ასეთია აკაკი წერეთელის დრამატუ-
რის ძირითად მოტივი.

დადი მგოსანი, როგორც დრამატურგი,
ჩემი თეატრისათვის გაჭირვების ტალევე-
სი იყო. გაუძნელდებოდათ თუ არა სცენის
მოღვაწეებს შესაფერი პიესების გამოქვება,



შას მიმართავდნენ, და აკაკი დაჩქარებით მიაწოდებდა ორიგინალურ, გაღმოყეთებულ ან ნათარებმნ დრომატიულ ნაწილოებს. ზოგჯერ მას შეკვეთილის შესრულება ერთი ლამის განმავლობაშიაც კი უხდებოდა. პიესა „კინტოს“ დაწერის შესახებ თვით მგონანი მეტად საინტერესო და ეპოქის დამახასიათებელ ამბავს მოვითხოობს:

„პირველ ხანებში, როცა ქართულ თეატრს ფერ კიდევ არ ჰქონდა სცენაზე ფეხი მოდგმული, რთული პიესების წარმოდგენა მოუხერხებელი იყო. გარდა გაბუნიასა და საფაროვის ქალისა არტისტი ქალები არ გვყოლია და ეს გარემოება გვაძლეულებდა, პირველ მისთანა აგვერჩია ხოლმე, სადაც ქალების როლი ნაკლები იყო. სეზონი თავდებოდა, უკანასკნელ დღეს გაბუნიას ბენეფისი იყო. მაგრამ რადგან რამდენიმე დღის წინად საფაროვის ქალი ავად გახდა პოულოდნელად, საბენეფისოდ არჩეული პიესის თამაში მოუხერხებელი შეიქნა და ბენეფისი აღარ დგებოდა. ახალგაზრდა ნიჭიერ გაბუნიას ქალს გული დაწყდა და კიდეც უმართებდა; სხვაც რომ არ ყოფილოყო—რა მატერიალურად იჩაგრებოდა. დრო არ იყო სხვა პიესა აგვერჩია და ვერც პიესა გამოვნახეთ მისთანა, რომ მარტო ერთი ქალი ყოფილიყოს მოთამაშე. ახალგაზრდა ნიჭის ყოველთვის თანამგრძნობი ვიყავი და გაბუნიას დაღონებამ მეც შემაწუხა, მეტი ვეღარა მოვახერხე რა, დავჭექ იმ ლამესვე და გათენებამდე დავშერე ეს სცენები „კინტოს“, სადაც ერთი ქალის მეტი არ არის საჭირო და რომელსაც თვითონ მობენეფის ითამაშებდა. ცენტურამ ნება დაგვრთო მეორე დღესვე, და ხელად და ხელად, სამ დღეში მოვამზადეთ ახალი პიესა. ბენეფისშა კარგად ჩაიარა. გაბუნიას ქალი ქმაყოფილი დარჩა და მეც მიამა, რომ ნიჭიერ, ახალგაზრდა არტისტს ქალს გული არ დაეჩავრა.“*)

ეს მოხდა 1880 წელს.

*) აკაკი, „პრემიული“. 1899 წ. № 7, გვ. 34.

1862 წელს ქუთაისში მეორე წარმოდგენის ნაგადებობა და დაგეს ზურაბ ანტონოვას კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“. ამ წარმოდგენის ორგანიზატორი და ინიციატორთაგანი აკაკი იყო. თუ როგორ პირობებში გამართა ეს სპექტაკლი, ამას შესახებ თვით მგონანი შემდეგს გვამბობს:

„1862 წ. დროებით ჩამოვედი რუსეთიდან ქუთაისს. აქ ერთი ქართული ენის მასწავლებელი იყო გიმნაზიაში, მოსიძე, იმან მითხრა ერთხელ; მოდი ერთი ესინჯოთ და თეატრი გავმართოთ, ამ მიყრუებულ ქალაქში სადაც გასართობი არა არის რა!... აქაურებს გაგონებით კი ბევრი რამ გაუგონიათ თეატრზე, მაგრამ თვალით არ უნახავთ და ვაჩენოთ ერთოთ!...“

— კი, მაგრამ ქალი რომ არავინ გამოვა სცენზე? და უქალოდ როგორ მოვახერხოთ მეთქი,—ვუპასხე.

— ახალგაზრდა ვაჟები მოვრთოთ ქალად.

— ეგეც რომ არავინ იქისროს?

— ესინჯოთ!... ვეცალოთ!...

გადავწყვიტეთ და ხმა რომ გავარდა თეატრი უნდა წარმოადგინონ, თუ მოახერხ ხესო, მაშინ ერთმა ახალგაზრდა ქალმა, ნინო აბაშიძემ (დღეს ორბელიანისამ) სთვავა, არა თუ მე გამოვალ სცენზე, ჩემ მევობარ ქალს კეკილა აგიაშვილსაც (დღეს დადიანისა), ივაგულიანებო და მართლაც იქისრეს როლები. იმათ როგორც ოჯახის შვილებს სხვებმაც წაბატეს და გაიმართა რეპეტიციები!... ავირჩიეთ „მზის დაბნელება“. ხან ერთისას და ხან მეორისას ვიყრიდით თავს და დროს ვატარებდით ქართულად: ლხენითა და მთარულებით.

წარმოდგენამდე ჩამდებიმე დღე იყო დარჩენილი. ერთი რეპეტიცია პარასკევს შეგვეძლია. იმ დროს მარხვას არავინ სცენმდა და მასპინძელმაც ვაბშმად სულ სამარხვო მოიტანა. ნავაგაშმევს სულ კულ გახდა, ხოლო გვეგონა და შევშინდით. თურქე მზარეულს ფლავისათვის ნიგვზის ზეთის

მაგიერ შეცდომით სასაქმებელი ზეთი ეჭნა. ამ გარემოებამ რამდენიმე დღე კიდევ გადაგვადებინა წარმოლგენა. ბოლოს როგორც იჭნა წარმოვადგინეთ. ზოგიერთი დარბაის სლები, ძველი კაცები, ჯავრობდნენ: ჯამბაზობა და მაიმუნობა რა საკადრისია, მაგრამ უმეტესობა კი კმიუფოილი დარჩა და იმ ზამთრში კიდევ ორჯერ სამჯერ წარმოვადგინეთ და დიდი ამბავიც იყო ხოლმე ყოველთვის". *)

ეს წარმოლგენები იმართებოდა აკაკის რეკისორინით, ის თამაშობდა კიდეც სცენაზე. ხოლო რა პიესები დადგა და თვით მგოსანი რა როლებს ასრულებდა, სამწერაროდ ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

შემდეგ აკაკი რუსეთში წავიდა და ქუთაისს დაუბრუნდა 4-5 წლის შემდეგ. ე. ი. 1867 წელს. ამ დროს იქ ქალთა უფასო სკოლის სასარგებლოდ გაიმართა სალიტერატუ-

*) გრჩ. „ოფატრი და ცხოვრება“, 1910 წლ. № 35, გვ. 4.

რო საღამო. საღამოზე გიმნაზიის მასწავლებელებს უნდა წაეკითხათ ლექციები თავისუმავ სპეციალობის მიხედვით: ისტორიიდან, ტექნიკიდან, ზოოლოგიდან და სხვ. მონაწილეობის მისაღებად აკაკიც მიიწვიეს. საღამო ძლიერ მოსაწყენი გამოდგა და მაყურებლებმა მოქნარება დაწყეს. დადგა პაკის ჯერი. მან ცოტხალი ენით წაიკითხა მისივე დაწერილი „სცენები საპყრობილები“. თუ როგორი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელზე ცცენების წაიკითხამ, ამის შესახებ თვით მგოსანი შემდეგს გადმოგვცემს: „სცენები საპყრობილები ახალი დაწერილი მქონდა და დავიწყე მისი სხვდასხეა ხმით კითხვა ზეპირად.—უნდა გამოვტყდე, რომ ის კითხვა დიდი არა იყო რა, მაგრამ გამოფხიზლუბულ პუბლიკას მოეწონა, ასტყდა სიცილ-ხარხარი და იმდენად მოეწონა, რომ ითხოვა განმეორება“. *)

ამ სალიტერატურო საღამოში შექმნა ახალი, რომ წარმოლგენების საშუალებით შე-

*) მევ, გვ. 4.

ქართულ დრამატურ საჭიროებულის ბირეველი გამშენება



გ. ჩიხლაძე
დაუბრუნდებოდა



თაემჯდულის
ძლიი პატაგაძე



თაემჯდული.
ამინა ერისთავი



მდგრადი
ა. უიფლიანი



მ. ქ. უიფლიანი



რ. ერისთავი



ნ. ქაჩანაშვილი

მაძლებელია კარგი შემოსავლიანი წყაროს გაჩენა და ამით სცნებულ ქალთა უფასო სკოლის შენახვა. ამ მიზნით აკაკისა და პოეტ რაფ. ერისთავის მეთაურობით ჩამოყალიბდა სცნის მოყვარეთა წრე, რომელიც მოელი ორი წლის განმავლობაში ღრმოგამოშეცვით მართვდა ქართულ წარმოდგენებს. წერთა შორის საქმე ასე იყო განაწილებული: წარმოდგენების მთავარი ორგანიზატორი დაკისრებული ჰქონდა ეფრო კლდიაშვილს, რეკორდის აკაკი წერეთელს, ხოლო სუფლიორის მოვალეობა დაავალეს რაფ. ერისთავს.

ეს წრე გულმოდგინედ მუშაობდა და აკაკი, როგორც რეკისორი და მსახიობი, გას არ მოსცილებია. რა თქმა უნდა, ახლად ფეხადგმული ქუთაისის სცნია შესაფერისად ვერ იყო მოწყობილი; არ იყვნენ გაწვრთნილი მახიობები.

ამ წარმოდგენების ბევრი ნაკლიც ჰქონდა, მრავალი დაბრუოლება ელობებოდა წინ და კურიოზებიც თან სდევდა, მაგრამ მეთაურები მუშაობას არ აფერებდნენ და ღწეუბულ საქმეს ენერგიულად განაგრძოდნენ.

სალუსტრაციიდ მოყიფანთ ერთ კურიოზს, რაც დამახასიათებელია იმდროინდელ სცნის მოყვარეთა მუშაობისათვის და რომელსაც თვით აკაკი გვიაბოს. დაუდგამზაფრი ერისთავის რომელიმც სამ მოქმედებინი პიერა, წარმოდგენას სუფლიორიბეჭვით ავტორი. „წარმოდგინეთ რა გამოვიდა“, — გვიაბოს მეგონი. — რადგანაც პიერა რეცეულებად იყო დაყოფილი, რაფიელს მეორე მოქმედება შინ დარჩენდა და ეს მაშინ გაფიგეთ, როცა ვამოსული ვიყავი სცნაზე. რადგანაც დედაზრი პიერის შეგნებული გვერდა, მე დავიწყე ჩემი სიტყვებით ლაპარაკი. ეფრო (კლდიაშვილი) არ დაიბნა და ისიც თავის სიტყვებით მაძლევდა შესაფერ პასუხს. ასე რომ პუბლიკას ამაში არა თუ არა გაუგია რა, დიდათაც მოგვიწონა.“ *)

*) ეურნ „თუატრი და ცხოვრება“, 1910 წლ. № 36 გვ. 3.

შიუქედაგად ყოველი ნაკლია, მა არა მუშაობამ ღილი სარგებლობა მოიტკიცია, მოავლინა არტისტული ძალები, შემოირიბა თეატრის გარშემო მაყურებლები, კურექმნა საზოგადოებრივი აზრი, რომ საჭიროა შექმნა ისეთი ფრიად მნიშვნელოვანი დაწესებულების, როგორიც არის თეატრი და ამნაირად ქუთაისში მუდმივი თეატრის დასაცემის საქმეს ნიადაგი მოუმზდა.

ეს წრე მარტო ქუთაისში მუშაობით არ კმაყოფილდებოდა. ერთხელ თბილისშიც კი ჩამოვიდა წარმოდგენის გასამართვად. დადგეს გ. ერისთავის ღრამა „ყვარცყვარ ათაბაგი“. ამ წარმოდგენში მონაწილეობას ღებულობდნენ აკაკი და ეფრო კლდიაშვილი. წარმოდგენამ მაყურებლებზე ღილი შთაბეჭილება დასტოა.

1869 წელს მეონანი თბილისში გადმოსახლდა. ამ ღრამს აქ შესდგა ახალგაზრდობის ჯგუფი ნ. ავალიშვილის მეთაურობით. მათ განზრახული ჰქონდათ წარმოდგენების გამართვა. აკაკი ჩამოვიდა თუ არა თბილისში, წერემ მეონანს ერთხმად მოსთხოვა დახმარება და ხელმძღვანელობა. იგიც ჩეეულებრივად დაუზარებლივ ჩაუდგა მუშაობას სათავეში. დაიწყო თავისივე პიერის „ძეველსა და ახალს შუა“—მომზადება. მაგრამ წარმოდგენის გამართვა არც ისე აღვილი საქმე აღმოჩნდა: ძლიერ იშმვეს როლების ამსრულებელი ქალები. მათ შორის ორი მეტავარი იყო და მუშაობდნენ ვინმე ბერლემონ, რომელიც მათ სამუშაოდან ღროშე არ ათავისუფლებდა. ამის გამო რეპეტიცია ყოველთვის გვიანდებოდა და ხშირად იდებოდა კიდეც შემდეგ ღროსთვის. „მეტავარი ქალების ამ რეპეტიციებზედ დაგვიანების გამო მათი ჩაგონება და მოყვანა აკაკის ერგო წილად, ვითარცა ჩევნში ცველაზე საპატიოს“, — გვიაბოს ნიკო ავალიშვილი; — „თანაც ლაშ. ეგნატაშვილი გავაყოლეთ, მათი წასვლის შემდეგ დიდხანს არ გაულია ორნივ გულდათუთხულები მოცემლენ ცარიელები თანაც საყვედურები მო-

**) გაზ. „ოქმი“, 1912 წლ. № 55.

გვახალეს: — საბ გაგვზავნეთ, კინაღამ გვცე-
მესო გვიამბეს:

— ქალების მოსაკითხად ეროდან შევე-
დით, ვიღაც ორი კაცი დაგვიჩდა. — „რაო,
ქალებიო, აი თქვენ ასეთ-ისტოგბორ“ — და-
გვიყვირეს და ცოცხის ტარებს წამოვლეს
ხელი, რომ არ გამოვჩეულიყავით, გვცემ-
ლნენო“.*)

ასე გაჭირებებით მოაზალეს პიესა. არა
ნაკლები წვალება და შრომა დაჭირდა სცე-
ნისა და დეკორაციების მოწყობას. შეკრე-
ბილი ფულით შეიძინეს სატრეზე ხე-ტყის
მასალა. შესაძენად თვით აკაცი და ნიკ. აკა-
ლიშვილი წასულა. ეს უკანასკნელი, ეხება
რა ამ საკითხს, შემდეგს გადმოვცემს:
„მუშტაილში წასვლა მე და აკაცის მოგვიხ-
და. მეტად სხახაველი ამინდი იყო, თოვლ-
ჟყაპი და ტალახი. მთელი გზა მუხრანის ხი-
დიდან მუშტაილმდე ქვეითებმა ვაშლაპუ-
ნეთ, რადგან ჯიბეში არც ერთს „დროშების“
ფული არა გვქონდა. მუშტაილის ქუჩას რომ
დავადეჭით, აკაცის გავეხუმრე:

— ამ გამვლელ-გამომვლელმა რომ შენი
ვინაობა იცოდეს, შენს ამ ტალახში ქვეი-
თად შლაპუნზე რამდენს გაიცინებს მეთქი.
აკაცი არხეინაა მიპასუხა:

— საქმე უფრო ნამდვილად ქვეითად სია-
რულით კეთდებათ.

შემდეგ ეს მისი ნათქვამი აფორიზმად გა-
დაიქცაო, ***) დასძენს ნ. აკალიშვილი.

რის გაჭირებით მოსაძენეს დაბაზიკ წარმოდგენის მოსაწყობად. „სცენა რომ არ-
სად იყო, არჩილ მუხრან-ბატონის ქვირივმა
დაგვითმო მისი დიდი ზალა და ჩვენ კი აქ
ხელად შევხანხლეთ სცენაო“, — ამბობს აკა-
ცი. ასეთუისე წარმოდგენა მოწყეს. დიდა-
ლი მაყურებელი დაესწრო და ყველა კმა-
ცოფილი დაჩრჩა. შემოსავალიც კარგი იყო,
მაგრამ ხაჩები მაინც ვერ დაფურა. ამის შემდეგ აკაცი, აკალიშვილის თქმით კიდევ
ერთი წარმოდგენა დადგა.

*) საჭართ. სათაატრო მუშეუმის მასალები. ნიკ.
აკალიშვილი, მოგონებანი, გვ. 128. - 129.

მგონის მიერ გამართულმა წარმოდგენი
ნებმა დიდი პრაქტიკული ღახმარებრივი
წია თბილიში ქართული წარმოდგენების
გამართვის საქმეს: ჩამოყალიბდა სცენის
მოყვარულთა წრე, წარმოდგენებიდან შე-
მოსული ფულით შეძენილ იქნა ტანისამო-
სი, ფარდა, დეკორაციები, ცოტა ავეჭიუ-
ლობაც, და ქართული წარმოდგენების მარ-
ოვას შეექმნა ერთგვარი ბაზა.

აკაცი შემდეგ წრეს ჩამოსცილდა, მაგრამ
მის მიერ დაფურნებულ საქმეს ნ. აკალიშვი-
ლი ჩაუდგა სათავეში და განაგრძო სისტე-
მატურად წარმოდგენების გამართვა ე. წ.
ნემცების კლებში.

აკაცი ხშირად გამოდიოდა სცენაზე, ას-
რულებდა სხვადასხვა ხსიათის როლებს. ჩვენი პრესა ძლიერ ცოტა ცნობას იძლევა;
პოეტმა სახელდობრ რა როლები და რო-
გორ შეასრულა. პოეტ ი. გრიშაშვილის მი-
ერ შეკრებილ ცნობებით აკაცის სხვათა შო-
რის შეუსრულებია სუნდურიანცის პიესაში
„კიდევ ერთი მსხვერპლი“ — მიხეილი, თავის
კოდევილში „ბუტაობა“ — გორგა და მო-
ლიერის კომედია „სკაპენის ცულლუტობაში“
— ეროვნტი.

ეროვნტის როლი მან შეასრულა 1880
წლის იანვარში, როცა „სკაპენის ცულლუტ-
ობა“ კორე მესისი საბენეფისოდ დადგეს.
გამ. „დროების“ რეცენზენტი, „ათაგებს რა
რეცენზიას ამ წარმოდგენის შესახებ, სხვა-
თა შორის ამბობს: — „აკაცი წერეთელზე
(ეროვნტი) არა მეთქმის რა, რადგანაც აქ-
ტიორი არ არის და მხოლოდ განსაკუთრე-
ბულმა გარემოებამ გამოიყვანა სცენა-
ზედა-ო. *)

რა იყო ეს „განსაკუთრებული გარემოე-
ბა“ ჩვენთვის უცნობა, მხოლოდ აღვნიშ-
ნავთ, რომ რეცენზენტები საერთოდ გაურ-
ბიან აკაცის — როგორც მსახიობის დაბასითე-
ბას, „რადგანაც აქტიორი არ არის“, და რო-
ლებს ასრულებს როგორც სცენის მოყვარე.

*) ავტ. ცაგარელი, კომედიები ი. გრიშაშვილის რე-
დაქციით 1936 წ. გვ. IX.

1879 წელს, როდესაც ალდგენილ იქნა ქართული პროფესიული თეატრი, სამოქმედო აქტორები გაფართოვდა და დაარსდა დრამატიული კომიტეტი; ამ კომიტეტში წევრად აკაკი არჩიეს, კომიტეტის წევრთა შორის დაიბადა აზრი დაერსებინათ დრამატიული საზოგადოება და მის მუშაობაში უფრო მეტი გულშემატკიცარი მიეზიდა. ამ აზრის ერთერთი მოზიარე აკაკი იყო. შესდგა საზოგადოების დამფუძნებელთა ჯგუფი 29 კაცისაგან, რომელთა რიცხვში იყვნენ აკაკი, ილია, რაფიელ ერისთავი და სხვა შემძლები და საზოგადო მოღვაწენი. 1880 წ. 20 ივნისს ნამესტნიერა წესდება დამტკიცა და შემდეგ მოაწყეს საზოგადოების წევრთა პირველი კრება, სადაც აზრეულ იქნა პირველი გამგეობა. პირველი გამგეობის თავმჯდომარედ არჩიეს ილია ჭავჭავაძე, ხოლო მის მოადგილედ აკაკი წერეთელი. ამის შემდეგ საქართველოში სათეატრო საქმეს დრამატიული საზოგადოება ხელმძღვანელობდა. ის ხან უშუალო აზრმოებდა სეზონებს, ხან კიდევ ანტრეპრენიორებს გადასცემდა ამის უფლებას, თვითონ კი სერთო მეთვალყურეობას უწევდა და სუბსიდიებით ეხმარებოდა.

ერთერთი სეზონის ანტრეპრენიორობა აკაკისაც ხვდა წილად. ეს მოხდა სრულიად შემთხვევით და სწორედ ისეთ დროს, როცა საქმე გაჭირდა. დრამატიული საზოგადოება ჯერ კიდევ ახალი ჩამოყალიბებული იყო და არ ჰქონდა ნივთიერი შესაძლებლობა სეზონი მოწყობი. ეს იყო 1880—1881 წლ. სეზონი. ილიას თხოვნით ეს მძმე საქმე აკაკი იყიძრა. ამის შესახებ თვით მგოსანი შემდეგს გვიამბობს:

„ერთხელ მოვიდა ჩემთან ილია ჭავჭავაძე და სხვათაშორის თეატრის შესახებაც ჩამოვარდა ჩევნ შორის შემდეგი საუბარი: — კაცო, ე თეატრი რომ აღარა გვაქვს, რას იტყვი შენ? — დამეკითხა მოწყენით: — ძლივს-ძლივობით, როგორც იქნა, სა-

ზოგადოება მივაჩიიეთ. თეატრს, აზრის, ისევ უნდა გადავავიწყოთ... — ეგ მეც მაღონებს, ცოტა არ იყოს, — ვუპასუხ მე.

— ბევრი ვეცალე, მეგრამ არა გამოვიდა რა, ახლა აღარ შეიძლება, დაგვიანებულია, სხვას მივეცით ეგ დლეო.

— ტყუილა კი არ არის ნათქვამი: საზიარო ყანა თხამ შექმარო! ბევრი მეთაური რომ ყავდა, ერთმანეთის ჯბრით გააფლეს საქმე.

— ერთმანეთის ჯიბრით თუ დაიმედებით, არ ვიცი, მაგრამ ე თეატრი კი დავკარგეთ და....

— კითომ აღარა ეშველება რა?

— ეშველება თუ შენ მოინდომებ.

— მე?

— ჴო შენ! ქუთაისში როგორც მოახერხეთ, ახლაც დროებით სცენა გამართოთ სადმე და შენ ითავე... რაფიელ ერისთავი მხსანგად გვყოლება, მეუნარგია მდიდანია. ჩვენც ყველა დაგეხმარებით და საქმე რომელმე ეგებ მოვაგაროთ!

— ეგ მოუხერხებელია.. მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი როცა რამეს აუთებს გმირია, მაგრამ მეორე თუ ამოუღა გვერდით, აღარც ერთი აღარ ვარგა, ერთი მეორეს ხელს უშლიან და ალაყებენ...

— კარგი ერთი! რა დროს ხუმრობაა?

— არა, მე არ ვხემრობ! — ეს არა თუ დღეს, ისტორიულადაც აგრე ყოფილა ქართველებში: დიდი მოურავი გორგი სააკაძე და არა ნაკლები გმირი ზურაბ ერისთავი, რომ ორივე ერთსა და იმავე დროს არ ყოფილიყვნენ, ვინ იცის, საქართველოს საქმე შეკრიფილდა?

— და მაგითი რა გინდა რომ სოქვა თეატრის შესახებ?

— ის რომ სანამდე ბევრი მეთაურები იქნებიან, კომიტეტი და ქველმოქმედებაზე შემდგარი თეატრიც ვერ იხეირებს. საპიროა ერთმა ვინმე აიღოს ანტრეპრიზა, შემოილოს დისტანციანა, რომ არტისტები თავა-

დებული არ იყონ და ნელ-ნელა გამობრუნ-
დება საშტარი.

— მაშინ ხომ არტისტებს გადაწყვეტილი
ჯამაგირი უნდა დაწინაშინოს?

— რასაკირეცველია..

— ჰო და ვინ გაბედავს იყისროს?

— მე ვიქისრებდი, რომ შეძლებული ვი-
ყო.

— იყისრებდი?... მაშ დიდ ჯამაგირს ნე-
დაუნიშნავ და თუ შემოსავალი ვერ დაფა-
რავს ჯამაგირს, მაშინ მე ვიღებ თვაზე, რომ
ჯამაგირის მხრით არტისტები უზრუნველი
იყონ... შენ კი დაწყე და, თუ საჭირო იქ-
ნება მე მოვაგორებ ხოლმე ფულებმო". *)

ჩვენ არ შევეხებით აკაიის შეხედულებას,
მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მან ასეთ პირო-
ბებში იყისრა ანტრეპრიზა და შეუდგა სე-
ზონის ორგანიზაციას.

აკაიი მოლაპარაკება გამართა ცნობილ
სომებს საზოგადო მოღვაწე არტისტუნთან, რა-
თა მას თავის ქარებასლაში (იქ, სადაც ახლა
გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატ-
რია) მოწყო თეატრი. არტისტუნი დათანხმდა,
შენობა საჩქაროდ ვადაკეთა, მორთო,
და ქართულმა დასმა აქ დაწყო წარმოლევ-
ნების გამართვა.

ანტრეპრენიორმა პირველხარისხოვან მო-
თამაშებს დაუნიშნა თვითორი ხელფასი ის-
ასი მანეთი, და ბენეფისი, მეორეხარისხოვანთ—
სამოცდათი მანეთი და ნახევარი ბე-
ნეფისი, მესამეს—45 მან., ხოლო მეოთხეს
— 35 მან. თეატრის სამხატვრო ხელმძღვა-
ნელობა—რეკლიმორინბა და აღმინისტრატო-
რობა თვით მგოსანმა იყისრა. საშტარ თვა-
დან კარგად მიღიოდა. დასის წევრთა შო-
რის არსებობდა მეგობრული კავშირი ყო-
ველთვის დრომალი მაყურებელი ესტრებო-
და. აკაიი ამბობს:

„თეატრი ყოველთვის საუსე იყო ხოლმე
და შემოსავალი არა თუ ჰყოფნიდა ჯამაგი-
რად, კიდეც გადაჭარბა. წარმოლევნა გვქო-

*) უზრ. „თეატრი და ცნოვრება“ 1910 წ. № 38
აკაიი—„გახსუნება თეატრის შესახებ“.

ნდა კვირაში ერთჯერ, მერე იმავე პირს შე-
კვირაშივე ვითამაშებდით გავლით უფროსშემ
და მერე ქუთასსი. საზანდრები ასტრიუმი
დასტით თან დაგვყავდა ხოლმე, რასაკვირ-
ველია, ჩვენის ხარჯით და ქირით; საზანდა-
რიც გარეშე გვყავდა დაჭირავებული და
ყველას ამას არა თუ ჰყოფნიდა, კიდეც
აქატებდა შემოსხვალი“.

მიუხედავად იმისა, რომ საშტარ კარგად
მიღიოდა, თვით აკაიისთვის უსიმოვნო
მძავი დატრიალდა. მეშაობის წესიერად
დაყენებამ და უმთავრესად კარგმა შემოსა-
ვალმა, მსახიობთა ერთ ნაწილში შეჭმჩა
აზრი, რომ მათ თვითონ ჩამოყალიბონ მძ-
ხანავობა, თვითონ ჩაუდგნენ თეატრს სათა-
ვეში და ანტრეპრენიორს არ დაემორჩი-
ლონ. ეს აზრი განსაკუთრებით მკაფიოდ
წამოიჭრა ქუთასსში გასტროლებზე ყოფ-
ნის დროს.

სეზონის მიწურულში დასი საგასტრო-
ლოდ ქუთასსში ჩავიდა. მათ ჩასულა დაემ-
თხვა იმ დროს, როცა იქ სათავადაზნაურო
ბანების წევრთა კრება მიმღინარეობდა. ვის არ
მოეხსენება ჩვენში „ბანქოვიადს“ ისტორია.
მთელი დასავლეთ საქართველოს ინტელი-
გენცია და თავადაზნაურობა ქუთასში იყო
თავმოყრილი. მან კი წარმოლევნების გა-
შარითას ძლიერ შეუწყო ხელი. ყევლანი თა-
ვისი ცოლებითა და ნათესავებით გარ-
თობის მიზნით თეატრში დადიოდნენ. II
წარმოლევნა დაიდგა ზედიზედ და თეატრიც
მაყურებლებით ყოველთვის გაშედილი იყო.
დას 5110 მანეთი მოვება დარჩა. მგოსანი
სისახულისაგან ფეხშე აღარ იდგა და მო-
მავალი სეზონის გეგმებს აწყობდა. მაგ-
რამ ასეთმა შემოსავალმა დასის ზოგიერო
წევრს სხვანარი ფიქრი დაუბადა, მათ იფი-
ქრებს: აკაიი ჩამოვიცილოთ, შევადგინოთ
მსახიობთა ამხანაგობა და საშტარ თვითვე
გაცემლეთო. მათ სხვებიც აიყოლიეს. აკა-
იის გამოუცხადეს—აწი აღარ გემორჩილები-
თო, მიატოვეს და ჩამოვიდნენ თბილისში...
და აკაიიმაც ანტრეპრიზას თავი დაანება.

1903-04 წლ. სეზონში თბილისის დრამა-ტეატრ საზოგადოების გამგეობამ აკაკი ჩე-ეისორია და ყოველნაირ დახმარებას დაპირდა. ამით დამეტებული, იგი შე-უდგა შემთხვევას, მაგრამ იმდი არ გამართლდა: აუარებელი დამაბრკოლებელი მიზა-ზები გადაეღობა წინ, რაც მუშაობის წესი-ერ მსვლელობას ძლიერ უშლიდა ხელს.

ცნობილმა მსახიობმა კოტე მესხმა, რო-მელიც იმ წელიწადს თბილისის დასში მუ-შაობდა, ამ სეზონს „სიცრუის სეზონი“ უწოდა... სხვათა შორის ის ამბობს: „დაწ-ყებისთანავე ჩევნს თეატრს წელს სიცრუე. ჩაუდგა კვალში და გათავებამდის ძვალა-რბილ-ში გაუარა! პირველი სიცრუე და უმთავრე-სიც ის იყო, სეზონის განხინის დროს დრა-მატიული საზოგადოების გამგეობა განხეთ-ბის საშუალებით და სიტყვიერადაც ყველი არმშენებდა:

— წელს კარგი სეზონი გვექნება, რადგან დიდი დასი, საჭკეთისო არტისტები და ახა-ლი რეკისორი მოვაწვიეთ და ახალი რეპერ-ტუარი შევადგინეთ!

ძალიან კარგი, სეზონის მაგიერ გამოვი-და „სიცრუის სეზონი“. *)

მიუხედავად ასეთი მდგრადი რეობისა, აკა-კიმ, მაინც შესძლო სეზონის ბოლომდე მიყვანა. ამ სეზონში ერთ მეტად შესანიშ-ნავ მოვლენად ჩაითვლება ის, რომ ქართულ სცენაზე პირველად დადგეს ალ. სუმბათა-შვილ—იუსტინის ცნობილი ისტორიული პი-ესა „ლალატი“, რომელიც ჩევნი თეატრის რეპერტუარს მრავალი წლის განმავლობაში არ მოსცილებია.

სეზონი ადრე დასრულდა, სახლდობრ 1904 წ. თებერვალში. იმავე წლის მაისში აკაკიმ გაზ. „ივერიაში“ გამოაქვეყნა ცე-ციალური წერილი თეატრის მიერ გასულ სეზონის განმავლობაში ჩატარებული მუშა-ობის შესახებ. ეს წერილი დრამატიული სა-ზოგადოების გამგეობაზე შედგენილ ნამდ-

*) გან. „ცნობის ფურცელი“, 1904 წლ. № 2407, 12 თებერვალი.

ვილ საბრალმდებლო იქმს წარმოადგენებს სადაც ავტორი დაურიდებლად პრინციპების კოველივე ნაცალს და მომავალი მუშაობის შესახებ იძლევა პრაქტიკულ წინადადებებს.

ჩევნი თეატრის მუშაობა რომ სათანადო ტემპებით ვითარდებოდეს, მგრისანს საჭი-რიდ მიაჩნია: დრამატ. საზოგ. გამგეობაში არჩეულ იქნას საქმით დანატერესებული და სათეატრო ხელოვნების მცოდნე პირები, მსახიობთა კავალიფიაციის ამაღლებისა და ახალი კადრების შექმნისათვის მოეწყოს დრამატიული კურსები, გადათვალიერდეს და შემუშავდეს რეპერტუარი, მსახიობები ხელფასით დროულად იქნან დამაყოფილებული, მსახიობებს სეზონურად კი არ უნდა ეძლეოდეს ხელფასი, არამეტ მოული წლის განმავლობაში. „თორემ ხუთ თვეს საყველ-ბუროდ მაძლარი და დანარჩენ შვიდი თვე მშეორ-მშეურვალი კაცი არა თუ არტისტად, ნაცარებებიადაც აღარ გმოდებაა“, დასტენს აკაკი. *) ამას გარდა მას საჭიროდ მიაჩნია „საემირიტიურო კასის დაარსება, რომ დამ-სახურებულ არტისტებს, ანუ დაუძლებულებს, როცა შრომა აღარ შეეძლებათ, პენია დაენშნოს ხოლმე...“*)

კველაფერი ამის მოგვარება თეატრს მკითხა ნიადაგზე დაყენებდა რა თქმა უნ-და, და დილმა პოეტმაც ეს სკირბოროტო საკითხები ჩევნი სცენისა სრულიად კანო-ნიერად და დროულად წამოჭრა.

აკაკი მსახიობებსაც უყენებს მოსხვერი-ლებებს და ამბობს:

“1) არტისტები დანიშნულ დროზე უნდა მოდიოდნენ, რეპერტიული დროს ერთად უნ-და იყონ თავმოყრილი და ყურს უგდებდ-ნენ რეპეტიციის, რადგანაც სხვებს როცა წვრთნიან და ასწავლიან, ის დანარჩენ ყვე-ლასათვის საჭიროა, მიუხედავად იმისა, აქეს ამ პიესაში როლი თუ არა. დღეს კი, რე-პეტიციების დროს, როდესაც ზოგიერთები ერთმანეთს რეპლიკებს აძლევენ, სხვები

*) გან. „ივერია“, 1904 წ. 12 მაისის № 3.

*) იმდე.

კულისებში დასეირნობენ და აქტო-იქით კუ-
თხებში საუბრობენ სულ სხვა გარეშე რა-
მებზე.

2) როლი უთუოდ ზეპირად უნდა იცოდ-
ნენ, რომ სუფლიორი აღარ სცირდებოდეთ.

3) დედა-აზრი პიესისა შეგნებული უნდა
ჰქონდეთ და თავის როლები გარკვეული.
ერთი სიტყვით თავის; მოვალეობას მაშინ
კეთილ-სინდისიერად უნდა ასრულებდნენ!
და ეს მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როცა
ოჯატრი არტისტისტისტვის სამკვიდრო რამე იქ-
ნება და არა სხვათაშორისო საქმე". *)

აკაკი ამას გარდა სხვა მოელ რიგ საკით-
ხებს აყენებს და საერთოდ ასკენის:

"გამგეობამ ამაზე უნდა იფიქროს. მაშინ
თავის გასამართლებელი რამ აღარ ექნებათ
რა არტისტებს, გულდაგულ შეუდგებიან
ერთხელვე ნაკისრებ საქმეს და იმედია,
ქართული სცენაც ისეირებს, რისაც თავდე-
ბია ჩვენი ხალხის წიჭი. მანამდე—კი ყველა-
ფერი ტყუილია. თუ ასე დარჩა, როგორც
ეს დღემდე ყოფილა, ჩვენი სცენა, ვნების
მეტი არა გამოვა რა!.. ხელოვნება შეურაც-
ყოფილი იქნება, ენა გარკვილი და ადა-
მიანური მოვალეობა გაყიდული". **)

მკაცრი განაჩენია, მაგრამ მგოსნის პირით
ოვით ჰეშმარიტება ღალადებდა. მის მიერ
ჩამოთვლილი ნაკლოვანებანი დღეს, როცა
ქართული თეატრი ხელოვნების უმაღლეს
მწვერვალებს ისყრობს, სრულიად აცილე-
ბულია თავიდან, მაგრამ იმ დროს, 30—35
წლის წინათ, მათი მოწესრიგება, როგორც
კედავთ, არც ისე აღვილი იყო.

აკაკი ეშირად ათავსებდა პარესში რეცენ-
ზიებს წარმოდგენების შესახებ, რომლებ-
შიაც მისთვის ჩვეული გამჭრიახობით და

ენა-მახვილობით კრიტიკულად იხილავდ
პიესებს, აკრიტიკებდა მსახიობების თანამდებობა
და მათ შესაფერ რჩევა-დარიგებას იძლევ-

და.

1910 წლ. სექტემბრიდან ურანია „თეა-
ტრი და ცხოვრებაში“ მან დაიწყო თავის
შესახიშნავ მოგონებათა გამოვლენება სა-
თაურით „გახსნება თეატრის შესახებ“,
რაც ჩვენი თეატრის ისტორიის მევლევარე-
ბისათვის ძვირფას მასალას წარმოადგენს.

1914 წ. ინგისში ქართველი ხალხის კულ-
ტურული ცხოვრების ისტორიაში მეტად
საყურადღებო ამბავი აღინიშნა: დრამატიუ-
ლი საზოგადოების ინიციატივით 8 ინგისს
მოწევულ იქნა „სრულად საქართველოს
სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა“.
ეს იყო არა მარტო სცენის მოღვაწეთა პირ-
ველი შეკრება, არამედ პირველი ყრილობა
მოელი საქართველოს საზოგადო მოღვაწეთ-
ადს, რომელთაც მიზნად ჰქონდათ დასახუ-
ლი ემსჯელათ ისეთ დიდ კულტურულ საქ-
მეზე, როგორიც არის სათავატრი ხელოვნე-
ბა, და არსებულ ნაკლთა გამოსასწორებლად
გამოეცებათ შესაფერის წამალი.

იდიო მგოსანი აკაკი არჩეულ იქნა ყრი-
ლობის საპატიო თავმჯდომარედ და მისი
უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა ამ
ისტორიული ყრილობის ფრიად დადგინდევ-
ნელოვანი მუშაობა.

ეს იყო უკანასკნელი გამოხმაურება თეატ-
რისადმი. მის შემდეგ ჩვენს სათავანებელ
მგოსანს არ ჰქონია ფიზიკური შესაძლებ-
ლობა, თავისი გამოცდილი თვალებით გაე-
ხდა თეატრისაკენ, გამჭრიახი გონებით გა-
ნეჭვრიტა მისი აკაკრე და თავისი ტყბილი
და მახვილი ენით რჩევა-დარიგება მიეცა
სცენის მოღვაწეებისათვის.

*) იქვე.

**) იქვე.



ნ. დალიშვილი



ს. სულხანიშვილი



მ. იპოლიტოვ-იგანოვი



დ. ბალაშიკვაძე



გ. გარეარეტელი



ა. არაყიშვილი



ა. ყარაშვილი



გ. ჩავჭავაძე



ი. წიკვაძე



გ. მეგრელიძე

გ. ჩხილაძე

ეკაკი ნაგათები და ქართველი კომპოზიზორები*

„მე ჩონგური მისთვის მინდა;
რომ სიმრთლეს მსახურებდღს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიშიფით აზურებდღს!“

ეროვნულ სამუსიკ შემოქმედებას ერთ-ერთი საპატიო ადგალი უჭირავს ხელოვნების ფრონტზე და დიდ როლს თამაშობს მათუმი ერის კულტურულ მშენებლობაში. ხოლო მისი მნიშვნელობა უფრო ღრმავდება, როდესაც იგი შეზავებულია ეროვნულ პოეტურ შემოქმედებასთან, როდესაც ხელოვნების ორი დარგი—პოეზია და მუსიკა—ერთობერებს ავსებს და ერთ მთლიანობაშია მოცემული.

ამ თვალთახედვით დიდ ინტერესს წარმოადგენს საკითხი—რამდენად არის გამოყენებული ქართული სალიტერატურო კულტურა ქართულ მხატვრულ მუსიკაში—იქნება ეს ფოლკლორული მუსიკისა თუ აკადემიური სამუსიკ შემოქმედების ნაყოფი.

ეს საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია და მოისხოვს ქართულ მუსიკს მკვლევრთავან ყურადღებით შესწავლა-გაშუქებას, მაგრამ ამგამად მკითხველთა ყურადღებას ამაზე არ შევაჩერებ, რადგან იგი არ წარმოადგენს ამ წერილის პირდაპირ სავაჭრს. მას შევეხეთ იმდენად, რამდენადაც აკავი წერეთლის პოეტური შემოქმედება ერთერთი და უსათუოდ თვალსაჩინო ნაწილია იმ საერთო ქართული ლიტერატურისა, რომელიც ჰქონდა და ჰქონდა ქართულ მხატვრულ მუსიკას.

ცნობილია, რომ სანამ გაჩნდებოდნენ ქართველი პროფესიონალი კომპოზიტორები,

* მონოგრაფიიდან — „აკავი წერეთლის პოეზია ქართულ მუსიკაში“.

ჯერ ქართული სამუსიკ ფოლკლორი, ხოლო შემდეგულსახელო აკტორები და მუსიკის მოყვარული დილეტანტები ან ნახევრად პროფესიონალები ხარბად ეწავებოდნენ ქართული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლთა პოეტურ შემოქმედებას.

ქართველ ხალხს თავის სიმღერებში უხვად აქვს გამოყენებული შოთა რუსთაველის გნიალური ქმნილების „გვეფის ტყაოსნის“ შესანიშნავი სტრიფები. ჩევნამდე მოაწია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განხეულმა ხალხური სამუსიკ შემოქმედების იშვიათმანი ნიმუშებმა, რომლებშიც გამოყენებულია მხატვრული სიტყვის დიდი ისტატის შოთას უკვდავი აფორზიმბით — „ვერ დაიკირავს სიკვდილს გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“, „ლეკვა ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხევადია“, „ვარდა ჰეთხეს—ეგზომ ტურფა რამან შეგვმნა ტარად, პირად“ და სხვ.

მეცხრამეტე საუკუნის ქალაქური სამუსიკო ფოლკლორის საუნგეს წარმოადგენდა ბესიკის, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ოჩბელიანისა და სხვათა „მუსამბაზებზე“, „თეკლისებზე“ და „ბაიათებზე“ ღამდერებული ეშნით აღსავს მუსიკა; ნიკოლოზ ბარათაშვილის „სულო ბოროტონ“, „წარვედ, წყლის პირას“, „მორბის არაგვი“ და სხვა; დიდი ილიას „ჩემ კარგო ქვეყანავ“, „მესმის — მესმის“, „ტყემ მოისხა ფოთოლი“ „ერთხელ ვიხილე“ და მრავალი სხვა ასაზრდოებდა, რო-

გორუ სოფლურ, ისე ქალაქურ სამუსიკო
ფოლკლორს.

ქართველ კომპოზიტორების ნაწარმოებები
შეც დიდი ადგილი აქვს დათმობილი მათ
პოეტურ შემოქმედებას. შექმნილია მრავალი
რომანი, საგუნდო ნაწარმოები, რამდენიმე
ოპერა, სიმფონიური პოემა და ბალეტი მა-
თი ტექსტების მიხედვით. დიდ ყურადღე-
ბას იმსახურებს აგრეთვე რაც. ერისთავის,
ვაკა-ფშაველას, შიო მღვმელისა და სხვა
ქართველ პოეტების შემოქმედება, მაგრამ
მათ შორის განსაკუთრებით გამოიჩინა
XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული
ლიტერატურის დიდი მოამაგე, მხცილე
პოეტი ილია ჭავჭავაძე, რომლის პოეზიაც
საკმარ სიუჩვითაა გამოყენებული ქართველ
კომპოზიტორთა შემოქმედებაში.

აღსანიშვანია მათგან ოპერა „კაკო ყაჩა-
რი“ კომპ. ანდრიაშვილისა, ოპერა „დედა და
შვილი“ კომპ. ლეო ფალაიშვილისა, სიმფო-
ნიური პოემა „განდეგილი“ კომპ. გრ. კილა-
ძისა და მრავალი სიმღერა, რომანსები, დუე-
ტები და საგუნდო ნაწარმოები.

გადავდივართ რა დიდი ქართველი ლიტე-
რატორის აკაკი წერეთლის შემოქმედებაზე ხაზ-
გასმით უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი
სულ სხვაგვარ გამოძახილს პოლონებს ქარ-
თულ მუსიკაში. მას ამ მხრივ განსაკუთრე-
ბული ადგილი უჭირას არა მარტო ქართ-
ველ პოეტებს შორის, არამედ, სრულიად
თამაზად შეიძლება ითქვას, რომ მას ბადალი
არა ჰყავს აგრეთვე მსოფლიო ლიტერატუ-
რაში. შესაძლებელია მას გვერდში მოუცვე-
ნოთ გერმანური რუსი პოეტი ალ. პუშკინი
და უკრაინელი პოეზიის სიამყე ტარას შევ-
ჩენო.

აკაკი წერეთლი, როგორც თავისი დროის
ტიპიური წარმომადგენელი, თავის პოეტურ
შემოქმედებაში ასახავს 60-იანი წლების მო-
წინავე საზოგადოების მისწარაფებებს. მას,
როგორც საერთოდ „თერგდალეულთა“ წრეს
ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, კარგად აქვს
შეგნებული თავისი დანიშნულება—მწერლო-
ბა მიაჩინა არა მშრალ ხელოვნებად, „სადაც
მხოლოდ მუსიკა და კეთილშემოვანება

უნდა იყოს“, არაშედ — „დღიური კარგანობის საბრძოლეულ - სამსახურის ასეთი აზრი პოეტის მოწოდების შესახებ ა.
წერეთელს მკაფიოდ აქვს გამოიქმული შე-
მდეგ სტრიქონებში:

„მისთვის მომცა ლერთმა ენა,
სამართლისთვის გავიწირო,
ჩაგრულ მომეს მოვებმარო,
თუნდა ქვითად დავიკირო.

მომმის ვიყო შემწე ჭირში,
ვიხარო და გავახარო:
რაც კი ვნახო მასში ცუდი,
გამოვსთქვა და არ დავფარო“.

და მართლაც, მთელ თავის სალიტერატუ-
რო მოღვაწეობას ის ანდომებს აზებული
დუხშირი ცხოვრების წინააღმდეგ გალაშქრე-
ბას.

აკაკი წერეთელი—პოეტი-მოქალაქეა, რო-
მელსაც მუდამ აწუხებს საშმაბლოს ბედ-
იღბალი და მშრომელი ხალხის მწარე ხელ-
რი. მისი პოეზია გაულენთილია სოციალუ-
რი მოტივებით. იგი ქართველი ერის გუშა-
გია. მისი „დაფი და ნაღარა“ მოუწოდებს
ქართველ ხალხს ბრძოლისაკენ თვითმკრო-
ბელობის წინააღმდეგ, ნაციონალური დამო-
უკიდებლობის მოსაპოვებლად. პოეტს თა-
ვისი საშმაბლო ეგულება „ცხრაკლიტურში
მჯდომარე“, ან „კავკასიის ქედზე მდგაცვე-
ლი“, რომლის დახსნაც შესაძლებელია მხო-
ლოდ გაერთიანებული ძალით, ერთი მთლია-
ნი შეტევით.

იგი ქმნავია აგრეთვე დაჩაგრული გლე-
ხისა—და თავისი მახვილი კალმით იბრძვის
მისი მძიმე უღელის შესამსუბუქებლად. გლე-
ხის ტკივილები პოეტის გულშიც ტკივილებს
იწვევს, ხოლო სიხარული—ცხოვრების ხა-
ლისს მატებს. იგი ჰგმობს მემატულ თა-
ვად-აზნაურების უსაქმინებას და უმღერის
ჟარისან შრომას.

მგვარად, მისი პოეზიის ერთერთ მთავრი
სახეს წარმოადგენს ეროვნული და მშრომე-
ლი ხალხის სატრუიალო მოტივები. აქედან
ნათელია, ჩატომ შეიყვარა ქართველმა ხლ-
ხმა აკაკის პოეზია და ჩატომ გამოიყენა ასე

ფართოდ თავის სამუსიქო „შემოქმედებაში. მაგრამ განა მხოლოდ ლექსის სოციალური აღნავობა ამის მიზეზი? არა, აკაის პოეტურ შემოქმედებას აქვს კიდევ ერთი თვისება, რომელიც დიდად უწყობს ხელს მის სწრაფ გატრაელების ხალხში. ეს არის მისი ლექსის ფორმისა და ზომის ხალხურობა, როტმის სიმარტივე, ენის სისადავე, სიმსუბუქე, მუსიკალობა—მღერადობა. აკა წერეთლის თითქმის ყოველი ლექსი სამღერალია; თითქმის თითოეულ მათგანი საჭიროებს სიმღერით შესრულებას. თვით პოეტი თავის მრავალ ლექსს უწოდებს „სიმღერას“, „მესტრიულს“. ის ხშირად მიმართავს სამუსიკ საკრავებს, მემუსიკეთ ან მომღერალ ჩიტებს, რათა მიეშველონ პოეტს თავისი „გულის დულილის“ გამოთქმაში. მისთვის ცნობილია ძეველად განთქმული მესტრიუები ბლიაძე და ქებაძე და მიმართავს მათ თავის ლექსში—„ირაკლის საფლავზე“, რომელსაც აგრეთვე მესტრიულს უწოდებს:

„სტრის გუდა მაქვს ბლიაძის
ქამანჩა ქებაძისაო...“

მერე მესტრიულში პოეტი ასე მიმართავს გუდა-სტრის:

„მაგრამ მე ებრავ გუდასა,
ხელში ავიღე სტვირია,
მსურს ყველა ღირსად შევამჭო;
მათ ვუთხრა მე შაირია:“

გარდა გუდა-სტრისა, აკა წერეთელს თავის ლექსში გამოყენებული აქვს სხვა ქართული და ოღონისავლური სამუსიკი საკრავები—ქნარი, ჩანგი, ჩონგური, ქამანჩა, დაფი, ნალარა, სალამური, ზურნა, თარი, ჭიანური.

ამ ზოგიერთი მისი ლექსები, დაკავშირებული ამ საკრავებთან:

„სად ხარ ჩემო სალამურო,
შმა ტკბილო და სამურო..
(„სალამური“).

„მე ჩონგური მისთვის მინდა რომ სიმართლეს მსახურებდეს სარგებლობის „ვარდის ხმაზედ“).

„ჩემო ჩანგო, ობოლ მწირო,
ჩემის უბედობის ძირი!...“
(გამოსალმება).

„პიპუ! პიპუ! პულუ!
ხელში მიშირავს ქამანჩა;
მსურს გავხერო სტვირის გუდა“..
(ძეველი და ახალი წელი)

„მოვიგონე ძეველი ქნარი,
სიმთა იწყეს ტკბილად ქლერა“.
(№-ს).

ან ფართოდ ცნობილი „ას მეზურენე, დაკა! დაკა! გამაგონე ეგ სევდის ხმა“, „ჩონგურს სიმები აუბი, მოვმართო ხელა-ხელაო“, „მიყვარს თარი, გულ-საკლავად მკენესარი: მწუხარების უკუმყრელი ეს არი!... და მრავალი სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკა წერეთელმა კარგად იცოდა აღმოსავლური პანგის სხვადასხვა მუსიკალური ფორმა—„შიკასტა“, „ბაიათი“, „მუხამბაზი“ და სხვა, რომლის ყაიდაზე აგებულ ლექსებსაც გარეული აღილი დაუთმო თავის პოეზიაში: თუმცა ახალგაზრდობაში ამგარ ლექსებს აკა მოცლილი კაცის სასმენელს“ უწოდებდა.

საინტერესოა ამის შესახებ ცნობა, მოყვანილი პოეტ ი. გრიგორიანის მიერ თავის „შეველი თბილისის ლიტერატურული ბოქე-მაში“ სადაც ის სტერს—„მართალია, აკა თავის ახალგაზრდობის დროს წერდა: „მეც წმიკითხას ძეველი წიგნები, კუოფილვარ საქართველოში და არა თუ გამიგონია ბესიყისა და მის ძალების თხზული ლექსები, კიდევაც თვითონ მე მიღიღილი ნებია; დრო იყო, რომ მის „ტანო ტატანის“, „შავნი შეშვნის“ და „სევდის ბალს შეველს“ ოღრაცებაში მოვყავდი. ახლა, ას

დამუშავად, ის ლექსები მოცლილი კაცის
სასმენელს ატებობენ”.

როგორ აკაცი ამ სტრიქონებას სწერდა,
ოფიციური წლის პაბუკი იყო. რამდენიმე
ათეული წლის შემდეგ კი, აკაციმაც „იძოვა
ღრუ“ იმისათვის, რომ ამ სასიმღერო ლექ-
სების აეტორებისათვის წერადა და შეკვენა
საგოგონო მუხამბაზები: „თავი ჩემო ბედი
არ გიწერია“, „აღმართ-აღმართ მივდიოდი
მე ნელა“, „დარღების ამშლელო, ჩემი გუ-
ლის ხაზი ხარ“, „ფუ ჩემს ვარსკვლავს და
ჩემს ბედის წერასა“ და სხვ.

აშკარაა ასეთი პოეტური შემოქმედება,
რომელიც ერთის მხრივ გაუღნიონილია სო-
ციალური და ეროვნული მოტივებით, ხო-
ლო მეორეს მხრივ ყოველივე ეს მოცემუ-
ლია მარტივი და მუსიკალური ენით, დიდ
გამოძახილს ჰქოვებდა ხალხის სამუსიკო
აზროვნებაში.

და მართლაც, ქართველი ხალხი ხარბად
დაწავა ქართული პოეზიის სიამაყის აკაცი
წერეთლის ლექსებს და შეკვენა მრავალი
თვალსაჩინო ნიმუში ქართული სამუსიკო
ფოლკლორისა. ამში არც კომპოზიტორები
ჩამორჩენ და როგორც ძეველმა ისე ახალ-
მა თაობამ დასწერა მის ტექსტზე სხვადა-
სხვა უარის საკმაო რაოდენობის სამუსიკო
ანარმობენი.

აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ იმ ტექს-
ტებს, რომელიც გამოყენებულია კომპოზი-
ტორთა ამათუმი სახის შემოქმედებაში და
მოვისხულებოთ ცველა ნაწარმოებს, მიუხედა-
ვად მისი მუსიკალური ლირებულებისა,
რადგან აქ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ
აკაცი წერეთლის პოეტური შემოქმედების
პოტულარობა და არა ქართველი კომპოზი-
ტორების ნაწარმოებთა სრულყოფილობა.

პირველი ნაბიჯი აკაცის ტექსტზე სამუსი-
კო ნაწარმოების შესაქმნელად გადასდგა
ცნობილმა კომპოზიტორმა, მაშინ ჯერ კი-
დევ ახალგაზრდა მელ. ბალანჩივაძემ

* ი. გრიგაშვილი „ველი ტურისის ლიტერატუ-
რული ბოძება“. 1928 წ. ვგ. 179.

(1862—1937). შან 1889 წელს დამუშავა
რომანის „აღმართ-აღმართ მივდიოდებაში
ნელა“; რომელიც ითვლება ერთ-ერთ პირ-
ველ სამუსიკო ნაწარმოებად არა მარტო
მელ. ბალანჩივაძის შემოქმედებაში, არამედ
საერთოდ ქართულ რომანის სათავედ. სა-
ინტერესოა ის, რომ სწორედ ამ ნაწარმოე-
ბიდან იწყება ქართულ რომანის წარმო-
შობის ისტორია. აქ გამოყენებულია ამავე
სახელწოდების ხალხური ჰანგი, ერთეული
ფალსაჩინო ნიმუში თბილისური სამუსიკო
ფოლკლორისა. ლექსი მთლიანად არ არის
გამოყენებული და ამოციებილია მხოლოდ
ხეთი სხვადასხვა ტაენ, ორ ადგილას ოდ-
ნაც რედაქცია შეცვლილი.

თუმცა ამ ნაწარმოებს ისტორიულად დი-
დი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მუსიკალუ-
რიად ნაკლებ ლირებულებას წარმოადგენს.
ამ დროს მელ. ბალანჩივაძეს ჯერ არ ჰქონ-
და მიღებული სპეციალური მუსიკალური
განათლება; მიმომ აქ არ ჩანს კომპოზი-
ტორული ტექნიკა და რომანის დილეტან-
ტიზმის დაღი აზის.

საოპერო ფორმასაც პირველად მელ. ბა-
ლანჩივაძემ მიმართა და ამ შემთხვევაშიაც
გამოიყენა აკაცი წერეთლის ტექსტი. მისი
თხოვებულების თერა „დარეჭან ცბიე-
რი“ დაწერილია აკაცის დრამატული პიე-
მის „თამარ-ცბიერის“ მიხედვით, რომლის
ლიბრეტოც ეკუთვნის თაუნას. ამ ოპერის
ერთი მოქმედება (ამჟამად III მოქ.) „თა-
მარ-ცბიერის“ სახელწოდებით ნაჩვენები
იქნა პეტერბურგში 1897 წლის დეკემბრის
22, ხოლო მთლიანად იგი დაიდგა თბილი-
სის სახ. ოპერაში 1924 წელს.

თერა „დარეჭან ცბიერის“ მუსიკა გაფ-
ლენითილია ქართული ხალხური სახიმღერო
შემოქმედების ნაცადით, რომელიც ალაგ-
ალავ შეზავებულია იტალიურ მელოდიკასა
და პარმონიასთან, რითაც საერთოდ ხასიათ-
დება მელ. ბალანჩივაძის სამუსიკო შემოქ-
მედება. თვალსაჩინო ადგილებად ჩათვლე-
ბა თამარის სახია — „როგორც რომ მთვარე

თორმეტის დღისა", გოჩას არია — „ლმერთო ძლიერი", ცირას ორი სიმღერა — „იავნანა" და „ნანანა" და მასხარას ორი სიმღერა — „მიმინძა მწყერი უყვარს" და „მაღლით ცეცხლის წვიმა მოდის".

განსაკუთრებით საყურადღებო ოპერის ეს ორი უკანასკნელი ნომერი, სადაც მ. ბალანჩივაძეს კარგად შეუგრძენია აკაკის სხარტი ენა და შესაფერისად ჩამოუყალიბებია ის მუსიკალურ ფორმაში, როთაც იძლევა სათანადო განწყობილებას.

პირველ სიმღერაში კომპოზიტორის გამოყენებული აქვს „სშაირო" ანდა „მესტვირული" ფორმა, და აკაკის ლექსისაც ხომ ხშირად „მესტვირულს" უწოდებენ. მეორე სამღერას საფუძვლად უძევს მოხერხებულად გამოყენებული იმერულ-გურული ხალხური სიმღერების ინტონაციები.

შემდეგი ცდა ქართული ოპერისათვის აკაკი. წერეთლის ტექსტის გამოყენებისა ეკუთვნის საგუნდო ხელოვნების დიდ ოსტატს კომპ. ნიკოლოზ სულხანიშვილს (1875—1919), რომელიც სწერდა ოპერა „პატარა კახს" ამავე სახელწილების დრამატიული პოემის მიხედვით, მაგრამ სამწუხაოდ მისი გარდაცვალების შემდეგ მ იპერის კლავირის ნასახიც არ დარჩა. დღემდე საიდუმლოებით არის მოცული იპერა „პატარა კახს" ბედ-ილბალი. არავინ იცის დანამდვილებით, როგორ მდგომარეობაში დარჩა კომპოზიტორის ეს ნაწარმოები. ასებობს მრავალი აზრი, მაგრამ ერთიმეორის საჭინააღმდეგო, აც საკითხს უფრო აზთულებს. ზოგნი უარყოფენ სერთოდ მ იპერის აჩევნობას, ზოგნი მარტო ცალკეულ ნაწყვეტები აღნიშნავენ. ხოლო ზოგიერთი გამოსთვავენ აზრს, ვითომ ნ. სულხანიშვილს მთლიანად დაემთავრებინოს იპერა „პატარა კახს", რომელიც განზრახული პქნდა 5 მოქმედებად. აშკარაა, პირველი და უკანასკნელი აზრი სიმართლეს მოკლებულია. უდავოვა, რომ იპერა იწერებოდა და ამის საბუთად საკმარისია ის ნაწყვეტები,

რომლებიც ხალხში დიდის პოპულარობას ასრულებობს. მაგრამ, ვინაიდნ უკუნდობის უკელი უკანასკნელი — „დაიგვანეს", „ამბობენ, რომ თამაზ მეფე", „ძლივს მარტო დავრჩის" და სხვა — პირველი მოქმედებიდან არის, ჩენ შეგვიძლია დარწმუნებით მხოლოდ ამ მოქმედებაზე ვილაპარაკოთ. რაც შეეხება დანარჩენ მოქმედებებს, ამის შესახებ სინტერესო ცნობას ვკითხულობთ უტრნალში „თეატრი და ცხოვრება", ეს ცნობა დაწერილია კომპოზიტორის გარდაცვალებიდან 6 თვის თავზე:

„...ექვსი თვეა შერაც ვერ მოუყარეს თავი კიუშას (ასე უწოდებდნენ ნ. სულხანიშვილის მეგობრები. გ. ჩ.) მარგალიტ ნაწარმოებთ და ვერ გამოაშეურეს... მართალია, მან თავისი დიდი შრომა იპერა „პატარა კახს" ვერ დაასრულა, მაგრამ უკანასკნელ სცენამ და და და და სიკედილის წინათ, ვიღრე ავად გახდებოდა, იპერის თვალსაჩინო აღგილები. თბილის ჩამოიტანა, რომ „პატარა კახს“ კონცერტი გაემართა. მის აღგილებს ზოგიერთ ჩევრენ მომღერლებს მშადებინებდა კიდეც, მაგრამ უცეც ავად გახდა; მთელი ნოტები სასტუმროში დარჩა, ანუ მის მახლობელთა შორის გაიფანტა და დღემდე არ სიახს...“ *)

ის კონცერტი, რომლის შესახებაც წერილის ავტორი სწერს, ბევრ რასმეს მოჰყენდა ნათელს ამ იპერის ირგვლივ, მაგრამ ამ-კამად, როდესაც ჩენ მხოლოდ პირველ მოქმედებას ვიცნობთ, ძნელია რამეს თქმა „პატარა კახს“ დანარჩენ მოქმედებზე, თუნდაც „დაჭრილი ლევანის შემოსვენებამდე“, როგორც ამას უტრნალი განმარტავს.

სინტერესო როდის დაწყონ ნ. სულხანიშვილმა იპერის წერა, ვინ მუშაობდა

*) ეტრ. „თეატრი და ცხოვრება“ 1:20 გ. მაისის 5. № 17, გვ. 5.

ლიბრეტოზე, როგორ ურთიერთობაში იყო
მხედვან პოეტთან და რა აზრისა იყო უკა-
ნასკნელი ამ ოპერაზე.

ერთერთი უდიდესი ცნობა თეატრი „აფუ-
რა კახის“ შესახებ მოაკვებულია 1912
წლის „სახალხო ფურცელში“, სადაც ვკი-
თხლობთ შემდეგი:

„ჩვენი ნიშიერი მემუსიკ და გალობის
მასწავლებელი ნიკო პატის-ძე სულხანი-
შვილი ივლისის შუა რიცხვებში ქიზის ეჭ-
ვია. მას განზრახვად აქვს შეჰქრიბოს ძეველი
საკლესიო და სახრო სიმღერა—გალობები.
ამჟამად იგივე ფეხით სოფელ-სოფელ და-
არება. არ უდრევება არავითორ დაბრულე-
ბას და გაჭირვებას და დიდის ენერგიით
ანხორციელებს დასახულ მიზანს...“

ჭუგააში (სოფელია ქიზიყში გ. ჩ.) ეწვია
ამჟამად ქიზიყში მყოფ ა. შანშიაშვილის *)
სადაც დიდის აღტაცებით იქნა მიღებული.
აქვე ნიკო სულხანიშვილის პატივსაცემად
მცირე ნადიმი იქნა გადახდილი. ნიჭიერმა
მემუსიკებ თავის თეატრი „პატიარა კახი“-დან
იმღერა სხვადასხვა არიები. მისმა ჰანგმა
ქართველები ააცრემდა...“... **)

ამგვარად, ნ. სულხანიშვილს 1912 წლი-
სათვის უკვე რამდენიმე ნაწყვეტი ჰქონია
მზად, რაც გულისხმობს იმას, რომ ოპერის
წერა გაცილებით ადრე ექნებოდა განზრა-
ხული.

ლიბრეტოზე თვითონ უმუშავნია, თუმცა
ხევრი უწვალნაა. გიორგი ნადირაძე თავის
მონოგრაფიაში—„ნიკო სულხანიშვილი“ —
ლიბრეტოს შესახებ შემდეგსა სწერს:

„ლიბრეტოს დაწერას არვის არ ანდობდა.—
აკაკი წერეთლისათვისაც არ მიუმართავს
არასოდეს. პირველ ხანს დღე და ღამე უჭ-
და ლიბრეტოს კეთებაზე. თავის დას—ბარ-
ბარეს ეუბნებოდა: რვა ეგზემბლარი შემო-
მაცვდა ხელშიო. ისტორიული კოლორიტი-
სათვის ხანდახან ზაქარია ჭიჭინაძეს შეე-
კითხებოდა ხოლმე.“

*) ამჟამად ორდენისანი პოეტა დარამატურგი.

**) დამსრუ მესიკოსის მოგზაურობა ქიზიყში“
გას. „სახალხო ფურცელი“. 1912 წ. აგვისტოს 5, № 668.

ამგვარად, ნ. სულხანიშვილს თავისი გა-
ნახავა კარგა ხანს არ ვაუმებულია ვაკება
თვის. ერთმანეთს არც იცნობდნენ. პოეტი
და კომპოზიტორის შეხვედრა მოხდა,
როდესაც უკანასკნელს პირველი მოქმედე-
ბა თითქმის მოთავებული ჰქონდა. მათ
შეხვედრის შესახებ საინტერესო ცნობა
მოეპოვება დ. ფალავას, რომელიც თავის
მოგონებებში *) შემდეგსა სწერს:

„აკაკის ძალიან უყვარდა მუსიკ. ჩვენთან
იმ ღრმის თითქმის ყოველ დღე დადიოდა
შემდგომ ღიძად ნიშიერი კომპოზიტორი,
მშინ კი ერთ-ერთი სასწავლებლის გალო-
ბის მასწავლებელი ნიკო სულხანიშვილი.
ჩვენ მას შინაურულად კიქოს ვეძახდით. კი-
კო სულხანიშვილი მშინ სწერდა ოპერა
„პატიარა კახის“. პირველი მოქმედება თითქ-
მის მზად ჰქონდა. მზად ჰქონდა აგრეთვე
ჩეჩეული ადგილები სხვა მოქმედებიდან. მე
ამის შესახებ ვუთხარი აკაკის. აკაკიმ მო-
სურვა მოსმენა, მოვიყენეთ აკაკისთან კიკო.

კიკომ მთელი პირველი მოქმედების დამ-
ლერება გიტარაზე მოახერხა—რა თქმა უნ-
და, დიდი შიშითა და კრძალვით.

აკაკის ძალიან მოეწონა და აღტაცებაში
მოვიდა. ნამდვილი დახვეწილი ქართული
ნოტივებიაონ და ხალხური ხომ აკაკის ყვე-
ლაფერი თავდავიწყებამდის უყვარდა.

პოეტის ასეთმა გულმუშრვალედ მიღე-
ბამ კიკო გამახნევა. გახარებულმა კიკომ
სთხოვა აკაკის: პირველ მოქმედებაში, იქ სა-
დაც მოხუცი გელა იძინებს, ქალიშვილს
მინდა ნანა ვამლერო, მაგრამ პიესაში სიტ-
უები არ არის და არ ვიცი, როგორ მო-
ვიტცეო. აკაკი მაშინვე შევიდა თავის თახ-
ში, სულ მცირე ხნის განმაცლობაში დაწე-
რა ოთხი ტაქისაგან შემდგარი „ნანა“ და
გადასცა კომპოზიტორს.

შეზღვომ არსად მინახავს ეს ლექსი და
ვა უ დაიკარგა.

*) დ. ფალავა, „ოთხი წელი აკაკისთან“, ზურნ.
„მათობი“, 1934 წ. № 7, გვ. 176.

კიკისაგან ვისტავლე „პატარა კახის“ თბ-
თქმის მოელი პირველი მოქმედება. კიკის
სიკვდილის შემდეგ ბევრ მუსიკოსს შევეხ-
ვეწე გადაღლო ჩემგან ეს ნოტებზე, რომ არ
დაკარგულყო, მაგრამ არავინ მოისურ-
გა. ოვათონ კიკი მეტად ღულევარი კაცი
იყო და, ვინ იცის, ეგებ ნოტებზედაც არ
გადაულია”.

ასეთი ბედი ეწია ოპერა „პატარა კახის“, მაგრამ მუსიკის მორთულობის მაინც რეა-
ლურად მოჰკილონ ხელი ნ. სულხანიშვილის
ხელნაწერების აღმოჩენას, ან ხალხის მეს-
სიერებაში დარჩენილი ცალკეული ადგი-
ლების ჩაწერას, რომელსაც დიდის აღტაცე-
ბით იმენდა დიდი პოეტი.

ნ. სულხანიშვილის დაწერილი აქცის აგრე-
ოვე ქადაგითა გუნდისთვის აკაკის „მესტ-
ვიორული“ („ჩინგურს სიმები აუბი“), რომე-
ლიც ქართული საგუნდო ლიტერატურის
თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს. ავტორს
შშვენვრად აუღია ალლო ლექსის შინარ-
სისათვის და გამოუნახავს შესაფერი მუ-
სიკალური ფორმა—ცალი მომღერლის მიერ
ლექსის „ჩამოთვლა“ გუნდის პარმონიულ
ფონზე, რაც იშვიათად წააგვას მესტვირეს
დამღერებას გუდა-სტვირზე.

ნაწარმოები დაწერილია ხალხური კოლო-
რიტის დიდი შეგრძნობით. ამ ნაწარმოებ-
ში პოეტი და კომპოზიტორი ერთიმეორეს
აკსებს; ტექსტი და მუსიკა მოცემულია ერთ
მოლინობაში.

აკაკი წერეთლის სახელთან არის დაკავ-
შირებული აგრეთვე ნ. სულხანიშვილის მე-
ორე საგუნდო ნაწარმოებით—„ვაშა, ვაშ!“, რომელიც მან მოუძრენა დიდი ქართველი
პოეტის სალიტერატურო მოღვაწეობის 50
წლისთვის და შეასრულა ერთერთ საიუბი-
ლეო საღამოზე.

ეს ნაწარმოები მოკლეა და დაწერილია
მარტივი კუპლეტური ფორმით.*)

ამავე იუბილესთან დაკავშირებით დაწე-
რილია აგრეთვე მეორე საგუნდო ნაწარ-
მოები „მრავალ-უამიერ“, რომელიც ექვთვ-



მაგალითი № 1

ნის ქართული ოპერის ფურემდებელს კომპოზ.
ზუ. ფალიაშვილს (1872—1933). ამ ნაწარ-
მოებში, რომელიც ასე შეაქებს სასიქადუ-
ლო პოეტს.

მრავალ უამიერ!
პოეტს ვაქებდეთ
მახვილ-გონიერს!
მგოსანს აკაკის,
ქართველ საყვარელს!

მრავალ-უამიერ!
ვაშა ჩვენს იმედს,
ჩვენსა დიდებას!
ვაშა ჩვენს გვირგვინს,
ჩვენსა მშვენებას!

მრავალ-უამიერ!
ლმერთო, ადიდე,
ვინცა გვადიდებს,
ვინც ბედს ქართლისას,
ხსნის, კარს გაულებს!
მრავალ-უამიერ!

კომპოზიტორის მიერ მოხერხებულად
არის გამოყენებული ქართლ-კახური სუფ-
რული სიმღერების ინტონაციები და მისი
დამახასიათებელი პოლიფონიური ხერხები,
რომელიც დადის ისტატობით გაშლილ-გან-
ვითარებულია დამწერებისა და გუნდის ეჭვის
სხვადასხვა ხმის საშუალებით, რასაც თან
ახლავს სიმფონიური ორკესტრი.

*) იხილეთ მაგალითი № 1.

ზაქ. ფალიაშვილს თავის შემოქმედებაში გამოყენებული აქვს ორი ლექსი, მაგრამ არა მთლიანად — „ჩემო თავო“ და „მუხამბაზი“ („ნახევარი ცხოვრების გზა განვლენ“), რომლებსაც კომპოზიტორმა მიმართა თავის ასერი „დაისის“ ერთერთი მთავარი გმირის მალხაზის სულიერი განცდების გამოსახულად.

მან მდორი ლექსის სხვადასხვა ადგილები მოხერხებულად შეაზიარა და მოგვცა მალხაზის ცნობილი არა „თავო ჩემოში“, რისოთვისაც კომპოზიტორმა გამოიყენა ამავე სახელწოდებით ცნობილი პოპულარული ქალაქური სიმღერის მელოდია.

„ჩემო თავო—დან ამოლებულია მხოლოდ პირველი ტაეპი, რომლის ბოლო სტრიქნიც შეცვლილი სახით სრულდება:

დედანში—რაღაც სატრიუ ვხედავ
შენი მტერია“

არიაში—„რა დ გა ან მი თ ხ რე ქ ?
შატ რ ფ თ შენი მტერია“

„მუხამბაზი—დან გამოიყენებულია ორი ადგილი—მეორე და ბოლო ტაეპი, რომელთავან უკანასკნელი ოდნავ შეცვლილა:

დედანში—„რა იციან, რომ ეს გული
მკვდარია...“

რომ სიცილი ბეგრძელ ცრემლზე მწარეობა!..“

არიაში—„ვინ რა იცის, რომ ეს გული
მკვდარია!...“

რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეობა!..“

ზაქ. ფალიაშვილს დამუშავებული აქვს აგრეთვე ცნობილი ხალხური სიმღერები აკავის ტექსტით—ბავშვთა რჩხმიან გუნდისათვის რჩესსტრით ერთად: „იავნანა“, „მერცხალი“, „ცა-ფირუზ“, ხმელეთ-ზურმუხტო“ („განთიაღი—დან) და მთელ საბჭოთა კავშირში ფართოდ ცნობილი სიმღერა „სულიერი“, რომლის მელოდიაც ეკუთვნის აკავი წერეთლის ახლო მეგობარს ვაჩინეა წერეთლს.

სიმღერა „სულიერის“ წარმოშობა უფლებას მეტად საინტერესო ისტორია ჰქონის, მაგრამ ამ წერილში მას უკულად არ შევეხებით მოვიყვანთ აქედან მხოლოდ მთავარ მომენტებს.

„სულიერის“ პანგის წარმოშობა ასეთ პირობებში მოხდა. მთავარი აქ ის არის, რომ თვით პანგის სულიერი იყო „სულიერზე“ სიმღერის შეწყყობა.

90-იან წლებში ვ. წერეთელი ახლო მეგობრულ განწყობილებაში იყო პოეტთან, რომელსაც დიდად მოსწონდა მისი დამღრუბა გიტარისზე. როდესაც „სულიერ“ დაიწერა (1895 წ.), აკავიმ ქოხოვა ვ. წერეთელს: „ერთი შენებურად ხმა გამოიგონეთ“. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ უკანასკნელმა აკავის მოასმენინა „სულიერის“ პანგი, გიტარაზე დამღრუბული, რაც დიდად მოსწონდია პოეტს და ნიშანად მაღლობისა თავისი სურათი მიუკია ზედქაწერით — „ჩემ ბულბულ ვარინჯას“.

ამის შემდეგ ამ სიმღერამ დიდი პოპულარობა მოიპოვა ხალხში, რომელმაც ის თავისებურად შეაკითა და სამ ხმად შეწყყო.

თვით ვ. წერეთელმა ასეთი რედაქციით უმღერა პოეტს.*)

სიმღერა „სულიერის“ გავრცელებას დიდ შეუწყო ხელი ერთმა მდგომარეობამ.

ვ. წერეთელს ჩაუმდერებია „სულიერ“ ფონოგრაფში 1895 წელს, რაც მომხდარა იყანე მაჩაბლის ინიციატივით. იმ დროს თბილისში სიმღერის ჩაწერი—ამერიკული პარატი ფონოგრაფი ჰქონია ვიღაცას. ეს კაცი ივ. მაჩაბლეს მიუწვევია თავის ორგაზი და იქ მოუწვევია „სულიერის“ ჩაწერა, რასაც დასწრებია აგრეთვე აკავიც. შემდეგ ფონოგრაფის პატრონის გაპონლა ეს პარატი ერთერთ ბაღში და გამვლელებს ასენინებდა „სულიერის“ და სხვა ჩანაწერებს, რამიაც ახდევინებდა 20 კაპიქს.

* იმისეთ მაგალითა № 2. ჩაიწერებ ვ. წერეთლის 1939 წლის მარტის 16-ს. ტესტურა მართალია დაბალია, მაგრამ მასშეცნებულობის გამო შალაფარდებს, ვერ შესძლო სიმღერა.

ნოტებზე სიმღერა „სულიკ“ პირველად
ნ. ქართველიშვილს (დირიჟორი) გადაუღია
ქ. ქართაიში 1899—1900 წლებში თვით ვ.
წერეთლისაგან და დამუშავებია ფორტო-
განონსათვის.

დაახლოებით 1911—1912 წლებში ეს სი-
მღერა ზაქ. ფალიშვილმა დამუშავა ქალ-
ვაჟთა გუნდისათვის სიმღებინი ორკესტრის
თანხლებით და შეასწავლა ყოფილი ქართუ-
ლი გიმჩინის გუნდსა და ორკესტრს, რო-
მელსაც იმ წლებში თვითონ ხელმძღვანე-
ლობდა.

„სულიკ“ შექმნილი აქვს აგრეთვე კი-
ნო-სურათ „უკანასკნელ მასკარადში“ კომ-
პოზიტორ გრ. კილაძეს.

შემდეგ ქართული ხელოვნების დეკადისა-
თვის მოსკოვში აქვ. მეგრელიძემ „სული-
კოს“ შეუწყო ჩინგურის აკომპანიმენტი და
ამ სახით იგი გავრცელდა მთელს საბჭოთა
კავშირში.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ზალხში
„სულიკომ“ მოიპოვა დიდი პოპულარობა
არა მარტო მისი მარტივი და მოხდენილი
მელოდიური აღნაგობის გამო, რომელსაც,
ხევათა მორის, არავერთ აქვს საერთო ქარ-
თული სიმღერების კოლორიტთან, არამედ
თვით ლექსის ღრმა შინაარსით, რომელშიაც
ქართველი ხალხი დაეძებს დაკარგულ თავი-
სუფლებას, ალეგორიულად გამოთქმულს
სიტყვა სულიკოთი.

ზაქარია ფალიშვილს ეკუთვნის აგრეთვე
ოთხ ხმად დამუშავება სიმღერა „სამშობ-
ლოსი“, რომლის მუსიკის ავტორიც კომპ.
ქ. ყარაშვილია (1857—1925).

ამ სიმღერაში გამოყენებულია აკაკი წე-
რეთლის ლექსი „შიქაბას“ ერთი ნაწყვეტი:

„ახ, მეზურნევ დაჲქა, დაჲქა,
გამაგონე ეგ სევდის ხმა.“

კომპიონ. ქ. ყარაშვილმა დასწერა კი-
დევ ერთი საგუნდო ნაწარმოები ტექსტზე
„პატარა მურია“, რომელშიაც ისევე, რო-
გორც სიმღერა „სამშობლოში“ მოხერხებუ-
ლად დაამუშავა ქალვეჭური სამუსიკო ფოლ-
კლორის ინტინკციები.



მაგალითი № 2

რამდენიმე ხალხური სიმღერის დამუშა-
ვება ოთხემიან გუნდისათვის და საკუთარა
ნაწარმოები ცალკე ხმებისათვის გუნდის
თანხლებით აკაკი წერეთლის სიტყვებზე
ეცუთვის ლოტბარს კორ. მაღრაძეს (1866
— 1936 წ.) ამ სიმღერებში გამოყენებულია
შემდეგი ლექსი: „ჩინგური“, „სულიკ“,
(საკუთარი, ცნობილ „სულიკ“-საგან განს-
ხვავებულ), „მერცხალი“, „გაზაფხულდა“,
„არ მოკვდარა“, „დის სიმღერა“, „საიღუ-
მლო ბარათი“, „აღმართ აღმართ“.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ ნაწარ-
მოებს დილეტანტიზმის დიდი დაღი აჩის
და მუსიკალური ენის მხრივ არა აქვს თარი-
გინალური სახე.

აქვთ უნდა აღვნიშნოთ ნაწარმოებები
კომპოზ. ია კარაგრეთელისა (1865—1939),
რომელმაც დასწერა რომანსი სიტყვებზე
„ჩემო თავო“, და სამუსიკო მოღვაწის ზაქ. ჩინგვაძისა (1862—1930), რომელმაც სიტყ-
ვებზე „კრულ იყოს მისი სახელი“ („თაგუ-
ნა“-დან) დასწერა ქალვაჟთა გუნდისათვის
„პატური“, რაც იგებულია ნაწილობრივ
დასავლეთ საქართველოს სიმღერების ინ-
ტონაციებზე. ეს ორივე ნაწარმოებიც და-
ლაგონტური ხსიათონაა.

ამავე კატეგორიას შეიძლება მივაკუთხა!



ნოთ კომპოზ. კ. ფოცხვერაშვილის რომანის „მთაწმინდა ჩაფიქრებულა“.

აღსანიშნავია, რომ „თავო ჩემის“ ის ვარიანტი (ხალხში ორგარად მოერიან—ერთი აღმოსავლური პანგია, რომელზედაც ამღერაბენ აგრეთვე „აღმართ-აღმართს“, ხოლო მეორე ევროპული), რომელიც გამოყენებული აქვს ზაქ. ფალიაშვილს თავის ოპერა „დაისში“, პირველად ნოტებზე გადიღო 1894 წელს, იახეთში, ცნობილმა რუსმა კომპოზიტორობმა მ. მ. იპოლიტოვ—ივანოვმა (1859—1935). მანვე დაუწერა ამ სიმღერას ფორტეპიანოს კომპანიმენტი და 1895 წ. სხვა ჩაწერილ სიმღერებთან ერთად გამოაქვეყნა უურ. „არტისტ“-ში.

საბავშვო სიმღერებშიაც არის გამოყენებული აკაკის რამდენიმე ლექსი. მათ შორის ალხანიშნავია „უცხო მხარე“, დაწერილი ნ. შარაბიძის მიერ, და სიმ. გოგლიჩიძის „ჩიტი და ბაჟუვები“.

ფართო გამოხმაურება პპოვა აკაკის პოეტურმა შემოქმედებამ აგრეთვე საბჭოთა კომპოზიტორების სხვადასხვა უანრის ნაწარმოებებში.

ხელოვნების დამსახურებულმა მოღაწემ კომპოზ. ი. ტუსკიამ, რომელიც სწერს ოპერა „სამშობლოს“ (ლიბრ. სსრე სახ. არტ. ა. გამაძეისა), მოხდენილად ვამოიყენა აკაკის რამდენიმე ლექსი—ციკინათელას არიაში („ათი წელი, მეტად მწველი“), ლევანის არიაში („ოთ სამშობლოვ, სხვებისთვის დედავ“) და ციკინათელასა და ლევანის დედაში („იას სინაზე მოვპარე“), რომლებშიაც კომპოზიტორის მიერ ისტატურად შეფარდებული ლირიკული და მღერადი მომენტები მონაცვალეობენ დრამატიულად დაძაბულ ეპიზოდებთან.

აკაკის ორ ლექსი—„ხარაბუზა და ფუტკარი“ და „ცოლის სიმღერას“ ვხედებით კომპ. შ. თაქთაქიშვილის ოპერა „დეპუტატში“ (ლიბრ. გ. თაქთაქიშვილისა და ა. თაყაიშვილისა); ამ ლექსებიდან პირველი გა-

მოყენებულია I მოქმედების ანსამბლში დათან ერთად და მეორე შე-3-ე მოქმედებაში დეიდა დორის არიაში.

დიდი ქართველი პოეტის დაბადებიდან 100 წლისთვის აღსანიშნავთ მთელ რიგ საბჭოთა კომპოზიტორებმა მის უკვდავ ლექსებზე დაწერეს სხვადასხვა ნაწარმოები.

კომპ. ვ. გოგიელმა დამთავრა პირველი მოქმედება თბ. „გელასი“ („პატარა კახის“ მიხედვით, ლიბრეტო სსრე სახ. არტ. შ. დადანისა და ხელ. დამს. მოღვ. შ. ახსაბაძის).

ოპერის ავტორს კარგად შეუთვისება აკაკის ლირიკა. მას მუსიკალურ ინტერპრეტაციაში მოხერხებულად აქვს გამართული ტექსტუალური შინაარსი.

ჩესპ. სახ. არტ. დ. ახაყიშვილმა დასწერა ორი რომანის სიტყვებზე—„განთიადი“ და „ჭაღარა“.

რამდენიმე რომანი მიუღვნება საიუბილეო თარიღის აგრეთვე ახალგაზრდა კომპოზიტორებმა: რ. გაბიჩევაძე — „ზღვაო ალელი“, გრ. კოკელაძე — „სიყვარული“, „იანანა“ და „ნაღველი“, ლეო ფალიაშვილმა—„რუსთველის სურათს“. კომპოზიტორებმა ვ. ცაგარევიშვილმა და ვ. უმრავაძემა (უკანასკნელმა სომხურ თარგმანზე) დასწერეს საგნზღვო ნაწარმოებინ, პირველმა „ზღვაო ალელი“, ხოლო მეორემ — „გაზაფხული“ (გაზუნ).

ვფიქრობ ამით რა ამინიჭურება აკაკის პოეტური შემოქმედება, რომელიც ძირიფას მარგალიტებადა გაბნეული „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმეტ“ საქართველოში.

დაუშრეტელია ქართული. მხატვრული ლიტერატურის კორიფეის, საქართველოს სიმაყის, დიდი აკაკის პოეზია. იგი ამიერიდან უფრო მეტად მიზიდავს საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორებს, რომელთა შემოქმედებითი მუშაობისათვისაც ყველა პირობების შექმნილი.

კუპი სახვითი ხედოვნებაში

აყავის ცხოვრება და შემოქმედება იყო და ჩემი სახვითი ხელოვნების დარგში აკაკის ჩვენების წყაროდ. მისი შესწავლა და გავება—აი ერთადერთი გზა ისტატისათვის, რომელსაც სურს პორტის გამოსახვა.

ჩვენს მიზანს შეადგენს მიმოხილვა ჩვენს განკარგულებაში მყოფ სხვა და სხვა ოსტატების მოტ შესრულებულ პორტრეტების, კარიკატურის ჩაუთვლელად. გიგო გაბაშვილს აყავის პორტრეტი სხვადასხვა რიცს შესრულებია რამდენჯერმე. აქ შევეხებით ჩვენს განკარგულებაში მყოფ სამ პორტრეტს, მანამდე კი მოვიყავათ ფრიად საინტერესო ცნობას გაბაშვილისა და ლიტერატურულ გარემოს ურთიერთობის შესხებ. აი რა მოგვითხოვთ ამის შესახებ ი. მიულბაუმის ასული: „როცა 1903 წელს გ. გაბაშვილი საქართველოში დაბრუნდა, იგი აქ ძლიერ დაუმეტობელდა დაგით ზაქარიას-ძე სარაგიშვილის ოჯახს, ყოველ კვირაობით სარაგიშვილის ოჯახში იმართებოდა წვეულება, რომელსაც ყოველთვის ესწრებოდნენ საქართველოს ცნობილი პორტები, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი; აქვე იყო ხოლმე ი. გოგებაშვილი (პირველი ქართული სახელმძღვანელის გამომცემელი), მხატვარი დ. ა. გურამიშვილი, ცხველაძე, მიშა მაჩაბელი, ინასტასია მაჩაბელი (ცოლი ივანე მაჩაბლისა), ნატო გაბუნია, არტურ ლაისტი (პირველმა გადათარგმნა გრემანულ ენაზე ქართული წიგნები) და სხვ. ხსენებულ საღმობებზე ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ხშირად კითხულობდნენ თავიანთ ახალ ნაწარმოებთ, გიგო ივანეს-ძეს ძალიან მისწონდა ასეთ შეკრებებზე ყოფნა. რაღაც აქ იგი ეცნობოდა მრავალ ახალ ადამიანს. ამ ხანებში დაიწყო მან ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პორტრეტის წე-

რა. აკაკი წერეთლის პორტრეტს გიგა იგანესტე ამზადებდა აკაკის იუბილესათვის. აკაკი ყოველდღე მოდიოდა და გიგო ხატავდა მას. მხატვერის სახელოსნოში ძლიერ ციონდა და გიორგი ივანეს-ძეს ამის გამო არ სურდა პორტი დახუატა კოსტუმში, რაღაც ეშინდა არ გაცივებულიყო. მან სთხოვა აკაკის, რათა მოსულიყო პალტოში. როცა მეორე დღეს აკაკი მართლაც მოვიდა, გიორგი ივანეს-ძე გაკვირვებული დარჩა პორტის გარეგანი ჩატმულობით: პორტს ეცვა საქმით ნახარი და გაცემით პალტი.

— გამიგონე, როგორ არა გრჩევენაან, რომ ასეთი დახეული პალტოთ მოდი, ნუთუ შენ სხვა ახალი პალტო არ გაგაჩნა? უთხრა გორგი ივანეს-ძემ.

— სხვაც მავეც, — უკად უპასუხა პორტმა, — მაგრამ არ მინდა იგი ჩავიცა იუბილეს წინ. მე რომ ახლა ახალ პალტოში მნახონ, მაშინ აღარავინ გაღმომხედავს მოწყალე თვალით, მაგრამ თუ ასე ვივლი დახეულ პალტოში, მაშინ უთუოდ გაღმომხედავენ, შენეკი ისე დახატე, რომ სურათში დახეულობა არ ემჩნეოდესო—დაუმატა სიცილით პორტმათ.

გიგო გაბაშვილის მეორ დახატული აკაკის პორტრეტი $92 \times 71,5$, ზეთო. ტილო. დაცულია თბილისში, მწერალთა სასახლეში. ქვემოთ მარჯვნივ აქვს ხელმოწერა: გ. განახვ, 1913. დაზიანებულია მარცხნივ, შუა ალაგას. სურათი გამოსახავს აკაკის ხანში შესულად. დათარიღების პერიოდის მიხედვით ფიგურა რომელიც შემოსილია შავი პალტოთ, გამოსახულია სამ. მეოთხედად, მიბრუნებით, ჩამოშვებულ მარცხნა მკლავისაკენ, ხოლო მარჯვენა ხელის წყრთა ჩამოიდულია ასკვნილ პალტოზე. ეს ხელი რამდენადმე დაუმთარებელია, თავი გადაწეულია უკანოდნავ; ხედვა კი მიმართულია წინ. სახის

გამომეტყველება ისეთია, თითქოს ესაა უნდა გახსნას ბავრი და ამეტყველდეს. ჭა-ლარა თმა-წვერი პორტრეტს აძლევს სიღარ-ბაინლესა და სიჩბილეს, მაშინ როცა სხეუ-ლის დაყენება მყარია და მაგარი. ხსნებულ პორტრეტში გაბაშვილი გამოხატავს შემოქ-მედებითი ექსტაზით შეპყრობილს და შინა-გან ხილვაზე მიქცეულ აღამიანს. მთლიან სურათისთვის აღებული, მონაცრისფე-რო, ფერტლის ფერი გმია, დამასასიათე-ბელი გაბაშვილის უკანასკნელი პერიოდისა-თვის, ხელსაყრელად ამჟამს სახისათვის. აღებულ ფერტროთალ გამას, ხორცისათვის გამოყენებულს; თითქოს ამით მხატვარი იმუთითებს შემოქმედებითი ბუნების სი-ფაქტზე და სიშმინდეზე (ფერტროთა-ლობა): „და რო ვიწოდე, ვლინბოდე, არ შემიძლიან მეც განა?“ მთლიანად მხა-ტვრის გაეგბა გვიჩვენებს პოეტს მიწი-დან ზეალმართულად, ხოლო შემოქმედე-ბითი ხილვით, მთელი არსით მიწისაკანვე მიქცეულს, აკაკი აქ უფრო მეტად უკანასკ-ნელი პერიოდისაა, როცა შემოქმედებით წვასთან ერთად იგი ყოველდღიურობითაც იწოდა. ხსნებულ პორტრეტში აკაკი ოლიმპ-ზე უფროა, აქ იგი შემოქმედებით გზნებათა გადატრანს პოეტია, იგი მატიანეა საკუთარი შემოქმედებითი გზისა. ამ პორტრეტში და-მახასიათებელია სხეულისა და სახის სმშვი-დე. ჩვენის აზრით ხსნებული პორტრეტი განმეორებაა ნატურიდან ნაკეთებ სხვა პორ-ტრეტისა. საგულისხმოა ბნელი (ნეიტრა-ლური) ფონი; ეს ფონი თითქოს პოეტის იმ გარემოცვაზე მიუთითებს, რომელშიაც უხდებოდა ცხოვრება მას. სახე ძლიერ ჩე-ლიფურადა გამოკვეთილი, მაგ. ძლიერ შეკვეთრად არის გაყეთებული მონუცისათვის დამახასიათებელი კანი და ოწვის არები.

გიგო გაბაშვილის მეორე პორტრეტი— $26,5 \times 23,7$, ქალადი. წყლის ფერადე-ბი. დაცულია ხელოვნების მუზეუმის „მე-სტერის“ ფონდში. მთლიანად შავი ფონია, რომლის ქვედა ნაწილს პოეტის შავი პალ-

ტოთი მოსილი ფიგურა ავსებს. განვიტან ხულია თითქმის პროტილში. მისი ხელფეხი მართულია ზემოდან, ქვემოთ, დიდი სიღარ-ბით, და, რაც მთავარია ლომბიტური სიმშევ-დით, ლირიკული განწყობილებით დარბილე-ბული.

პირდაპირ ვიტრუოზულად და დიდი მიგ-ნებითა გამოყენებული ფონი და გამოსასახ იბიჯტონ შეფარდებით. აკაკი აქ მხატვარს წარმოდგენილი ჰყავს როგორც სინათლე, როგორც ტიტანური არსი, მაგრამ ამავ დროს ძალზე აღამიანური, სევდის ელფე-რით დამძიმებული. მხატვარი ამის ჩევნებას ახერხებს ბრელი ლაქებისა და ნათელი ადგილების დაპირისპირებით, რასაც ტექ-ნიკურათ მუქი აღილების გაღია-ფერტ-ბით აწევს. ხსნებულ პორტრეტში მხატ-ვარი ცდილობს გადმოსცეს აკაკი, როგორც ლირიკოსი, როგორც „სულიერის“, „აღმართ-აღმართ მივლიოდის“ ავტორი. აქ „სერზე შევლექ ჭმუნვის ალი მენელაუ“ არის და „ცექებდი“ და „გულამოსკვნის“ პოეტური არმატიც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის სიფა-ცუკე, რომელსაც იძლევა მხატვარი ხსნე-ბულ სურათში თმა-წვერის სახით.

ხსნებული პორტრეტი ქართული პორტ-რეტის ისტორიაში დარჩება, როგორც ლრმად ნაგრძობი ლირიკული პორტრეტი ლიდი ქართველი ლირიკოსისა. გაბაშვილსავე ეკუ-ოვნის, ერთი გგუფური პორტრეტი, დაუმ-თავებელი, საღაც მხატვარს განზრახვა ჰქონდა ერთად ეჩვენებინა შოთა, აკაკი და ილია. სურათი დაცულია „მეტეხის“ მუზე-უმში.


მხატვარი მოსე თოიძე. აკაკის თემაზე ამ მხატვარსაც უმუშავნია, პორტრეტები დაცულია მწერალთა მუზეუმში.

66,5×53 ზეთი. ტილო. ხელმოწერა ქვე-მოთ, შუაში: მ. თოიძე, 1907 წ. ხსნებული სურათი 1939 წლამდე დაცული ყოფილა მხატვართან, ხოლო დასახელებულ წლიდან კი ინახება მუზეუმში. ფიგურა დგას სამ მეოთხედად ანფასში, ფონი ზემო ნაწილში,

თავის არიდან ნაბირებისაკენ, თანდათან მუქდება ღია წაბლის ფერიდან მუქ ყავის ფერამდე. აკაკის მოსახუ შავი სტამასი, რომლის ქვეშაც პერანგზე მგოსანს აქვს შავი პალსტუკი. თმა და წვერი ვერ გაღმოსცემს იმ სიცაფუკეს, რომელიც ესოდენ დამახა-სიათებელი ყოფილა აკაკისათვის. აქ გამოხედვაში არის თითქოს ხილული ქვეყნით გაოცება, რაზედაც მიუთითებს აქცენტირებული ჟერეზული წარბები, მოკუმული ტუჩები და საერთო ელფერი. ბენებული სურათი უახლოვდება ერთ მომენტაგანს აკაკის პოეტური ხედვისას, ქვეყნის სიმშვე-ნიერით გაოცებისას, მაგრამ, რასაცირველია, მთლიანად ვერა. მხატვარს უცდია ბუნებრივი მონაცემის დაჭერა. ფერადების გამა, სახის დასაწერად აღებული, არა დამაგრებელი, რაღვან მთლიანისათვის ერთი-თა აღებული, ნიუანსების გარეშე. მაღალი შუბლი, რაც ასე დამახასიათებელია აკაკის იქნოგრაფიისათვის, აუსახავს მხატვარს, მაგრამ ვერ მოუხერხებია დაესახ ბეჭედი ოლიმპიური სიმაღლეში, ვერ დაუჭერია ეს თოვლიანი მწვერვალი, მზით გამთბარი და განათებული, ვერც “ცა-ფი-რუზ-ხმელეთ-ზურმუხტოს” აეტორის სითბო, მელანქილით მონაწროლი. სახის მთლიანი განწყობა არ გამოსახავს არც სევდასა და არც სიხარულს, რაც აკაკის შემოქმედებისა-თვის ძირითადია, დამახასიათებელი და პრინციპული. მოუხედავად ამისა, ხსნებული პორტრეტი მაინც ერთი (ისტორიული და არა შემოქმედებითი) მომენტია აკაკის აღსაღენად შთამომავლობისათვის.

თოიძესვე ეკუთვნის მეორე პორტრეტი აკაკისა, დაცულია მწერალთა მუზეუმში: ზეთი. ტილო. 145X99, ხელმოწერა აქვს ზევით, მარჯვნივ—მ. თოიძე. აკაკი აქ გამოსახულია მაგიდასთან მჯდომარედ იმ მომენტში, როცა პოეტის დაუშერია ტაქი:

„ჩემი ხატია სამშობლო
სახატე მთელი ქვეყანა



აკაკის პორტრეტი

და რომ ვიწოდე ვდნებოდე
არ შემიძლიან მეც განა?!“

კედელთან მიღგმულ მაგიდასთან მდებარე მუყაოზე ასეთი წარწერაა: „ჩვენს დიდებულს მგოსანს აკაკის—თბილისის წვრილ ვაჟა-პატა საზოგადოებისაგან, 7 დეკ. 1908 წელი“. ზემოთ კედელზე გამოსახულია რამდენიმე სურათის ნიშანი, ხოლო სულ ზე-მოთ დიდი ზომის თამარ მეფე ბეთანისი ტი-პისა. აკაკის მარცხნა ხელი ჯიბეში უდევს, ხოლო გაშლილი მარჯვენა ხელს თა-ვით დაყრდნობია. მხატვარს განზრაცვა ქვენია გაღმოეცა ჩაფიქრება სტრიქონთა დაწერის შემდეგ. გამა აღებულია მონაც-არისფერობიდ და მიუხედავად ენერგიული მო-დელირებისა, სახის ფაქტურა მაინც ვერ იძ-ლევა სათანადო შთაბეჭდილებას. ხსენებუ-ლი სურათი ვერ ასახავს პოეტის შინაგან სამყაროს, განსაკუთრებით სუსტია თმა-ზერის გადმოცემა, ის სითეთრე რომელიც

აყავის მყინვარისებრ სიღიადესა და სიწმინდეს აძლევდა, აქ სრულებით ვერაა ნაგრძნობი მხატვრის მიერ.

მხატვარი გიგო ზაზიაშვილი. ზეთი. ხე. 17X14. დაცულია მხატვრის კოლექციაში. ფულური ფორმისაა. ეს სურათი შესრულებულია დიდი ზომის კომპოზიციისათვის (მონტაჟი) „ქართველი მწერლები“. მხატვარს აყავი გამოუხატავს პროფილში, მთლიანად გაჭიარებული, თეთრ საყელოზე გამონასკული აქვს იასამნისფერი ბანტი. მხატვარს დაუჭერია აყავისათვის დამახასიათებელი ცქერა, შემოქმედებითი ხედვით გაოცებული სახე, რომელიც გადაუყვანია სინამდვილისადმი თვალის გასწორებაში. მხატვარი აქ უფრო იძლევა ცქერას, მიმართულქ იბიჯტისადმი, სადაც „წნათობნის სხივებს მაღლით ფენს თავდადებულთ საფლავსა“.

ნეიტრალური ფონი თოქმის აღლერებს ჭაღარა პოეტის შინაგან სიწმინდეს და სიმაღლეს, გადმოცემა თბა-წვერისა აძლიერებს პოეტის აღამიანურ ბუნებას.

მხატვარი „ალექსანდრე ციმაკურიძე“. ამ მხატვარს ეკუთხნის კროი, შესრულებული ი. ნიკოლაძის ქანდაკებიდან ფანქრით, ეს ნახატი საინტერესოა. აქ ციმაკურიძე ახერხებს ქვის გაცოცხლებას, ძირითადში მხატვარი არ ისახავს პოეტის გამოსახვას სხვა ჩაიმე გარევეულ გაგების მიხედვით. სხენებული კროი დაიძებდა უურნალ „ლროშაში“ 1925 წელს თებერვალს.

მხატვარი კრონტკვა. აქვარელი. ქალდი. 72,5X55, ხელმოწერა მარცხნივ, შუას ქვემოთ — კროქოს 10/12. ხესნებულ სურათში აყავის ბიუსტური გმოსახულება მოქცეულია მედალიონში და მგოსანს წარმოადგენს ხანში შესულად. მედალიონის წინ სდგას ფიგურა ჩოხაახალობში, თეთრ ცხენზე დაყრდნობილი, თავზე თეთრი ყაბალა-ხით და ხელში დროშით. სხენებულ ფიგურიდან მარცხნივ გამოსახულია თორნიკე (ბერის სამოსში), მარჯვნა ხელში ხმლით და მარცხნაში ჭრით, მისგან ქვემოთ კი

მედალიონში გამოსახულია პატარა კონტაქტურ სულ ქვემოთ, წინ, ზის ყრმა გრძელდა ხით და ჩიხით; ის წიგნს კითხულობს. მარცხნივ გამოსახულია სხვა ეპიზოდები, ხოლო ზემოთ, ამავე მხარეს, მზევერავები. მარჯვნივ მოსიჩანს კავკასიის მთების ნაწილი, სიღარანაც ორბები მოფრინავენ ქვევით. ეს სურათი რამდენადმე ატარებს წიგნის ილუსტრაციის ხასიათს. პორტრეტში მხატვარს განზრახვა არ ჰქონია გალრმავებისა და თავისებურად გააზრებისა; იგი დაკამაოფილებულია მარტოლენ გარეგანი მსგავსებით, რისთვისაც ნაწილობრივ მიუღწევა (ღროშიანი ფიგურა აღებულია გორშელტიდან).

მხატვარი დ. კაკაბაძე, აქვარელი. ქალდი. 26X20,5. დაცულია მწერალთა მუზეუმში: ხელმოწერა ქვემოთ, მარცხნივ — დ. კაკაბაძე. ქვემოთ მინაწერი უნდა ვთიქი-ჩოთ მხატვრისაა: „გოჩაა-აკაზი“. როგორც სჩანს მხატვარს განზრახული ჰქონია „თამარ ცბიერის“ მიხედვით აყავი — გამოესახა გოჩად. აყავის აქ მოსახს ქართული სამოსი ქულაგა, თავზე რუსთველის მაგვარი ქუდი. იგი სდგას მუხის ქვეშ, უკან მოსიჩანს ქართული პეიზაჟი აჩქირებსტურული მოტივით, თვით მგოსანი წინა პლანზე და დაყრდნობილია ჩუქურომიან ლოდზე. სხენებული სურათი სუსტია და გარდა უკანა პლანის პეიზაჟისა, არაფერი არ ხვდება მაყურებლის თვალს; რაც შეეხება აყავის ფიგურას, მისი ტანი არა სწორად აგებული და ხეს-თან შეფარდებით არასასიამოვნო ურთიერთობასაც კი იძლევა. როგორც სჩანს, მაშინვე, როცა სურათი დახატულა, იგი გაუფორმებია თვით ავტორს ლითონის ორნამენტით (პლიკაცია), ხოლო ქვემოთ მიუწერია:

„ტახტზე ასული ფარისევლობა სისხლით და ცრემლით შავ პირს იბანდა და დღევანდელმა დღემ არ იცოდა თუ ხვალინდელი ას მოიტანდა.“

მხარინ გავიდა ხალხში მოსასანი,
..... ცურემლით ჩანგზე დამლერა
და ხალხის გული მიძინებული
გამოაფხიზლა და ააძგერა“.

მხატვ. კოტე ქავთარაძე. დაცულია მწერალთა მუზეუმში. ქალალი. ფანქარი 48×38. გამოხატავს აკაკის მოხუცებულობისას, კოსტუმში. ხელებული სურათი დოკუმენტური ხასიათისაა, ნატურის ცოდნის გარდა აქ ძირითადად ფოტოა გამოყენებული. ეს პორტრეტი ვერაცერს ამბობს დიდი ლირიკოსის ბუნებაზე.

მხატვ. უჩა (იულია) ასათიანი. დაცულია მწერალთა მუზეუმში. ზეთი. ტილო. 61×46. ხელმოწერა მარჯვნივ, კვემოთ — უჩა. ხსენებული პორტრეტი აკაკის გამოსახავს ანფასში, ოდნავ მარცხნივ თავმიბრუნებულს. ეს პორტრეტი არაა ნატურიდან შესრულებული. ერთფეროვანი, თითქმის მოშავი ფონი და სახე, უსისხლო, თეთრი, მოდელიროვას მოყლებული, ვერ გადმოსცემს აკაკის.

ზურგის მხარეზე აქვს მინაწერი: „ვუძღვნი ჩემს მიერ ხელოვნებას ჩვენს უციირფასეს მგოსანს აკაკის. უჩა იგივე იულია ასათიანი, 7—დეკემბერს, 1908 წელს ქ. თბილისი“.

მხატვ. ან. მაყ. დაცულია მწერალთა მუზეუმში (ხელმოწერა არ იყოთხება). ფანქარი. ქალალი 72×40. გამოხატავს ახალგაზრდა აკაკის კოსტუმში, ყელზე ბანტით. სახე და ხედვა მიქცეულია მარცხნივ, ტალღოვანი თმა და ბაჟები აგრძელებს სახის ოვალს, ბაჟეთა განაჭერი მარცხნა მხარეს ოდნავ ჭრულია. ეს ნახატი მოწაფის ხელს უფრო ეკუთვნის. ნაეთებია ფოტოთი.

მხატვ. ლ. გულაშვილი. დაცულია მწერალთა მუზეუმში ტილო. ზეთი. 102×74. ხელმოწერა ქვემოთ, მარჯვნივ—ლ. გუდია-შეილი, 1931. პოეტს გამოხატავს მცდომარე მდგომარეობაში, შავი კოსტუმით, ხელები წინ ულავია. პოეტი უცქერის მაყურებელს.

აწეული მარცხენა წარბი ჰქმნის რამდენად მე დამახასიათებელ ხასიათს აკაკისას. მორიგეობა ანად ნახატი სუსტია და რამდენადმე გახევებული. სინტერესოდ არის გამოყენებული წმინდა სანთლის ფერის ნიუანსი. გუდიაშვილსვე ეკუთვნის „აკაკი თავადაზნაურთა წრეში“, ნახატი ფანქრით, რაც თავის დროზე დაბეჭდილი იქნა 1935 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“. ხსენებულ ნახატში საინტერესოა ცდა აკაკის დაპირსპირებისა „წრესთან“.

მხატვ. გ. გ. დაცულია მწერალთა მუზეუმში, პირის სახით. ორიგინალი შესრულებული ყოფილა ქვემოთ, მარჯვნივ—გ. გ. ხსენებული სურათი წარმოადგენს კომპოზიციას, სადაც პლანთა გაყოფისათვის გამოყენებულია ქართული კარიბჭის მოტივი — თალით (ტრიუმფალური კამარა) უკანა პლანზე მოსჩანს არაგვისა და მტკვრის შერთვის ადგილი, მყინვარწერი და გვრის მონასტერი, უფრო წინ და მარცხნივ—სვეტი-ცხოველი გალავნით. კარიბჭე მორთულია ქართული ჩუქურმთით. ზემოთ წარწერაა: „1885. მაღლიერი საშობლოსაგან ლიჩქეულ შეიოს. 1908“. კარიბჭეს ქვემოთ ჩამოდის ქვის საფეხურები, რომელზედაც ქართველი ქალი აუნის ვარდ-ყავავილთა ფიანდაზას. კომპოზიციის ცენტრში სდგას აკაკი მარცხენა ხელში - წიგნით, და იცქირება მარცხნივ მდგომ საქართველოს კუთხეთა წარმოადგენლოკენ, რომელთა რიცხვი ამ მხარეზე უდრის ექვსს, ხოლო მოპირდპირ მხარეს ხუთს, მათთვის დამახასიათებელ ჩატულბით. აკაკისთვის სდგას ფიგურა ფრთხებით, რომელიც პოეტს დაფინას გვირგვინს ადგამს. ქვემოთ წარწერაა: „გულის პასუხი“.

„ცურემლში მიღესავს ნალველი და მელნად ის მიხმარია“
(სულ რვა სტრიქონი. ხელმოწერა—აკაკი.).

ხსენებული კომპოზიციის ცენტრში მოთავსებული ორივე ფიგურა ძალზე სუსტია. ხსენებულ სურათს აქვს წარწერა: „აკაკის ბ. წიგ. გ. ამხ. „კალმისაგან“. აქ საინტერესოა არა თვით სურათი, არამედ საზოგადოებრივობის დამოკიდებულება პოეტისადმი.

მხატვ. ო. შეერლინგი (ო. შლინგი). მას ეკუთვნის გრაფიკულად შესრულებული პორტრეტი, რომლის ადგილაშიყოფელი უცნობია. რეპროდუქცია მოთავსებული იყო 1908 წელს საიუბილეო აღმანაში №—1, რომელსაც ეწოდება „აკაკი“. აქ თვით სახელწოდებაც კი შეკული იყო აკაკის თავების გამოსახულებით. წინ აკაკი დიდადაა გამოსახული მოელი ანფასით. ნახატი შესრულებულია ტუმით, კალმით, ქვემოთ გამოსახულია დაფნის გვირგვინი, ლირა და ბატის ფრთა. აქვს წარწერა: „აკაკი წერე-თელს 50 წლის იუბილეს გამო“.

მხატვ. ს. მარაბაშვილი. 1935 წელს „ლოტერატურულ გაზეთში“ მოთავსდა მისი ნახატი „აკაკი სოფლად“. ნახატის ადგილსამყოფელი უცნობია. მხატვარი აქ აკაკის აჩვენებს სოფლის გარემოში, სადაც აკაკი გადაჭრილ ხეზე მკდომარეა. მარჯვნივ მას უდგას გოგონა ხელში ყვავილებით, ხოლო მარცხნივ იმერელი გლეხი, უკან კი გზუფია. შორს, მთებს წინ, დგას ოდა-სახლი. წინა პლანზე გამოხატულია რაკველი მესტვირე. აქ სინტერესოსა და პირისპირება ორი ერთვარი მომენტისა, როგორიცაა, მაგალითად, აკაკის პოეზიის გავება მისი ხალხურობის /თვალსახრისით და მესტვირულის ძრითადი ხასიათი. ხსენებული სურათი ასეთუ ისე წარმოადგენს აკაკის ხალხთან დამოკიდებულების გამოსახვის ცდას.

ხსენებულ გაზეთშივე დაბეჭდა ს. გაბაშვილის ნახატი „აკაკი ჭარბაჯის თამაშის დროს“ (1870 წ. მახლობელ ხანაში). იგი არსებული მასალის ნიადაგზე ჰქმნის ხსენებულ სურათს, ისევე როგორც სხვა

ორ კომპოზიციას: „აკაკი ახალგაზირებულისას“ და „აკაკი ბავშვობისას“. არა მარტო გამოსახულია აკაკის ბავშვის განვითარების სახით, არა მარტო გამოსახულია აკაკის თავის ლექსს“, შესრულებული ფოტოგრაფიის გამოყენებით.

ხსენებულ ნახატში განწყობილება ვერაა დაჭრილი, გაუგებარისა საითენ ან რისთვისაა მიმართული აკაკის ხედვა. ბავშვის ხელები, ნახატის თვალსახრისით, მოზრდილის ხელების შთაბეჭდილებას სტრეგებს და სხვა. ასაკიშნავია მხ. ვ. ლ. ხოფერის ცდა (ასაკავირველია ფორმალურად სუსტ.) „აკაკის სახე“. აქ ლეიტმოტივად აღმულია აღგილი გალაქტიონ ტაბიდის ლექსიდან „აკაკის ლანდი“:

„თეთრი ჭაღარით მოსილი თმები
ელავდა ელვის ელვა-ციმციმით;
და მოხაბლული იყო მთები
იღმალ სახის ღვთაებრივ ღიმით“.

ხსენებული პორტრეტი წარმოადგენს კვადრატულ ფონზე გამოსახულ პოეტის თავს პროფილში, სადაც ძირითად ლეიტმოტივად აღმულია სიჭაღარავე „ელვა-ციმციმით“. სადაა ნახატი დაცული, ცნობილია არაა.

მხატ. შ. მარადაშვილი. ზეთი. ტილ. 66×53. ხელმოწერა ქვემოთ, მარცხნივ—შ. შარადაშვილი. დაცულია მწერალთა მუზეუმში. მხატვარი იძლევა მგოსანს ბიუსტურ გამოსახულებაში. წინა არე მერქლის გასწრივ დაფარულია მინდვრის ყვავილებით, რომელთაც პეპელა დამფარფატებს. უკანა პლანი მთებისა და ცის მოტივის იძლევა. აკაკი თითქოს მიწიდან ამზრდილა, მისი ხედვა მიქცეულია მარჯვნივ, მოდელიროვა სუსტია, სახეს გადაჰქრის სანთლის ცერტის იერი. აქ პრიმიტივის თავისებურ გაგებასთან გვაქვს საქმე (თავის მიბმა სხეულზე ანატომიურად არაა სწორი).

მხატ. გრიგორიანი. ზეთი. ფანერი. დაცულია „მეტეხის მუზეუმში“. წარმოად-

გენეს პრიმიტივის ცდას, ნახატი და ფერწე-
რა სუსტია.


მხატ. კ. ზღაძევიჩი. შესრულებული
აქვს პორტრეტი პროფილში, სახელგამის
მიერ გამოცემულ აკაკის თხზულებათა კრუ-
ბულისათვის. ორგინალის ადგილსამყოფე-
ლი უცნობია.

უცნობი ოსტატი. იტალიური ფანქა-
რი და აკვარელი ქაღალდზე, 40×52. და-
ცულია მწერალთა მუზეუმში. კომპოზიცია
გამოხატუს შოთას და აკაკის. შოთა აკაკას
აწვდის თავის კალამს, აკაკი კი ჩამოართმევს
მიწოდებულს. ფონი შეკითლია ორნატინტუ-
ლი მოტივით და არქიტექტურული პეიზა-
ჟით. ცენტრში არის ბაგრატის ტაძრის ნან-
გრევი, მარცხნივ მეტეხი, მარჯვნივ კი თბი-
ლისის უბანი. შოთას უპყრია წიგნი, აკაკი
კი უთითებს ქალაქისაკენ, ამ ნახატში პორ-
ტრეტები ხატვის თვალსაზრისით სუსტია.
ქვემოთ აქვს მიწერილი: „წელსა 1908 და-
კემბერს 6.

“ვის მივანდო სახლი ჩემი, შენგან კიდევ
ვინც მეფარა
გული დადევ დაიჭირე, ვერ წაგიტან, ვერა
ვერა“.

მარჯვნივ: „თ. აკაკი წერეთელს 50 წლის
იუბილესათვის პატრი მიხეილ თამარვისა
და რომის ქართველ სტუდენტთა გუნდისა“.
სხენებული სურათის ავტორის ვნანობა უც-
ონბა, იგი შეიძლება ეკუთვნოდეს ვინმე
ქართველ ან იტალიელ კათოლიკე ბერს.
პორტრეტები შესრულებულია ფოტოგრა-
ფიიდან.

მხატ. ა. შევკუნენკო. მას ეკუთვნის
აკაკის პორტრეტი, შესრულებული ოდესა-
ში, იტალიური ფანქრით, ქაღალდზე,
93×67. სხენებული სურათი ახლანა შეი-
ძინა საქართველოს მწერალთა მუზეუმშა.
სურათი შესრულებულია 1907 წელს. აქ
პოეტი გამოსახულია მარცხნივ თავმიბრუ-
ნებული, სამ მეოთხედად ანფაში. იგი შე-



აკაკის ბიუსტი ამერიკის ბალნარში ი. ნიკოლაძის

დარებით ახალგაზრდად გამოიცეირება. სუ-
რათი უფრო გამოსახავს განწყობილებას:
„ერის წყლული, წყლულად მაჩნდეს, მეწო-
დეს მის ტანჯვით გული“. მხატვარი უფრო
იძლევა ორგალეულს, კინემ „პოეტს მეო-
ცნებეს“.

აკაკი ქართული ხელოვნების ისეთ სფე-
როსაც არ გამოიჩინა, როგორიცაა ქანდაკება. გ
ერ კიდევ 1915 წელს გაზიერ „თანამედრო-
ვე აზრი“ (№ 45) ახალ ამბებში ათავსებდა
ასეთ ცნობას: „აკაკის ბიუსტი. წერა-კია-
ხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ მიმარ-
თა თავის განყოფილებებს სურათ თუ არა
მათ შეიძინონ აკაკის ბიუსტი, ნიკოლაძის
მიერ გაკეთებული, კერძო პირებსაც შეუძ-
ლიათ მიმართონ საზოგადოების გამგეობას
და მათგან დაიკვეთონ ბიუსტი“. ნიკოლაძი-
სავე აკაკი რეპროდუცირებული იყო 1920
წელს ურნალში „Братство“, №—1.

აკაკის თემაზე უმუშავნია მიხეილ ჭიათურელსაც. სად ინახება ორიგინალი, ჩვენთვის არა ცნობილი, მათი ფოტო-პირები კი დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს“ დამატებაში (№—16) და ურნანალ „ხელოვნებში“ 1921 წ.

„სახალხო ფურცელის“ №—443-ის დმატება №—79-ში მოთავსებულ იქნა დუშიკო ფალავანდიშვილის მიერ შესრულებული ბარელიეფი ხეზე. იგივე ცდა გამოერა მე-9 კლასის მოწაფემ ჭ. ავალიშვილმა.

ასეთუსის დასრულებული ფაქტი ქანდაკების დარგში დღემდე მოგვცა მოქანდაკე ი. ნიკოლაძემ, რითაც იგი რამდენადმე ნაწილობრივ მაინც მიუახლოვდა გამოსასახავი ობიექტის შინაგან სამყაროს. პირველი ქანდაკება, რომელიც დგას ოპერის ბაღში და რომელიც ადგილის შერჩევითაც იშვიათია, უთოლი ძლიერა აკაკის საინტერესო გაგებას. ძირითადი, ჩვენის აზრით, ამ ქანდაკებაში ის ექსტრაზია, რომლითაც პოეტი იწოდა. აქ ნიკოლაძემ შესძლო ბიუსტის გამოკვეთა, კამპოზიციითა და ადგილის შერჩევით—შერეთლის პოეზიის არმატის გმირმულავნება. ამ ფიზიკურად ძლიერი ფიგურით მან აჩვენა მთელი სიჯანსაღე აკაკის პოეზიისა. თავის დაყენებით მოქანდაკემ შესძლო თრი მომენტის დაჭრა: პირველი: „მე კა მნიშვნავს და ერთ მზრდის, მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისავის ვლაპარაკობ რომ წარუდღე წინა ერსა“. აქ ნიკოლაძემ მართლაც წინასწარმეტყველისა და შინაგანი რწმენით საკე ფიგურა შექმნა, აქ მართლაც არის წინამძღვროლმა და ქედმოუხულობა. მეორეს მხრივ კი მოქანდაკემ შესძლო გადმოეცა დიდი დამაჯერებლობით ცემრა და განცდა:

„ცა-ფიზიუს ხმელეთ-ზურმუხტო სულის ჩამდგმელო მხარეო ცარიცხული შენი ვარ შენთვის მოვაკლები შენზედ ვარ მგლოვიარეო“....

ძირითადში ნიკოლაძე მიუახლოვდა აკაკის პოეტურ კლერიკს, მან ქვა აამეტყველა ისეთი სტრიქონებით, როგორიცაა სტრიქონები „განთიადისა“, „პოეტისა“ და „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“-სი. მისი გაშიშვლებული მკერდი—ეს თვით ქართული მიწის სუნთქვაა. ნიკოლაძისაც მეორე ბიუსტი ნაკეთები თაბაშირით, დაცულია ნაკართველოს მუზერალთა მუზეუმში, ხელმოწერა აქვს მარჯვნივ, ქვემოთ; ესაა ვარიანტი. თვით რამდენადმე ქვემოთაა დაწეული.

მიუხედავად იმისა, რომ აკაკი თავიდანვა რპყრობდა სახვითი ხელოვნების ოსტატთა ყურადღებას და საქმაო რაოდენობითაც იყო ცდები მისი პორტრეტის შექმნისა,* ძირითადად იგი მაინც დაუძლეველი დარჩა როგორც ფერწერისა, და გრაფიკის, ისე ქანდაკების დარგში. ამის მთავარი მიზეზი, ჩვენის აზრით, მისი შემოქმედების ძირითადი მოტივების ნაკლები ცოდნა და შეგნებაა. ქართული სახვითი ხელოვნების ოსტატებმა ახლო უნდა გაიცნონ მისი შემოქმედება. მხოლოდ ამ საფუძველზე დასძლევენ ისინი ისეთ კეთილშობილ თემას, როგორიცაა აკაკის პორტრეტი.

* აკაკის პორტრეტი გაკეთებული აქვს აგრეთვე მატ. ა. ბერიძეს. პორტრეტი დაარიღებულია 1892 წ. იგი შესრულებულია ზეთთა, მუჟაონე. დაცულია მწერალთა მუზეუმში. შეძინეს წინა მდგბარე წერილის დამზადების შემდეგ.



„აკაკი ბარიში“

ნაზ. ელენე აზვლედიანისა

ითვალის კოშკზე

მაღალ კოშკზე ცის მახლობლად
ეიფელის მწვერვალზედ,
როცა ყველა დამაკიტყდა!
ცოლი, შეილი, მამა, დედა,

ატანილი შიშისაგან,
მხალედ ბარიშის დაგჟურებდი,
მაგრამ იმ დროს მე იქიდან
ვეღარაუერს ერ ვერეცდი.

რაღაც ლანდად წარმომიდგა
ქალაქი და ტურდა მსარე,
ვეღარავინ გავარჩიო,
ვერც მტერი და ვერც მაყვარე!

და მაშინ ვსთქვი: ნუ თუ ისიც,
ვინც სანდახან სალხს შეირდება
და სულ მაღლა-მაღლა მიძიხ,
ორთა შეა გახირდება!

რა თქმა უნდა რომ დაჲგარგაგს
ხალხზე ის სწორ მხედველობას
და სიმართლით ვერ გაარჩევს
სიგარვეს და საძალობას! . . .

აკაკი

ეკაკი ნერითები და საბჭოთა მხატვრობა

დღეს, ოოდესაც საბჭოთა საქართველო
და მისი მოძმე რესპუბლიკები ზეიმობენ
დიდი პოეტის დაბადების ას წლის თავს,
ამ ზემში მონაწილეობს საბჭოთა საქართველოს
მხატვრების, ოოგორც უფროსი ისე
უმცროსი თაობა. ქართველი მხატვრები ძა-
ლიან ფართოდ შეეხენ აკაკის ცხოვრებას
და შემოქმედებას. ლიტერატურული მუზეუ-
მის მიერ მოწყობილ დიდ და საინტერესო
გამოფენაზე კრისტიან არის წარმოდგენილი
აკაკი სახეთით ხელოვნებაში..

სრულიად დამსახურებულად იყორობს მა-
ყურებლის ყურადღებას ოოდენოსანი სახალ-
ხო მოქანდაკის ი. ნიკოლაძის მიერ გამოქვე-
თილი აკაკის ბიუსტი. ნაწარმოებში ჩანს
მაღალი გრძნობების ის სინატიფე და კე-
თილშობილება, ოომლითაც ასე უხვად იყო
დაჯილდობული პოეტი. მავე ავტორს ეკუ-
თვნაან შგოსნის ხელი და მგოსნის ნიმბი.

შეორე ნაწარმოები, ხეზე ამოჭრილი აკა-
კის პროფილი, ოომელიც მსახიობ კოსტავას
ეკუთვნის, ტექნიკურად კარგად არის შესრუ-
ლებული და ავტორის შემოქმედებით შე-
საძლებლობას ამეღავნებს. აქვე ელ. ახვლედი-
ანის მიერ შესრულებული ზურმუხტოვანი
პეიზაჟის ფონზე, ოომელიც პოეტს ასე უზო-
მოდ უყარდა, მხატვარ ქ. მაღალაშვილს
აღმართავს პოეტის ფიგურა: პოეტი სია-
მოვნებით უცქერის თავისი სამშობლოს მი-
დამოებს.


მხატვარი უ. ჯაფარიძე გვთავაზობს ტუ-
შით დაწერილს მგოსნის სათნო და მომხი-
ბლებელ სახეს. მხატვარ ქალ ტოლმაჩევსკა-
იას უცდა არქიტექტურულ ფონზე ფრეს-
კული ფერწერის მანერით მოეცა პოეტის
გამოსახულება.

აკაკიმ ცხოვრების მიზნად აუტანელი მო-

ნობის უდელქვეშ მყოფი ხალხის განთავი-
სუფლება დაისახა. ეს დიდი სიყვარული და
უსაზღვრო სიბრალული საწყალი და დაბე-
ჩივებული ხალხის მიმართ, შეიძლება ნა-
წილობრივ გლეხი ქალის ტებილმა ძუძუშ
და სევდიანმა ნანამ ჩაუნერგეს მას. ბავშ-
ვიბილანვე აღეძრა დიდი ზრუნვა გაღატაე-
ბულ გლეხებისადმი და სიძულევილი გამეფე-
ბულ უსამართლობისადმი.

ამრიგად, აკაკი სიყრმიდანვე შეეჩინა ხალ-
ხში ყოფნას, იგი უშუალოდ განიცდიდა
ხალხის ნაფიქრსა და ნაგრძნობს. პოეტი
მევრს მოგზაურობდა, იცოდა მისი ქვეყნის
თოვჭმის კულტობრივი კუთხე, იცნობდა ხალხის
ზე-ჩვეულებასა და ცხოვრებას. ხალხურო-
ბა, სამშობლოს სიყვარული და ყოველ-
დღიურ ჭირ-ვარამზე გამოხმაურება აკაკის
შემოქმედებისა და პირადი ცხოვრების უმ-
თავრესი მისტრატება. აკაკი დაუახლოვა
პოეზია ხალხს და ხალხი პოეზიას. მისმა გა-
ნუწყვეტილმა სიახლოებები ხალხთან, მის
ბედ-ილბალზე ფიქრმა, მგოსნის თავისი ერის
დიდი სიყვარული მოუპოვა. თუ რამდენად
დაახლოებული იყო პოეტი გლეხებთან, ამას
გამოფენაზე წარმოდგენილი მრავალი სუ-
რათი მოწმობს. ი, მაგალითად, „აკაკი სოფ-
სხევიტორში“, რასაც ასე მოხდენილა ხა-
ტავს მხატვარი თმარ ამაკელია. ნახატზე
წარმოდგენილია გლეხებით გარშემორტყმუ-
ლი აკაკი, ოომელიც თავის თანამემიზულეთ
ტებილად ესაუბრება.

შემდეგი კ. ხუციშვილის ფერწერა გახ-
ლავთ: „აკაკი გორში“. სანახობა გაშლილია
ტრიალ მინდობრზე, დიდი მუხის ქვეშ, გო-
რის ციხის ფონზე ნაჩენებია ჭიდაობა, რა-
საც პოეტი ყურადღებით უცქერის. ოო-
გორც ჩანს, მხატვარს ფრიად სახითათ



ფერთა შეხამების ამოცანა უკისრებია და სურთმის ფერთა სიტრელე შეპარვია. აკაკის სიახლოეს ხალხთან მოწმობს აგრძელებული ნ. თამამშევას ტილო „პოტი ჩატალებულში“, კ. გძელიშვილის სურათი ზეთის ფერებში „აკაკი გლეხებთან სოფ. სხვიტორში“, როინიშვილის პატარა ზომის ნაშუშევარი ზეთის ფერებში „აკაკი ყვარელში“, ამ უკანასკნელ ნახატში მნიშვნელში ნაჩვენებია გლეხთა ჯგუფი, რომელსაც აკაკი უსუბრებდა. მხატვარს ფერადოვნების მხრივ ნაშუშევარი სასიამოვნო ღია ყავისფერ და მუქ ოქროსფერ ტონებში აქვს გაეთხებული. აქვთ უნდა აღინიშნოს მხატვარ ჩიკვაიძის საშუალო ზომის ნაშუშევარი ზეთის ფერებში „აკაკი პეტერბურგში ქართველ სტუდენტთა შორის“. პეტერბურგის სანახაობა თბილ, სასიამოვნო, ღია ცასფერ, კერძოდ შეფერილ ტონებში არის მოცემული.

აკაკის ნაწარმოებთა სუეტებს ხარბად დაეწაფებ მხატვები. ორდენისან მხატვარ ე. ახვლედიანის ეკუთვნის „ბაში-აჩუკისათვის“ შესრულებული ოთხი ილუსტრაცია შავ ფერში; ისინი გამოიჩინა ამ მხატვრისათვის დამახასიათებელი თავისებურებით და შესრულების მაღალი ოსტატობით. მის მიერვე დიდ ტილოზე ფართოდ არის გაშლილი „ბაში-აჩუკის“ შემაძრუნებული სცენა, როცა ბაში-აჩუკი სვიმონ მაყაშვილს თავს აცლის. უნდა აღინიშნოს, რომ სურათის განლაგება განზრახ შეხტშულია, ის მოკლებულია სისადავეს და ბუნებრივობას, მაშინ როდესაც ნახატში—„აკაკი პარიზში“ პოტი განსახიერებულია დიდი მხატვრული ნისადავით.

მხატვარ კ. ჭანკვეტაძეს „ბაში-აჩუკიდან“ საგანგებოდ შეუჩეხვია მეტად ლირიკული მიმენტი: აბდულ შაპილის და პირიმიშვილს პირველი შეხვედრა ტყუში. აკაკილი შესრულებულია მეტად ნაზ და ლირიკულ ტონებში. როგორც ჩანს, მხატვარ შ. ბერიძეა-შეილს ბევრი უმუშავნია „თორნიკე ერისთა-

აკაკის ბიუსტი

ი. ნიკოლაძისა

ვის“, „პატარა კახის“, „ნათელას“, „ნაცარ-ქექის“, „თამარ ცბიერის“ და „გამზრდელის“ ილუსტრაციებზე.

ლ. გულაშვილს წარმოდგენლი აქვს ერთი მომენტი „ბაგრატ დიდიდან“: ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა ლუნგოთე მურის ურდოებთან. ბრძოლა გაშლილია საქართველოს მთებისა და ციხე-სიმაგრეების ფონზე. ქართველ ცხენოსანთა მიერ შექმნილ რკალში მოყოლილი მონგოლთა ურდოები თვევა-მოფებით ვარბიან. უნდა აღინიშნოს, რომ მხატვარის მიერ თემა კარგად არის შეგრძელი, მიღწეულია ფერთა პარმონია და ბოლომდე შენარჩუნებულია კოლორიტის მთლიანობა.

აგრძელებული უნდა აღინიშნოს აკაკის პორტრეტები, გაეთხებული ზეთის ფერებში და გრაფიკულად, რომელიც ჩვენს ნიკეტი მხატვართა ფუნქს ეკუთვნის: კ. სანაძის, გ. გრიგორიანის, გ. ზაზიაშვილის, ე. კახიძის, ს. კეცხველის, შ. მარადაშვილის ნახატები და ი. გებენერის „აკაკი სხვიტორში თავისი



სახლის ივანეზე”。 მხატვარ კიქაძის მიერ არის შესრულებული პოეტის შშობლების პორტრეტები.

ყოველმხრივ არის ასახული აკაკის ცხოვრება, ნაჩვენებია აგრძოვე პოეტი მის თანამედროვე მწერალთა შორის. „აკაკი და ივანე მაჩაბელი ჭაღრაგს თამაშობენ“,—ეს ტილო ნიჭიერ მხატვარ მ. მღებრიშვილს მაჟუთანის, „აკაკი აგაღმყოფ ჭაზებეგთან“. ზეთის ფერებში შესრულებულია ცოცხლად ქინქლაბის მიერ. მხატვარ გიგოლაშვილის ტილოზე წარმოდგენირია სცენა, როცა „აკაღმყოფ აკაკის სხვიტოჩში სულიერს უმღერიან“; ნამეშევარი დაკვირვებით არის შესრულებული მიღწეულია სასიამოვნო კოლორიტი და სურათში ჯანშყობილება ჩანს. მასვე ეკუთვნის ზეთის ფერებში შესრულებული: „ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში „აჩრდილს“ უკითხავს აკაკის“ და „1880 წ. ლორენიატურული წრე“. ს. მაისაშვილის მიერ ზეთის ფერებში შესრულებული „აკაკის დაპატიმრება“ ნაჩქარევად არის გაეთებული. სურათის მარჯვნა ნაწილი,—ორსართულიანი სახლი ფანრით,—თბილ და სასიამოვნო მოყავისფერო ტონებშია მოცემული.

„ა. წერეთელი სიტუას ეუბნება ი. ჭავჭავაძის ცხედარში“—გაკეთებულია ს. ნაღარეიშვილის მიერ. ჩანს, მხატვარს ნაჩქარევად უმიშავნია. ვოლგინის სურათში „აკა-

კის ბავშვობა სხვიტოჩში“ ვერ არის შემოტკიცებული საქართველოს ბუნება და მისთვის დამახასიათებელი ფერადოვნება. გამოფენაზე ა. ციმაურიძის სამი ტილო არის წარმოდგენილი; ორ მათგანზე „აკაკის სახლი სხვიტოჩში“ ასახულია გაშლილ და მწვანით შეცურვილ პეიზაჟის ფონზე. ხოლო მესამე „პოეტის საფლავი“ გახლავთ. ვ. ჯაფარიძის მიერ შესრულებულია რამდენიმე ნამუშევარი მათ შორის ზეთის ფერებით „მდინარე ჩინურა“, „სოფელ სხვიტოჩის ხედი“, ხოლო აკარელით „საჩხერე“. ბეჟან წერეთის სახლი“, „აკაკის სახლი ს. სხვიტოჩში“, აგრეთვე „აკაკის ბიძის სახლი სავანეში“ და „სავანის ტაძარი“; ეს ორი უკანასკნელი განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, როგორც ტექნიკური შესრულებით, ისე ნაზი ფერადოვნებით და ქართული პეიზაჟისათვის დამახასიათებელ იერითა და მომხიბლველობით.

მიუხედავად იმ ზოგი ნაკლია, რომელიც ჩვენს მხატვართა ნამუშევრებში მოპოვება, მასნც უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ქართველი პოეტი, ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი წარმომადგენელი, მისი შინაარსიან და ლირიკული. პოეზია, მხატვრების მიერ დიდის საზარულითა და შზრუნველობით არის ასაზულ.

ე პ ა პ ი

(თაჯვები გამოშვიდობის მიზანიდან)

თბილისში ჩვენს ოჯახს დაუახლოედნენ იმდროინდელი ქართველი მწერლები და სა-
ზოგადო მოღვაწეები: აკაკი, რაფიელ ერის-
თავი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი და
სხვ. ესენი ხშირად დადიოდნენ ჩვენთან,
ზოგჯერ დადიოდა ილა ჭიათურაც, ერთ
დროს ლიზაზე ჟევფარებული, მაგრამ იმ
დროს დეიდა ლიზა კვლავ უყვარდა, თუ
სიყვარულის ცეცხლი ჩამჭრალი ჰქონდა
ძნელი სათქმელია.

მე ყველას გავეცნი. აქ იმართებოდა
მუსათა და მსჯელობა მწერლობაზე, საზო-
გადუებრივ საკითხებზე, საქართველოს და
ქართველი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრება-
ზე. მე მეშოდა მათი სიტყვები, მათივე გა-
მოთქმული აზრები და ზოგჯერ ჩაეფიქრე-
ბინარ კიდეც მათ, იმდენად რამდენადც ეს
შესაძლებელი იყო ჩემს მდგომარეობაში
და ასაკში მყოფ ქალისათვის.

გავიცნი ჩვენი საყვარელი მგოსანი აკა-
კიც. მაგრამ ეს გაცნობა მოხდა ძლიერ ძა-
რისულ ფორმებში და ამან, შეიძლება ია-
კვას, გადწყვიტა ჩემი მომავალი არტიტო-
ბის ბედიც, ამიტომ საჭიროდ მიმართია უ-
ვიკონო ეს ამბავი.

ახლანდელ კომუნართა ბალში, (მაშინ
ალექსანდროვის ბაღს ეძახდნენ), გამართუ-
ლი იყო დიდი მშევნეობის საზაფხულო დაზ-
ბაზი, საღამოობით იქ დიდადი ხალხი იყ-
რიდა თავს. მუსათაბღნენ, თავს ირთობდნენ
და თან ხილეულობის ცივი წყლის
გრილდებოდნენ. ერთხელ ჩვენსს სერგე-
იაშისის ოჯახობა მოვიდა და ყველანი სსეი-
რნოდ წავედით. მე პირველად მივდიოდი
ამ ბალში და საერთოდ პირველად გავდიო-
დი ქალაქის ასეთ დიდ საზოგადოებაში.
ამიტომ ბებია ნინომ დამიმახადა და მთელი

დარიგება მომცა, როგორ უნდა დამეჭირა
თავი და როგორ მოვქმედულიყავი. სხვათა-
შორის მითხრა:

— შვილო, დინჯად იყავო, გზაზე უცხას
არავის დაუწყო ლაპარაკი, თორემ ქალაქი
ჯიბგირებით და გარეუნილი ხალხით არის
საესე და ვინ იცის რა ხათაბალს აეყიდე-
ბიო.— კიდევ არ მასსოდეს, რაები არ მით-
რა. მე, ცოტა არ იყოს შემეშინდა კიდეც,
მაგრამ ვიფაქრე, უცხოს არავის გვევარე-
ბი და რა უნდა შემხვდეს მეთქი... წავედით
ბალში. უფროსები მავიდების დასაჭრად
გაემართენ. ახალგაზრდებმა კი ვარჩიეთ
ცოტა ხანს მოსეირნეთათვისი გვეცეირა და
ჩამოვსხედით იქვე გრძელ სქამებზე. უცებ
მოიჩინა ჩემთან პატარა ლამაზმა ძალმა
და ლაქუცი დამიწყო. მეც თავზე ხელი გა-
დაცუსვი და ვაკოცე. ამ დროს მომესმა ხმა:

— ომ, რას შერები ქალო, მაგისთანა
ოუგრუმელა გოგონა ძალის როგორ ჰქონ-
ნი?

ავიხედე ზევით, თავზე მადგა, ბრგე, ლა-
მაზი ვაკეკაცი, რომელსაც თეთრი გადატი-
მული შეტბლი ჰქონდა. თავი ისეთი სუკუჭი
თმით ჰქონდა დაფარული, რომ არაბი გე-
გონებოდათ, სახის უზომო სითერესე, რომ
არ ჰქონოდა. მას პალტო გადაეკიდ ხელზე
და ღიმილით შემომჩერებოდა... მე ვამახ-
სენდა ბებიას დარიგება, ალბათ ეს ერთი იმ
არამზადათაგანია, რომელსაც რამე ხათაბა-
ლა უნდა ამჭიდოს მეთქი, და მკაცრად მი-
უვჩი:

— ზოგჯერ ძალის კოცა უფრო სასია-
მოვნოა, ვიდრე ზოგიერთი აღამიანის კოც-
ნა, ანდა თქვენისთანა კაცთან ლაპარაკი
მეთქი.

ამ პასუხზე მან ერთი გულიანთ გადაი-



აკადი 70-ან წლებში

კისეისა. სხვათა შორის აკაკის არ ჰქონდა ლამაზი სიცილი. მის ბრგე შეხედულებას არ უხდებოდა ქალური კისეისი. მე საშინელი ჭავრი მომივიდა მის სიცილზე და კანიერად შევეკითხე: — „რას ხედავთ აქ სასაცლოს მეოქი?“ ამაზე კიდევ გადიისეისა, მოძიფდა გვერდით და მითხრა: — „შენ თუ ჭიშაც მაგისთანა მახვილი გაქცეს, როგორც ენა გქონია, ძალიან კარგი აქტრისა ვამოხვალო. მე ვისუადრისე შენობით უცნობს მიერ ჩემთან ლაპარაკი, აგრეთვე ის, რომ აქტრისა კარგი იქნებით, რომ მითხრა, გაბრაზებული წამოვხტი და უხეშად მივახლე: — ბატონი ჩემო, თქვენ ალბათ უპატონო გოგო გვინივართ, მაგისთან სიტყვაზით რომ მელაპარაკებით, როგორ თუ აქტრისა, ვინა გვინივართ მე.“

— გაფავრებაც, რომ ცოდნია, ეგ უფრო გშევენის, ვიღრე დაშვიდებული სახე.

— ეგ თქვენი საქმე არ გახლავთ.

— მე ცუდს არაფერს გეუბნებით დაგრენავთ ნი, მსოლოდ მინდა გავიგო ვისი ზარ, მე და რა გვარი ხარ?

— რაში გეპრიანებათ ჩემი ვინაობა-მეტეში მივეცი პასუხი და გავცილდი, ჩქარის ნაბიჭით გავსწი იქით, სადაც ჩემნები ისხდნენ. მე ვლელავდი, ყველამ შემატყო და დერდა ლიზა შემეკითხა:

— რამ აგალელვა ასე, ვინ გაგაბრაზაო?

— ვინ უნდა იყოს ის ოხერი კაცი, რომელიც აგრე მოდის, მეტეი! — და ხელი მივუშვირე ჩემს შეურაცმყოფელზე, რომელიც ჩენენენ მოეშურებოდა.

— რას მიპარავ, რატომ ესე უბლვარი ეგ ვინ არის?

— ვინ უნდა იყოს?

— ეს არის დიდი პოეტი აკაკი წერეთალიო, — მიპასუხა დეიდა ლიზამ. მე შევკრთი, ვიგრძენი უხერხულობა, აკაკი მოგვიახლოედა, მე აღარ ვიცი როგორ მოვიტცე, დეიდა ლიზას, რომ გამოიკრიბებინა ჩემი უხეში საქციელი, აკაკის მიმართა:

— ნება მიბოძეთ გაგაცნოთ ჩემი დისტული, თქვენი პიროვნება მასაც კი აინტერესებს.

— ნუ სწუხდებით, — მიუგო ღიაშილით აკაკიმი. — ჩენენ იმდენად კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, ვიჩხებეთ კიდევო, — და მოჰყავი ჩენენ გამოლაპარაკების ამბავს.

აკაკი დეიდაჩემს „დრობის“ რედაქციაში გაეცნო, მე მის მწერლობას ვიცნობდი, პარადად კი არ ვიცნობდი. მაშინ პირველად ვნახე, შემდევ აკაკი თოთქმის ყოველ საღამოს დადიოდა ჩემთან, მე ხშირად შემინიშნავს, აკაკი და სერგე მესნი ლაპარაკობდენ ჩემზე, და ახსენებდენ თეატრს. მაგრამ რაღაც მაშინ არ ვიცოდი რა იყო თეატრი, ამიტომ ვერ გამეგო თეატრთან დაკავშირებით რად ახსენებდენ ჩემს სახელს.

ერთ დღეს ჩემსას ალექსანდრე მარჯანიშვილმა წვეულება გამართა, მოპატიებული ცყვენენ ჩენი მწერლები და საზოგადო მო-

ლვა შეები. სხვათა შორის იყვნენ: აკაკი, რა-
ფიელ ერისთავი, სერგეი მესხი, გიორგი წე-
რეთელი და სხვები. დიდი ლხინი გამარ-

თა, კასურ მრავალუამიერს და ხალცურ სიმ-
ლურებს საზღვარი არ ჰქონდა. მე ძლიერ
კარგ ხასიათზე დავდევი, ბევრი ვიმღერე

ვისევე, ვიონტუნე და ამით სტუმრების
გამზიარულებას ძლიერ შევუწყევ ხელი. რა-
ფილი, აუკი და უერგვით სულ მე მომჩერე-

მოდესეს და ჩემთვის ლაპარაკობდნენ. გათავია
ქეიფი, სუფრიდან ავიშალეთ. სტუმრები
ზალაში გვიცხდეთ და დაგნენ და მოსა-

ପ୍ରକାଶକ ହିନ୍ଦୁ ପାତ୍ର ପାଇଁ ଏହା କମିଶନ କରିଛି ।

— გამავირი რომ დაგინიშნოთ ჩვენს თვა-
ლის უწმინდობობა და მარტინ ლინკის

ଓৰোৱা, আৰ কাহৰেণ্বাল সাধুঃকোল?
— মাঙস গীৰ এলোৰিস্বৰা, 15 মাৰ্কেতিপু, খুম
হাশেঙ্গনীৰ কেমি সাক্ষৰতাৰ শুক্ৰমিঠ, তাঙ্গ
কেৰণীৰূপ হাতৰেণ্বলি দা মেৰু আৰ মিনড়া
মেঘৰ অৰিজিনে

— ତୁ ତାନାକ୍ଷମୀ ପିନ୍ଧେଦି, ମେ ମାଗ ସାହିତ୍ୟ ମନ୍ଦିରକୁ
ପାଇଁ ଯାଏ ।

— ძლიერ მაღლობელი ვიქენები, — უკას-
სუხე. ჩვენს ლაპარაკეს ყური მოჰქრა დეიდა
კატომ, არ ესიამოვნა, მესაიფში ჩაერთა და
ავაგის მიმართა:

- თქვენ ხუმრობთ, მაგი ბაშვია, მართა-ლი ეგონება და გაბრიყელება.
- როგორ, თუ ვცუმრობ, სრულ სიმართ-

ლეს ვეტენიში. — უპასუხა აკაგმ.
— ერთი მიბრძანეთ, გასათხოვაზი ქალის
სცენზიზე გამოყენება რა საკალრისია და ვის
გაუგონია?

— რომ აჩ გაუკონია, ამიტომ აღარ გავი-
გონით? აბა როგორ შეიძლება, რომ თე-
ტრს ასე ზიზღით უყურებოთ იქვენ სარკე-
ში იხედებით?

— სარე რა შეაშია?... მერე რა რომ ვინდები?

— წო ვერამოგონი ვა-ლი-ნკო ა-ს-

— ସ ଦ୍ୟାନ୍ୟକୁଣ୍ଡଳରେ ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କ, ଲିବିଂସ୍ଟନ୍ସଙ୍କ, ପିଲାମନ୍ତରଙ୍କ ନେଇଲେବାକି ?

— ମିଳିତରେ କୁମ ଶିଙ୍ଗ ପାହାନ୍ତରେ, ଲାଦ ଏବଂ
ମିଳିତରେ ଏବଂ ଏବଂ ମିଳିତରେ ମିଳିତ ପାହାନ୍ତରେ
— ପରାମା ପାହାନ୍ତରେ ଏବଂ ପାହାନ୍ତରେ

— კონკრეტულად ის, თუ ყოველი მართვის მიზანი ის, რაც ადამიანისათვის, კერძო — პირისათვის ასრულება, ის მთელი საზოგადოებისათვის თეატრია, რომ ხალხმა შეი ჩაიხელოს, თვისი ნაცილი და ღირსება დაინახოს და გასასწორებელი გაისწოროს. თეატრი სკოლაა ხალხისათვის, გამასწორებელი და არა უბრალო დროის გასტარებელი, განათლებოლ ქვეყნებში თეატრი ამ მიზნით აქვთ მიზურინილი.

— ဟိုပေါ်မှ ပုံ ဖျော် အဲ တော်ဝါ လာ ဒုက္ခပါ။
— မြန်မာ အဲ တော်ဝါ၊ ဘဏ္ဍာဆီမှာ မြန်မာ မြန်မာ

— ၁၅၃၀။ ပျော် ပုံနှိပ်ပါ၊ ၆၄၉၁၁။ မာဂုဒ္ဓ
မြောက်ဖုန်းရွှေပဲလွှေ၊ တော်ချမှု မီ၇၀၂။ မြိုင် ဂာမြန်း၊
ပြော်နှုန်း၊ တူး စာပိုက်၊ ဇာ စာပိုက်၊ ပုံနှိပ်ပါ၊

— უნდა დავიწყოთ, ჩვენი ვეტალოთ სა
ბოლოს გავიმარჩევთ.

— ቅድመኝነት ንብረቱ, ሚኒስቴር ደንብ, ከተማና
መግዛዣዎች በመከራከል.

ეს მუსაიძი ასე დასრულდა.. მისი მერჩე
კარგა ხანი გავიღა, ასეთი ხასიათის ლექს-
ტიყბს ჩვენებს ხშირად უკითხავდნენ, ზოგი
ჩვენიანი მოლბა, ბებია კი ისევ ჭირობ-
და.. მაგრამ არ ეშვებოლდნენ, განსაკუთრე-
ბით აყავსა და სერგეის მიქეწონდათ იერი-
შები. ერთხელ, რომ ორი მოეშვენენ, გაჭავ-
რებულმა უთხრა აკაკის:

— კნიაზო აკაკი არ გეკაღლებათ, რაფი
ობოლია ასეთ გაუბელურებას უპირებთო.

— ჩის გრძანებთ, ჩის გაუბედურება, კი
არა ღილად ბეღნიერი იქნება, საზოგადო
საქმეს სამსახურს ვაუწევს, ჩვენი ხალხის
გამოლოდინებას ხელს შეუწყობს, განა ეს
უბედურებაა, პირიქით სასახლოა.

— რაღგან არ დაგოშლიათ, რაც გინდათ
ის ჰერიო, ოლონდ ეს კი ვიცი, ახალგაზრ.
და ქალს სახელი გაუტყდება, და პატრიონი
კი არაენ ეყოლება.

აყავი და სერგეი კი უმტკიცებდნენ, რომ
აახელი კი არ გაუტყდება, პირიქით, სასა-

ხელო საქმე არისო. ბებიას რომ გაუშინეს
საქმე, ბოლოს სთვეა:

— გმეორებ, რაღაც არ იშლით და გა-
ნიზრახეთ ამის გაუბეღურება, გათხოვებაც
თქვენ იცისრეთ და მე თანახმა ვიქნებით.

— დიდის სიამოვნებით, მას არავის შვე-
ლა არ დასჭირდება, იქ უფრო მაღა გათ-
ხოვდებაო, —უპასუხა აკაგიძ და შემდეგ
მიუბრუნდა სერგეის: —მე ხვალ არ მცალიან
და შენ წაყვანე გიორგი თუმანოვთან და
უოხარი, რომ ეს ის ქალია, რომელზედაც
ჩენ ელაბარაკობდითქ.

მომიბრუნდა სერგეი მესხი და მითხრა:

— აბა, მაკო, ხვალ საღმოს მზად დამიტვ-
დი, მე სხვაგან უნდა წაგიყვანოთ.

მეორე დღეს სერგეი მართლაც მოვიდა
და წამიყვანა გიორგი თუმანიშვილთან.
იგი მაშინ ქართული თეატრის საქმეში მხუ-
რვალე მონაწილეობას ღებულობდა. სერ-
გეიმ მას ჩააბარა ჩემი თავი და უთხრა:

— ეს ის ქალია, რომელზედაც მე და აკა-
კი გეუბნებოდით.

— ძალიან სიამოვნოა, ძალიან-ლიმი-
ლით უასეუხა გიორგიმ და თავზიანად მო-
ვევსალმა. პირველი ნახვის დროს მას ძლიერ
დამა, მაგრამ როცა ამათვალიერ-ჩამათვა-
ლიერა, ვვონებ არ ესიამოვნა ჩემი ბაგშვი-
რა შეხედულება და დაღრინებით კვლავ და-
უმატა:

— კარგია ძალიან კარგი.

სერგეი წავიდა. გიორგი სათანადოდ მო-
მექტა, გამაცნო თავისი პარივეტებული და
ანასტრასია, გიორგი წერეთლის ცოლი, და
მითხრა:

— მოითმინდეთ აქა, მოვემზადები და გია-
ხლებითო.

